საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№05 (523)
12 - 18 თებერვალი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ისტორიის გადაწერის მცდელობა, ანუ «დაუკარით, უკატარძლო ქორწილია»

10 თუ გიორგი ჟუკოვი გამარჯვების მარშალია, მაშინ იოსებ სტალინი ვინ არის?

# გამოცხადებული მონობის ქრონიკა 2



საკმარისი იყო, რიგით კონგრესმენებს წერილები დაეჯღაბნათ და საქართველოში გამოეგზავნათ — თქვენი პოლიტიკა არ მოგვწონსო, ხელისუფლებამ პარლამენტის თავმჯდომარე აფრინა შტატებში სოლიდური დელეგაციით



ვალერი კვარაცხელია:

## ქართველი ხალხი ივანიშვილის რუსულ ორიენტაციაში თუ დარწმუნდება, ბიძინა არჩევნებს მოიგებს კი არა, ეროვნულ გმირად იქცევა, მაგრამ არა მგონია, იგი ამ მასშტაბის ისტორიული პიროვნება აღმოჩნდეს 4



ვაჟა ოთარაშვილი:

## 5 დასავლეთს ჩვენგან სჭირდება შეშის მჭრელები, «პუტანკები», მიმტანები და საწვავის ჩამსხმელები

## ნათელაშვილის ონანისტური ხელო-ვნებანი 3



## ვისია ქართული მიწა? ვის მიწაზე აცხადებდა პრეტენზიას მოკლული ინდოელი?! 9





ირაკლი გოგავა:

## 6 ინდუსტრიის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული სახელმწიფო. სხვაგვარად სიღარიბისთვის ვართ განწირულნი



## 14 აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბრძოლა მართლ-მადიდებლებზე გავლენის მოსაპოვებლად

## ზესახელმწიფოსი აზიაშიც აღარ ეშინიათ 21



საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკმარისი იყო, რიგით კონგრესმენებს წერილები დაეჯღაბნათ და საქართველოში გამოეგზავნათ — თქვენი პოლიტიკა არ მოგვწონსო, ხელისუფლებამ პარლამენტის თავმჯდომარე აფრინა შტატებში სოლიდური დელეგაციით, — არიქა, სტრატეგიული პარტნიორი არ გაგვინაწყენდესო. ჩავიდა ამერიკაში არჩილ თალაკვაძე და იქიდან ტაშის კვრით გვამცნობს: ყველაფერი მოგვარებულია, ამერიკელი კონგრესმენები ბედნიერები არიან, რომ ჩვენ ჩამოვედით და ინფორმაციას პირადად იღებენო.**



# გამოცხადებული მონობის ქრონიკა

## ჩვენმა ხელისუფლებამ კი იკადრა და გვაკადრა — ქედმოხრილი და თავის მართლებით ეახლა ამერიკელ კონგრესმენებს და ისიც წარმოგვიდგენია, რა სახით და დანაშაულის განცდით უხსნიან ახლა ამერიკელებს, რა გააკეთეს, როგორ გააკეთეს და კიდევ რა აქვთ გასაკეთებელი

**გასულ ზაფხულს საქართველოს ჩემპიონმა „საბურთალომ“ „არარატ არმენიასთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დასანანი მარცხი იწვნია. დასანანსაც ვერ ვიტყვით, ეს გულშემატკივრის შეურაცხყოფა იყო და, თუ სტაჟიანი გულშემატკივარი „დინამო“- „არარატის“ პრინციპულ დაპირისპირებებსაც გაიხსენებს, აუცილებლად მიხვდება, მარცხის სიმწარეში რას ვგულისხმობ.**

„საბურთალო“ ახალი სეზონისთვის ემზადება და 6 თებერვალს ამხანაგურ მატჩში სანქტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ დამარცხდა — 0:4. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი: რატომ ეთამაშა „საბურთალო“ „ზენიტს“, რომელი ჩვენი ამხანაგები ეგენი არიანო. ბევრმა ისიც თქვა: თავმოყვარეობა არ აქვს ჩვენს გუნდს, რუსებთან ოთხბურთიანი უპირატესობით როგორ წააგოო. მოკლედ, **ისეთი ამბავი მოჰყვა ამ ამხანაგურ მატჩს, ამის ნახევარი „არარატთან“ ოფიციალურ შეხვედრაში წაგებას რომ მოჰყოლოდა, თბილისური კლუბის ხელმძღვანელებს ეგებ მართლა შერცხვენოდათ. ჰო, ის არავის უხსენებია, რომ „ზენიტი“, დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის ჩემპიონატის ლიდერი და პირველობის მთავარი კანდიდატია, რომ კლუბის ბიუჯეტი იმაზე მეტია, ვიდრე ყველა ქართული კლუბის ბიუჯეტი ერთად აღებული (ყველაში საქართველოს ყველა ლიგას ვგულისხმობ), რომ „ზენიტის“ რიგებში ბრაზილიის, სერბეთის, ესპანეთის ნაკრების წევრები თამაშობენ, რომ გუნდი ტრანსფერებში თითო ფეხბურთელში 25-30 მილიონ დოლარს იხდის (საქართველოს რანგით მეორე გუნდი ქუთაისის „ტორპედო“ მას შემდეგ გაკოტრდა, რაც 3 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა) და, ამის მიუხედავად, თურმე რატომ დავმარცხდით და, რაც მთავარია, საერთოდ, რატომ ვეთამაშეთ რუსულ კლუბს?!** ხო, ისიც ვთქვათ, რომ ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც პოლიტიკასა და სპორტს ერთმანეთისგან ვმიჯნავთ და ეს მაშინ, როცა სპორტი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი პოლიტიკაა.

საფეხბურთო ამბავი კი იმ მარტივი მიზეზით გავიხსენე, რომ ამერიკელი კონგრესმენების უმსგავსო საქციელის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების დამამცირებელ ნაბიჯზე მოგიყვეთ. **საკმარისი იყო, რიგით კონგრესმენებს წერილები დაეჯღაბნათ და საქართველოში გამოეგზავნათ — თქვენი პოლიტიკა არ მოგვწონსო, ხელისუფლებამ პარლამენტის თავმჯდომარე აფრინა შტატებში სოლიდური დელეგაციით: არიქა, სტრატეგიული პარტნიორი არ გაგვინაწყენდესო. ჩავიდა ამერიკაში არჩილ თალაკვაძე და იქიდან ტაშის კვრით გვამცნობს: ყველაფერი მოგვარებულია, ამერიკელი კონგრესმენები ბედნიერები არიან, რომ ჩვენ ჩამოვედით და ინფორმაციას პირადად იღებენო.** ამას თალაკვაძე ამბობს, თორემ კონგრესმენებს ჯერ საინტერესო არაფერი უთქვამთ და, ალბათ, იმიტომ, რომ გაოცებულნი არიან ქართული მხარის ვიზიტით: ჩვენს წერილებს თურმე რამხელა ძალა ჰქონიაო. ახლა მაგათ წერას ველარავინ აუკრძალავს და, თუ თალაკვაძე თვეში ერთხელ შტატებში არ არბენინეს და დასჯილი ბავშვივით თავი არ ამართლებინეს, ნახავთ.

ვერ გეტყვით, რას ნიშნავს საქართველოს მთავრობის ქმედება. იმიტომ ვერ გეტყვით, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია, სხვა, თავმოყვარე ქვეყნის ხელისუფლებამ ანალოგიური რამ გააკეთოს. მაგალითად, **როცა დონალდ ტრამპმა (და არა ვიღაც კონგრესმენმა) საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი გააკრიტიკა, მაკრონმა დაახლოებით ასეთი ტექსტით უპასუხა, — ნეტავ ერთი, მოგცლიაო და დაიხურა თემა.** ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, საფრანგეთს ამერიკაში ოფიციალური დელეგაცია რომ გაეშვა, რატომ გაბრაზდით, აგერ, ბატონო, პირისპირ აგიხსნით, რა ხდება და რას ვაპირებ ჩემი ქვეყნის შიგნითო... ამას საფრანგეთის ხელისუფლება არც საკუთარ თავს აკადრებდა და არც მოსახლეობას. **ჩვენმა ხელისუფლებამ კი იკადრა და გვაკადრა — ქედმოხრილი და თავის მართლებით ეახლა ამერიკელ კონგრესმენებს და ისიც წარმოგვიდგენია, რა სახით და დანაშაულის განცდით უხსნიან ახლა ამერიკელებს, რა გააკეთეს, როგორ გააკეთეს და კიდევ რა აქვთ გასაკეთებელი.** ცალკე ოპოზიცია ზეიმობს, — ნახავთ, მთავრობის დელეგაციას ყურს როგორ აუწევენ შტატებშიო, იმას კი არ ამბობენ, — ეს რა იკადრა ხელისუფლებამ, ამერიკაში როგორ გაუშვა პარლამენტის თავმჯდომარე პატაკის ჩასაბარებლადო. პირიქით, იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებას „უფროსი ძმა“ დასჯის.

ორიოდე თვის წინათ **ვლადიმერ ჟირინოვსკიმაც** თქვა საქართველოზე „რაღაც“, ზუსტად ისეთი „რაღაც“, რაც ამერიკელმა კონგრესმენებმა, მაგრამ ეს განცხადება ერთ ყურში შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს, ერთმა თუ ორმა დეპუტატმა აღნიშნა: რუსეთის დუმის წარმომადგენელი ჩვენს საშინაო საქმეებში რატომ ერევაო და მორჩა. მოიცა, **რუსეთის დეპუტატი თუ ამბობს რამეს, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევაა, ხოლო ამერიკელი კონგრესმენები კანონებს მუხლობრივად რომ მიჰყვებიან, ჩაჰკირკიტებენ და, პრაქტიკულად, ქართული სამართლის კანონმდებლები არიან, ეგ ნორმალურია? ეგაა დამოუკიდებლობა? ვინმემ ჰკითხა ამომრჩეველს, აინტერესებს თუ არა რიგითი კონგრესმენების აზრი და, საზოგადოდ, თანახმაა თუ არა საქართველოს მოსახლეობა იმაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე სოლიდურ დელეგაციასთან ერთად, დაუგეგმავად წავიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩვენი ფული ხარჯოს?** ხომ დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ვოიაჟი ასი ათასზე მეტი დაჯდება და ეს ასი ათასი იმის ფონზე, როცა ექვსი კუბო გაიტანეს რამდენიმე დღის წინათ ბაღდათის ეკლესიიდან და ამ ექვსი კუბოდან ოთხში მშიერი ბავშვი იწვა? იქნებ, მოსახლეობა იმაზე ყოფილიყო თანახმა, რომ ამ ექვსი ადამიანისთვის მიეცათ თალაკვაძის სამგზავრო და მოსასვენებელი ფული, სახლი ჰქონოდათ, საკვები ჰქონოდათ და არ ჩამწვარიყვნენ მიწურში?! საქართველოს პარლამენტი არ იყო, წუთიერი დუმილით რომ დაიწყო საგაზაფხულო სესია და ამ გარდაცვლილებს პატივი რომ მიაგო? და **სხვა რა გააკეთეს კანონმდებლებმა? იმავე საღამოს ძვირად ღირებული ვისკი მიირთვეს, გულზე შემოწოლილი დარდი რომ გაექარვებინათ და იმ ვისკის საფასური საქართველოში ოჯახების უმრავლესობისთვის ერთი თვის სამყოფი სარჩოს ფული რომ არის, არც კი გახსენებიათ. არც ის გახსენებიათ, ათასობით ოჯახი სიღატაკეში რომ ცხოვრობს და ახლა მხოლოდ დროის საკითხია, რომელ სახლში წაიქცევა სანთელი, სად გაჩნდება მორიგი ხანძარი და რომელ სხდომას გახსნიან წუთიერი დუმილით.**

რუსეთის დეპუტატი თუ ამბობს რამეს, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევაა, ხოლო ამერიკელი კონგრესმენები კანონებს მუხლობრივად რომ მიჰყვებიან, ჩაჰკირკიტებენ და, პრაქტიკულად, ქართული სამართლის კანონმდებლები არიან, ეგ ნორმალურია? ვინმემ ჰკითხა ამომრჩეველს: აინტერესებს თუ არა რიგითი კონგრესმენების აზრი და, საზოგადოდ, თანახმაა თუ არა საქართველოს მოსახლეობა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე სოლიდურ დელეგაციასთან ერთად დაუგეგმავად წავიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩვენი ფული ხარჯოს?

ისევ სახელმწიფოსა და მის ინტერესებს დავუბრუნდეთ. თითქოს ორი პოლუსია ჩვენი ხელისუფლებისთვის და ოპოზიციისთვის — რუსეთი, რომლისგანაც არაფერი არ გვინდა (გარდა ენერგომატარებლებისა, ხორბლისა, რუსეთში დასაქმებული მილიონი ქართველისა, იქიდან გადმორიცხული ფულისა, რუსული ბაზრისა) და ამერიკა, რომელსაც ყველაფერს ვუჯერებთ და ნებისმიერი კონგრესმენის ფეხის დაბაკუნებაზე „დამოუკიდებელი“ საპარლამენტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე დაოთხილი გარბის შტატებში, ქედმოხრილი ეახლება კონგრესმენებს (რომლებიც რანგით მასთან ახლოსაც ვერ მივლენ) და ბოდიშის მოხდით უხსნის, რა ხდება და სთხოვს, სხვა დროს სათუთი ნერვები არ აიშალონ. ეს არის ის, რისთვისაც ვიბრძვით და რაც გვინდა? **ეს არის გამოცხადებული მონობის უღელი!**

„კონგრესმენები მადლიერები არიან იმისთვის, რომ პირადად იღებენ ჩვენგან იმ ინფორმაციას, რომელიც მათ აინტერესებთ“, — განაცხადა ამერიკაში თალაკვაძესთან ერთად მყოფმა ვიცესპიკერმა **კახა კუჭავამ** და დაადასტურა, რომ პირადად აბარებენ კონგრესმენებს ანგარიშს. რაც მთავარია, ამით ორივე მხარე კმაყოფილია. **ამერიკა კმაყოფილი რომ იქნება, ადვილი მისახვედრია, კიდევ ერთხელ მიიღო მონობის დასტური, აი, ჩვენი დელეგაცია რატომ არის კმაყოფილი, ვერ ვხვდები. ამერიკა ნახეს ბიჭებმა და უხარიათ, თუ მერე ვარსკვლავების ხეივანში აპირებენ გასეირნებას და ამიტომ არიან აჟიტირებულები?** როგორ დავიჯერო, ზრდასრული ადამიანები ვერ ხვდებიან იმას, რომ ჩვეულებრივი მონებივით უყურებენ მათ და ზუსტად ისეთივე პატივისცემა აქვთ მათი, როგორ პატივსაც, საზოგადოდ, მონებს სცემენ. გამორიცხულია, ეს არ იცოდნენ; გამორიცხულია, ამას ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ თავზე იყრიან ნაცარს, ჩვენ კი თვალებში გვაყრიან და ცდილობენ, შეგვიქმნან შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი რიგზეა.

თავის მხრივ, **ოპოზიცია „ბოლომდე აწვება“, სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა სურს და ამბობს, რომ, თუ „ქართული ოცნება“ არ დათმობს ხელისუფლებას, მაშინ საქართველოს მოქალაქეები ქუჩაში გამოვლენ და შტურმით აიღებენ მთავრობის სახლსა და პარლამენტს. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის გამო ხალხი თავს გაწირავს. თავის მხრივ, ხელისუფლებაც ანალოგიურშია დარწმუნებული და სასაცილო ის არის, რომ ორივე იმ ხალხის მხარდაჭერის იმედად არის, რომელიც ადრეც ცალ ფეხზე ეკიდათ და ახლაც ჰკიდიათ, ოღონდ მეორე ფეხზე.**

იმაზე თუ გიფიქრიათ, ბატონებო, რომ ერთ დღეს ხალხი ქუჩაში გავა და, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას ერთიანად წაგლეკავთ? იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ეს თავსმოხვეული მონობა ხალხს ყელში აქვს ამოსული? ამ რეალობისთვის არ გსურთ თვალის გასწორება და სწორედ ეს არის თქვენი პრობლემა...

მანამდე კი „არარატ არმენიასთან“ ოფიციალურ ტურნირში წაგება შეირგეთ და „ზენიტთან“ ამხანაგურ მატჩში მარცხი გააპროტესტეთ. მოდურია ახლა ყველაფერი რუსულის პროტესტი, მო-დუ-რი!

**ბესო ბარბაქაძე**

ყველას რეკლამირების თავისებური სტილი, მეთოდი და პრაქტიკა აქვს შემუშავებული. მათ შორის — ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონე ჩვენს პოლიტიკოსებს, რომლებიც სააკაშვილის მიცვალებული ნაცპარტიის ანასხლეტებად შემორჩნენ საქართველოს პოლიტიკური სივრცის ხევ-ხუვებს, თხრილებსა და კუთხე-კუნჭულებს, სადაც თოვლის ჭიები ფუტფუტებენ. პრანკერი დედაკაცისგან განსხვავებით, ესენი თავიანთი სხეულის სიშიშვლით ტირაჟიდან გასულ ორიენტაციაშეცვლილ სექსუმცირესობასაც ვერ მოხიბლავენ. ამათი მეთოდი პირის დაღება და ამ ბუნებრივი „საინფორმაციო ღრუდან“ სულის ყროლი სიშიშვლის საჯარო გადმოღვრა იყო და არის...

რეპლიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რეაქცია არააქტუალურ თემაზე

**ეს გახლდათ ქინსი ვოლანსკი, რომელიც შარშან ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის მიმდინარეობისას ნახევრად შიშველი გავარდა სტადიონის მწვანე მინდორზე და...**

# ნათელაშვილის ონანისტური ხელო-ვნებანი




შიშველი მკერდ-ბარძაყების დემონსტრაციით ამერიკელმა პრანკერმა ქალიშვილმა კობი ბრაიანტის ხსოვნა შეურაცხყო.

განითლდა ფეხბურთელთა საასპარეზოს ბუნებრივი ზურმუხტოვანი საფარი.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამთავითვე შეგახსენებთ, რომ აშშ-ის საზოგადოების ინტეგრირება სამი მიმართულებით ხორციელდება: ინგლისური ენა, არმია და სპორტი.

და განვაგრძოთ:

**ყველას რეკლამირების თავისებური სტილი, მეთოდი და პრაქტიკა აქვს შემუშავებული. მათ შორის — ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონე ჩვენს პოლიტიკოსებს, რომლებიც სააკაშვილის მიცვალებული ნაცპარტიის ანასხლეტებად შემორჩნენ საქართველოს პოლიტიკური სივრცის ხევ-ხუვებს, თხრილებსა და კუთხე-კუნჭულებს, სადაც თოვლის ჭიები ფუთფუთებენ.**

**პრანკერი დედაკაცისგან განსხვავებით, ესენი თავიანთი სხეულის სიშიშვლით ტირაჟიდან გასულ ორიენტაციაშეცვლილ სექსუმცირესობასაც ვერ მოხიბლავენ. ამათი მეთოდი პირის დაღება და ამ ბუნებრივი „საინფორმაციო ღრუდან“ სულის ყროლი სიშიშვლის საჯარო გადმოღვრა იყო და არის...**

ამის აშკარა დადასტურება იყო გასული კვირის ღამეს, უფრო ზუსტად, 9 თებერვლისა და 10 თებერვლის გასაყარზე, როცა „რუსთავი 2“-ის განტოტვილ „მთავარის“ ეთერში **ნიკოლოზ გვარამიამ**, ნაპროკურორალმა ნაცმა, უმასპინძლა თავის „საყვარელ პოლიტიკოსებს“ (ასე თქვა): **შალვა (შალიკო) ნათელაშვილსა და მიშა (მიხეილ) სააკაშვილს.**

უყვარს და რა ქნას!

მათი ტელეჟღურტული კი არის იმის ღირსი, რომ დეტალურად გაარჩიოს კაცმა, მაგრამ არ ღირს ხელის გასვრად.

სააკაშვილზე განსაკუთრებით.

ნათელაშვილმა კი — დახურა.

**ჯერ არიერგარდი მოწინავე რაზმად წარმოგვიდგინა — ავანგარდად. ხელისუფლების არიერგარდი უწოდა კრიმინალებს, რომლებსაც მთავრობა თურმე ოპოზიციასა და ხალხთან საომარ ძალად იყენებს, მათთან ერთად — სპორტსმენებსაც, განსაკუთრებით — ჩემპიონებს. შემდეგ ინტელიგენცია შემოელანძღა, უწინარესად — შემოქმედებითი. და ხომ იციო, უთხრა გვარამიას, სულხან-საბას ლექსიკონში ხელოვანი განმარტებულია, როგორც ონანისტიო.**

**— აბა, რაო! — უდასტურებდა ნიკა.**

განათლებულები!

არც საბას „სიტყვის კონაში“, არც რომელიმე სხვა ლექსიკონში მსგავსი არაფერია მითითებული.

საკუთარი თეორიებიც გაგვაცნო. მათ შორის ბონაპარტიზმიც, რომელიც საქართველოში თურმე დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვების შემდეგ დამყარდა და დაასკვნა, რომ **შევარდნაძე, სააკაშვილი** და **ივანიშვილი** ბონაპარტიზმის შედეგიაო.

ასევე, რაღაც კუდი (თეორიული) გამოაბა ტელემაყურებლებისადმი მიწოდებულ ინფორმაციას, რომ **გებელსმა ჰიტლერზე** ადრე მოიკლა თავიო. ადრე და ადრეო, იძახა, არადა, სულ რამდენიმე საათი იყო გასული ამ ორ სუიციდს შორის: გებელსმა (ოჯახთად ერთად) სული განუტევა 1945 წლის 29 აპრილს, ჰიტლერმა (**ევა ბრაუნთან** ერთად) — 1945 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 15:10 საათზე.

რა თეორია და მეცნიერული ძიება სჭირდებოდა ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს?! გებელსის ყოფილმა მდივანმა პირველსავე ინტერვიუში თქვა: მშიშარა იყო და იმიტომ მოიკლა თავიო.

ვის ურჩევდა თავის მოკვლას ნათელაშვილი, მაინცდამაინც ვერ გავარკვიე, ბევრი ჰყავდა გამეტებული. **ყანდიაშვილს, რამიშვილსა** და **ნაცვლიშვილს** (ეტყობა, მათ განსაკუთრებით გააბრაზეს) ივანიშვილის იდეოლოგიური ბაზა უწოდა და თანამდებობებიც დაურიგა — ესაო და ისა. კარგად გადარჩნენ, რადგან მონოლოგის ამ მონაკვეთიდან უცებვე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კაციჭამია დიქტატორ ბოკასაზე გადავიდა და მის გვერდით თავისი პოლიტმოწინააღმდეგეები დაასახელა.

ქართველები, ცხადია.

დასძინა, რომ ასეთ ადამიანებს ანტიკურ საბერძნეთში დაბადებისთანავე კლავდნენო(?!).

**ინჯიაც** გაიხსენა, რომელსაც თვითონაც კი დავიწყებული აქვს, რომ ოდესღაც საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი იყო. ქურდიაო. ლეიბორისტების ფული მოიპარა და ნაცებთან შტაბში მიიტანაო (თუ არ მეშლება). შევარდნაძის სიძეს „ჯეოსელი“ გაუჩალიჩაო.

შეუსწორეს: „ჯეოსელი“ ინჯიასი იყოო.

ტაქსისტების აქციით შეშინებული ივანიშვილი საპატრიარქოში გავარდა და სიონის კათედრალის მოხატვას დაჰპირდაო. და, საერთოდ, ეკლესია ქვაბ-ავაზაკებით არის სავსეო. ეს ტერმინი არ უხმარია, მაგრამ ამას ნიშნავდა, მღვდელმთავრები როგორც დაგვიხასიათა. ბერები არაო...

ყოფილი დეპუტატის — ზაქრო ქუცნაშვილისა და თავისი სოფლის მკვიდრნი ერთმანეთს შეადარა, და ასე, დაუსრულებლად.

ყველამ თავის სოფელს მოუაროს!

ბოლოს ევოლუციის გზით რევოლუციის მოწყობას დაგვპირდა (?!).

აქ სამი წერტილი დავსვათ, რადგან ავცდით ინფორმაციის ფაქტს, რომელიც ქეისი ვოლანსკიმ დასავლეთში პოპულარული ზამთრის კურორტზე ახლახან ჩაიდინა: სასპლიაჟოდ გამოწყობილი გავარდა სამთო-სათხილამურო ტრასაზე სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპის გათამაშებისას, რითაც „საზოგადოებას ბრანწი (სამი თითის კომბინაცია) ცხვირწინ დაუტრიალა“, — ასე წერს უცხოეთის პრესა ინტერნეტქსელებზე დაყრდნობით.

მთლად შიშველიო, არ დავიჩემებ, ისეთი საცურაო კოსტუმი ეცვა, რომ ეცვა თუ არ ეცვა, ვერავინ დადებდა სანაძლეოს.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული ეფექტია, თუმცა გაცილებით ძლიერი ემოციის გამომწვევი, ვიდრე ერთ დროს კულტურისა და დასვენების პარკებში ჩამოტარებით ჩადგმული თაბაშირის ქანდაკება „ქალიშვილი ნიჩბით“ ახერხებდა.

**ამერიკელი მოდელი არა მხოლოდ გამოვარდა დედიშობილა სათხილამურო ტრასაზე ასიათასობით ტელემაყურებლის ასაცუნდრუკებლად, არამედ, როგორც ჩვენი ორკაციანი პარტიების ხუთკაციანი აქციების მონაწილეებს სჩვევიათ, ხელთ ეპყრა ხელნაწერი პლაკატი: RIP Kobe, რაც თითქოს მსგავსი რამ არის ქართული დატირების — „მშვიდობით, ჯვარი გეწეროს“.**

**პრანკერი დედაკაცისგან განსხვავებით, ესენი თავიანთი სხეულის სიშიშვლით ტირაჟიდან გასულ ორიენტაციაშეცვლილ სექსუმცირესობასაც ვერ მოხიბლავენ. ამათი მეთოდი პირის დაღება და ამ ბუნებრივი «საინფორმაციო ღრუდან» სულის ყროლი სიშიშვლის საჯარო გადმოღვრა იყო და არის...**





როგორც ჩანს, ორი კურდღლის დაჭერა ჰქონდა განზრახული: პირველი — საკუთარი პერსონისადმი მასების ინტერესის გაღვივება; მეორე — აშშ-ის ეროვნული კალათბურთის ლიგის დაღუპული ლეგენდის — **კობი ბრაიანტის** ხსოვნისადმი პატივის მიგება. ესეც თავის გამოსაჩენად.

ვერც ერთი შეძლო და ვერც მეორე. უარესიც — მწარედ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ გაბედა და თავისი უზნეო ქცევით შეურაცხყო ამერიკელი საზოგადოების ინტეგრაციის ერთ-ერთი საფუძველი — სპორტი.

ინტერნეტის მომხმარებლებმა მის საქციელს უწოდეს საზიზღრობა! ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ ქერა ალქაჯმა შეურაცხყო დიდი კალათბურთელის ხსოვნა, თანაც არა იმდენად საკუთარი ძუძუ-მკერდ-ბარძაყის სიშიშვლის დემონსტრაციით, რამდენადაც ამერიკელების საფირმო ნიშნით — სხივოსანი, ანუ შუქმფინარი ღიმილით, რომელიც მწუხარებისა და თანაგრძნობის ნიშნად ამშვენებდა მის „ინტელექტუალურ“ სახეს და იდიოტურ გამომეტყველებას მატებდა.

რა გიხარია, შეჩემა!

კი, ასე — შეჩემა! სლენგია, ქუჩური გამოთქმა, შეგინების ევფემიზმის ნიმუში.

რაც ვიცი, იმას ვამბობ.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ...მოქმედება ცენტრალური აზიის ალიზით ნაგებ ერთ-ერთ სოფელში ვითარდება. ახალგაზრდა აკინი (სახალხო მთქმელი, პოეტი-იმპროვიზატორი და მომღერალი) სასწაულად უკრავს დომბრაზე, ნაირნაირი აკორდებით დაფრინავს ამ ეროვნული ინსტრუმენტის წყვილ სიმზე — ზემოთ, ქვემოთ. მღერის დომბრა.**

**გვერდით უზის ხანდაზმული აკინი და ერთ სიმზე ერთსა და იმავე ნოტს ჩამოჰკრავს თითს:**

**— ბამ, ბამ, ბამ! — მონოტონურად ჟღერს მისი დომბრა.**

**ტურისტები, რომლებიც, საქართველოს გარდა, ყიზილყუმის უდაბნოშიც დაეხეტებიან, საკუთარი უპირატესობით ისე არიან გაბერილ-გაბლენძილები, როგორც სვანზე ანეკდოტში ნახსენები ლეგენდარული „პაკრიშკა“, თავს უფლებას აძლევენ, უსაყვედურონ მოხუცს:**

**— ახალგაზრდა უკრავს, შენ აჩხაკუნებ.**

**— ის ეძებს, მე ნაპოვნი მაქვსო, — უპასუხია მოხუცს, ჩემი არ იყოს.**

**ა.ს.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში არ არსებობდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, არ არსებობდა მოსახლეობის სოციალური დაუცველობისა და უმუშევრობის პრობლემა, არ არსებობდა ჯანდაცვისა და განათლების მიღების პრობლემა, არ არსებობდა მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციისა და დემოგრაფიული განადგურების პრობლემა. აი, ის დროშა იყო ყოველივე ამის გარანტი, რომელსაც ეს ვიგინდარები დღემდე ებრძვიან და წვავენ“.**



# ვალერი კვარაცხელია: ქართველი ხალხი ივანიშვილის რუსულ ორიენტაციაში თუ დარწმუნდება, ბიძინა არჩევნებს მოიგებს კი არა, ეროვნულ გმირად იქცევა, მაგრამ არა მგონია, იგი ამ მასშტაბის ისტორიული პიროვნება აღმოჩნდეს

**5 თებერვალს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე მრავალპარტიაგამოცვლილმა, მრავალჯერ აზრშეცვლილმა, ამჟამად ლეიბორისტული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა საბჭოთა საქართველოს დროშა დაწვა და განაცხადა: „ასე დავასრულებთ ჩვენ ყველა ავტორიტარულ და კომუნისტურ მმართველობას ქვეყანაში. რაც დღეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ხორციელდება, საბჭოთა კავშირის პოლიტიკაა“.**




**«საბჭოთა საქართველოს დროშის დაწვა იმ სისტემის პირობებში აღზრდილი მეცნიერებისა და ხელოვნების კორიფეთა ბიოგრაფიისა და ცხოვრების გზის დაწვას ნიშნავს, იმ პერიოდის არნახული შრომითი მიღწევების დაწვას ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, იმ გმირთა ისტორიის დაწვას, რომლებმაც, სწორედ იმ წითელი დროშის ქვეშ დარაზმულებმა, საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად შეძლეს ფაშიზმისგან მსოფლიოს ხსნა»**

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, 2012 წლის 1 დეკემბერს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა თავის სახლში უმასპინძლა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დამფუძნებელ ჯორჯ სოროსს. მიმდინარე წლის 7 იანვარს კი დიდი შეხვედრა მოუწყო აშშ-ის ახალდანიშნულ ელჩ კელი დეგნანს. პარალალურად, 7 იანვარსვე, პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძე და საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი ამერიკაში „აფრინა“ იმ სენატორებთან შესახვედრად, რომლებიც საქართველოს მთავრობას მმართველობას უწუნებდნენ და წერილს წერილზე გზავნიდნენ.

**რატომ ჰგონიათ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წევრებს, რომ ბიძინა ივანიშვილი „საბჭოთა გადმონაშთია“ და ქვეყანაში კომუნისტური მმართველობაა? რა დაწვა ერთ-ერთმა ლეიბორისტმა საბჭოთა საქართველოს დროშის დაწვით? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ანალიტიკოსი, „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია გვესაუბრება.**

**— ბატონო ვალერი, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა რამდენიმე დღის წინათ დემონსტრაციულად დაწვა საბჭოთა საქართველოს დროშა. რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ის 70 წელიწადი, როცა საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო, ანუ რა დაწვა ამ დროშის სახით ლეიბორისტმა ლაშა ჩხარტიშვილმა?**

— არ ვიცი, ვინ არის და რას წარმოადგენს ბატონი ჩხარტიშვილი, ამიტომ ნება მომეცით, კომენტარი ფაქტზე გავაკეთო და არა ამ პიროვნებაზე.

იყვნენ ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ სისტემას, რადგან ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე სოციალური სამართლიანობის იდეას. მათ ვერ გაიგეს და არ ესმოდათ სოციალიზმის პრინციპული განსხვავება ისტორიაში არსებული ყველა დანარჩენი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემებისგან. მათი ამ ფილოსოფიურ-სოციოლოგიური სიბეცის გამო, ისე გამოდიოდა, რომ ისინი ებრძოდნენ ისტორიულ პროგრესს, ნახტომს, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ისინი დასაფასებელი პიროვნებები არიან იმის გამო, რომ, რასაც აკეთებდნენ, სამშობლოს სიყვარულით აკეთებდნენ.

მიტმასნილი მედროვე-მამაძაღლები მაშინაც იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ადამიანებს ასე არ ვახარისხებთ, რადგან ჩვენი მიზანია, გავმიჯნოთ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მართლა მებრძოლები — მაშინდელი, რეალურ დროში რეალურად მებრძოლები და დღევანდელი ფსევდომებრძოლები, არარეალურ დროში პოსტფაქტუმ მებრძოლები, ანუ წარსულთან მებრძოლები.

მაშინდელ მებრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბრძოლას ქვეყნისთვის უბედურების გარდა არაფერი მოუტანია, მაინც ნამდვილ მებრძოლებად აღვიქვამთ და ერთგვარი დიდების შარავანდედითაც ვმოსავთ. ამ ახალ „მებრძოლებში“ კი, რამდენიც უნდა ვეძებოთ, დიდებას კი არა, უბრალოდ, დადებით შტრიხს ვერ იპოვით, რადგან ერთია, როცა ნამდვილი რევოლუციური აღტყინების ხმა და ყიჟინა მოგაქვს, მეორეა, როცა წარსულისთვის მხოლოდ ექო ხარ და გამოძახილი, თანამედროვეობისთვის კი გულისამრევი და სამარცხვინო პერსონაჟი.

**— მაინც რას ნიშნავდა ახლა, ამ სიტუაციაში საბჭოთა საქართველოს დროშის დაწვა, რის თქმა უნდოდათ ამით?**

— ისინი ხედავენ, რომ საქართველოს საქმე სულ უფრო უკან მიდის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მაგრამ უვიცობის გამო არ შეუძლიათ ახსნა ეპოქისა, რომელშიც ცხოვრობენ. მათ არ შეუძლიათ აღიარება იმისა, რომ ივანიშვილის ფაქტორი, რომელსაც ისინი ებრძვიან, სოციალიზმის ნგრევის შედეგად წარმოშობილია. სოციალიზმი მილიარდერებსა და ლატაკებს არ წარმოშობს, ის მისი თითოეული წევრის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისთვის თანაბარ, სამართლიან, ჰარმონიულ პირობებს ქმნის. მათ, **ალბათ, იმის თქმა უნდათ, რომ ყველა უბედურება, რომლებიც დღეს საქართველოში ტრიალებს, საბჭოეთისკენ ივანიშვილის სწრაფვითაა გამოწვეული. გესმით, რა აბსურდამდე შეუძლია მისვლა უვიცობას?**

ჯერ ერთი — ოლიგარქია და მილიარდერობა, როგორც უკვე ვთქვი, სოციალიზმის ანტიპოდური მოვლენაა; მეორეც — ყველა პრობლემა, რომლებიც დღეს ანადგურებს საქართველოს, სოციალისტურ საქართველოში თავიდან ბოლომდე გადაჭრილი იყო.

საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში არ არსებობდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, არ არსებობდა მოსახლეობის სოციალური დაუცველობისა და უმუშევრობის პრობლემა, არ არსებობდა ჯანდაცვისა და განათლების მიღების პრობლემა, არ არსებობდა მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციისა და დემოგრაფიული განადგურების პრობლემა. აი, ის დროშა იყო ყოველივე ამის გარანტი, რომელსაც ეს ვიგინდარები დღემდე ებრძვიან და წვავენ.

საბჭოთა საქართველოს დროშის დაწვა იმ სისტემის პირობებში აღზრდილი მეცნიერებისა და ხელოვნების კორიფეთა ბიოგრაფიისა და ცხოვრების გზის დაწვას ნიშნავს, იმ პერიოდის არნახული შრომითი მიღწევების დაწვას, ბოლოს და ბოლოს, იმ გმირთა ისტორიის დაწვას, რომლებმაც, სწორედ იმ წითელი დროშის ქვეშ დარაზმულებმა, საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად შეძლეს ფაშიზმისგან მსოფლიოს ხსნა.

**— რატომ ფიქრობს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია — ლიბერალები, რომ ბიძინა ივანიშვილი „საბჭოთა გადმონაშთია“ და რუსეთის დავალებას ასრულებს? საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილი მუდმივი მასპინძელია ჩვენი ქვეყნის „მთავარი იდეოლოგის“ — ჯორჯ სოროსის, ის მასპინძელია ამერიკის ყველა ელჩის, რომელსაც „პარტნიორი“ ქვეყანა საქართველოში გზავნის...**

— ასე არ ფიქრობენ, მაგრამ **ჰგონიათ, რომ ადამიანის, განსაკუთრებით, პოლიტიკოსის დისკრედიტაციის ორი გზა არსებობს: პრორუსული განწყობილებებისა და კომუნისტური განწყობილებების დაბრალება. ორივეს ერთად დაბრალება კი, ის ხერხი ჰგონიათ, რომელიც ნებისმიერ მძიმეწონიან პოლიტიკოსს ხერხემალში გადატეხავს.**

ადამიანთა დისკრედიტაციისთვის ეს ისეთი მომგებიანი და უნივერსალური გზა ჰგონიათ, რომ არც ლოგიკას დაგიდევენ, არც ფაქტობრივ მდგომარეობას. სოციალიზმის ნანგრევებზე აღმოცენებულ მილიარდერს რომ სოციალისტობას დასწამებ, რა ლოგიკაზე შეიძლება საუბარი?! აბსოლუტური თავხედი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი აზრის საზოგადოებაში გაჟღერება გაბედოს.

გახსოვთ, ზოგიერთი **სააკაშვილს** რუსეთის კაცად რომ მოიხსენიებდა. არადა, ხომ ყველა ხვდებით, რომ სააკაშვილი რუსოფობიით შეპყრობილი ტიპია, მისი შინაგანი კონსტიტუციით პირწავარდნილი ფაშისტია, მაგრამ ვიღაცას ჰგონია, რომ ამის თქმა ისე არ დააზიანებს მის იმიჯს, როგორც იმის დაბრალება, რომ იგი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია. ასეთია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში დამკვიდრებული შაბლონები.

**— რამდენიმე დღის წინათ ვიხილეთ ისიც, როგორ მორჩილად ეახლნენ პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძე და საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი იმ სენატორებს, რომლებმაც მთავრობის მისამართით საყვედურების წერილები გამოგზავნეს... ყველამ კარგად იცის, რომ ეს ივანიშვილის გარეშე არ მოხდებოდა. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაწვეს საბჭოთა საქართველოს დროშა. რატომ ფიქრობენ „ის ლიბერალები“ „ამ ლიბერალებზე“, რომ რუსეთის დაკვეთას ასრულებენ? გავითვალისწინოთ ისიც, რომ ივანიშვილი რუსეთიდან ვლადიმერ პუტინის გაპრეზიდენტებისთანავე წამოვიდა...**

— დღეს რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა და გასაკვირი არ იქნებოდა, რომელიმე მილიარდერი, რომელიც რუსეთში არ ცხოვრობს, რუსეთზე თუ იქნებოდა ორიენტირებული, მაგრამ ასე არ ხდება. **რუსეთში მცხოვრებ მილიარდერებსაც კი კაპიტალი ამერიკაში გააქვთ. ამერიკაა მათი მექა და მედინა, ამერიკაა მათი აღთქმული მიწა. ასე რომ, ივანიშვილის პრორუსობაც პოლიტიკური აბსურდის იმავე სერიიდანაა, რომელი აბსურდის სერიიდანაც სააკაშვილის პრორუსობა ან შევარდნაძის პრორუსობა იყო.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ყველა პირველი პირი პროამერიკელი იყო. ასე რომ, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურება ამერიკიდან მოდის. **რაც შეეხება იმას, რატომ აბრალებენ ბიძინა ივანიშვილს რუსულ ორიენტაციას, უკვე გითხარით, რომ ამერიკის „მეხუთე კოლონას“ ეს მიაჩნია პოლიტიკოსების დისკრედიტაციის ყველაზე ეფექტიან გზად.**

დარწმუნებით გეტყვით: **ქართველი ხალხი ივანიშვილის რუსულ ორინტაციაში თუ დარწმუნდება, ბიძინა არჩევნებს მოიგებს კი არა, ეროვნულ გმირად იქცევა, მაგრამ არა მგონია, იგი ამ მასშტაბის ისტორიული პიროვნება აღმოჩნდეს.**

ივანიშვილს ახლოს არ ვიცნობ. ის კი, რასაც შორიდან ვუყურებ, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს: ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა დიდ ქონებასა და უზარმაზარ კაპიტალზე ტრიალებს. შეუძლებელია, მას ისეთი პოლიტიკური იდეა აწუხებდეს, რომელიც კაპიტალისადმი მის მიჯაჭვულობას გადაწონის. ნეტავი, ვცდებოდე. ბოდიშსაც მოვუხდი და მხარშიც ამოვუდგები, მაგრამ, სამწუხაროდ, არაა ბიძინა ის კაცი, რომლის გვერდითაც მე უნდა ვიდგე. **ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, ის ადამიანია და ის პოლიტიკოსი, რომლის გვერდითაც ძმები ბერძენიშვილები, ცოლ-ქმარი უსუფაშვილ-ხიდაშელი, მეორე ცოლ-ქმარი აქუბარდია-ჯანგირაშვილი, პრეზიდენტყოფილი მარგველაშვილი და მათი მსგავსი შარლატანები უნდა იდგნენ.**

გადამრევს ქართველი ხალხი! **რას მკითხაობთ ამდენს, შეხედეთ მის გარემოცვას, შეხედეთ, რა წრეში ტრიალებს, ნაცებს შეხედეთ, „ქოცებს“ შეხედეთ და მიხვდებით, ვინც არის და რა პოლიტიკური ორიენტაციისაც არის ივანიშვილი.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„განათლების ხარისხი არათუ დაეცა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს განათლება აღარ არსებობს. წარმოიდგინეთ, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში შეიძლება მოხვდეს პიროვნება, რომელსაც მათემატიკა არ აქვს ჩაბარებული. სამედიცინო უნივერსიტეტში შეიძლება ჩაირიცხოს აბიტურიენტი, რომელმაც ქიმია-ბიოლოგია არ იცის“.

განათლების სისტემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვაჟა ოთარაშვილი:

# დასავლეთს ჩვენგან სჭირდება არა განათლებული თაობა, არამედ შეშის მჭრელები, «პუტანკები», მიმტანები და საწვავის ჩამსხმელები

## «სასწრაფოდ უნდა დავუბრუნდეთ განათლების ძველ, საბჭოურ-გერმანულ მოდელს»

**7 თებერვალს ევროკავშირმა საქართველოს მიერ ასოცირებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების კვალდაკვალ განათლების სისტემაში განხორციელებული კომპლექსური რეფორმები შეაფასა და ცვლილებებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა. ვრცელ ანგარიშში, რომელიც 2019 წლის პერიოდს მოიცავს და განათლების ყველა საფეხურზე განხორციელებულ სიახლეებს დეტალურად მიმოიხილავს, ყურადღება დასავლური სტანდარტების შესაბამისი ახალი პროგრამების დანერგვაზეა გამახვილებული. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველომ ზუსტად შეასრულა ყველა რეკომენდაცია, რომელსაც ევროკავშირი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით იძლეოდა. დოკუმენტში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სისტემაში ჯერ კიდევ უამრავი ცვლილებაა საჭირო. მათ შორის საუბარია ახალგაზრდებში ევროკავშირის შესახებ „ცნობიერების ამაღლებაზე“ ორიენტირებული პროგრამების დანერგვაზე, კულტურის, მეცნიერების მიმართულებით განსახორციელებელ სხვადასხვა ინოვაციურ პროექტზე და ა.შ.**

**წარმატებულია თუ არა დღეს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და რა შედეგები მოუტანა რეალურად ქვეყანას ამ ყველაფერმა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ევროკავშირის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებულ ანგარიშს თუ დავუჯერებთ, 2019 წელს საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები მეტად მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო. საუბარია განათლების ხარისხის ამაღლებაზე, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რეალური და ადეკვატურია ეს შეფასებები?**

— უწინარესად, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ რამეს, რომ ევროკავშირი ცალკე იმპერიაა, რომელიც, წლებია, ე.წ. მესამე მსოფლიოსთვის ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად ახორციელებს თავის განათლების პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ისეთ პატარა ქვეყნებს, ყოველმხრივ დაქცეულს და გაჭირვებულს, როგორიც საქართველოა, უნდა ჰყავდეს რაც შეიძლება ნაკლებად განსწავლული და ერუდირებული ახალი თაობა. ეს ემსახურება 21-ე საუკუნის მონების გაზრდას და მომზადებას „ცივილიზებული სამყაროსთვის“. **რაც შეეხება კონკრეტულ ანგარიშს, რომელიც გვეუბნება, რომ თურმე ეს ე.წ. განათლების რეფორმები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, ალბათ, სიახლე არავისთვისაა, რომ ამ რეფორმებმა მიზანმიმართულად მოშალა და წლების განმავლობაში მიწასთან გაასწორა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა,** მაგრამ მე მაინც გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს:

პირველი და უმთავრესი, რაც გააკეთეს და ამით, პრაქტიკულად, დაიწყო ამ სისტემის ნგრევა, იყო ის, რომ **გაათავისუფლეს კვალიფიციური კადრები.** საუბარია უმაღლესი დონის ათასობით პედაგოგზე, რომლებიც სამსახურის გარეშე დატოვეს და ამით პედაგოგის ავტორიტეტი დაიყვანეს ნულამდე...

**მეორე** — შემოიღეს აბსოლუტურად უვარგისი სასკოლო სახელმძღვანელოები, ბავშვმა ცოდნა რომ ვერ მიიღოს ვერც მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ვერც ისტორიაში, ვერც მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში... **რეალურად ეს „სახელმძღვანელოები“ არის განათლების მაფიის მიერ სკოლებში შეტანილი არაფრის მომცემი მაკულატურა, რომლითაც ხდება ბავშვების დაჩლუნგება...**

**მესამე** — შემოიღეს ე.წ. მანდატურის სამსახური, რომელიც მომავალი თაობების სულიერ დათრგუნვას ემსახურება და ამ სამსახურის შემოღების შემდეგ სკოლაში პედაგოგი, პრაქტიკულად, გახდა არავინ. წარმოიდგინეთ, **მასწავლებელს ელემენტარული შენიშვნის მიცემა არ შეუძლია ბავშვისთვის, უნდა გაიქცეს და მანდატურს დაუძახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეიძლება უჩივლონ და ბავშვის „უფლებების“ დარღვევისთვის მკაცრად დასაჯონ. უკეთეს შემთხვევაში ეს დასჯა სამსახურიდან გათავისუფლება იქნება, უარეს შემთხვევაში — სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რომელიც შეიძლება თავისუფლების აღკვეთითაც დასრულდეს;**

**მეოთხე** — აკრძალეს სკოლებში რელიგიის სწავლება და საეკლესიო პირების შესვლა, სანაცვლოდ შეიყვანეს ფსიქოლოგები. ჯერ ერთი — ფსიქოლოგმა როგორ უნდა შეცვალოს სულიერი მოძღვარი და მეორე — ვინ არიან ეს ადამიანები? ესენი არიან სოროსის გრანტით დაფინანსებულ ტრეინინგებზე დამუშავებული ჩვეულებრივი ზომბები, რომლებიც ბავშვებს ტვინს ურეცხავენ რაღაც სისულელეებით;

**მეხუთე** — უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ტარდება კანონდარღვევით; როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო გამოცდებზე სტუდენტებს აბარებინებენ არაფრის მომცემ საგანს — ზოგად უნარებს. ეს არის კონსტიტუციური დარღვევა, იმიტომ, რომ ეს საგანი სკოლებში არ ისწავლება. მაშინ ვასწავლოთ ბავშვებს ლოგიკა, **კონსტანტინე ბაქრაძის** ლოგიკას ვგულისხმობ და არა რაღაც უაზრო, უშინაარსო რებუსებს... სხვათა შორის, **ეს ე.წ. ზოგადი უნარები, როგორც საგანი, შემოღებულია განათლების სისტემაში არსებული მაფიის მიერ. რისთვის? იმისთვის, რომ ბავშვი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა არის ეს საგანი, იძულებული გახადონ, ფული გადაიხადოს და ცალკე მოემზადოს.** ეს არის დიდი მაფია და შარშან უკვე დიდძალი ფული გააკეთეს ამაზე. არაფერს ვამბობ სახელმძღვანელოების გრიფირებაზე, რომელიც ასევე ბნელით მოცულია და სად, როგორ, ვის მიერ და რა პრინციპით ხდება ამ ე.წ. სახელმძღვანელოების დამტკიცება, კაცმა არ იცის...

**— ამ ყველაფრის შედეგად განათლების დონე და ხარისხიც, ალბათ, მნიშვნელოვნად დაეცა, თუმცა ევროკავშირის ანგარიშში ამაზე ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული...**

— განათლების ხარისხი არათუ დაეცა, შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში დღეს განათლება აღარ არსებობს. წარმოიდგინეთ, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში შეიძლება მოხვდეს პიროვნება, რომელსაც მათემატიკა არ აქვს ჩაბარებული. სამედიცინო უნივერსიტეტში შეიძლება ჩაირიცხოს აბიტურიენტი, რომელმაც ქიმია-ბიოლოგია არ იცის.** ახლა ყველაზე მთავარი, რითაც პრემიერმა ამას წინათ თავი მოიწონა: **საპენსიო ასაკის პედაგოგებს, სურვილისამებრ, რა თქმა უნდა, მისცეს გარკვეული თანხები, რათა სამსახურებიდან წასულიყვნენ და დაახლოებით 13 ათას პედაგოგს ასე ათქმევინეს უარი სამსახურზე. კიდევ ვიმეორებ: აქ საუბარია ძველი, საბჭოთა გამოცდილების მქონე მართლა განათლებულ და მაღალი დონის პედაგოგებზე, რომლებიც ხელისუფლებას, უბრალოდ, არ სჭირდებოდა. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რატომ აფინანსებს ევროკავშირი ამას, რა ინტერესი აქვს?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ძალიან მარტივია: არ იქნებიან პედაგოგები — არ იქნება სკოლა. ასე მარტივად მოაგვარებენ პრობლემას. ახლა, **თუ მეტყვით, რომ ახალ პედაგოგებს მოიყვანენ, ვერ მოიყვანენ, იმიტომ, რომ აღარ არსებობს პედაგოგიური სასწავლებლები. აღარ არის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, აღარ არის სულხან-საბას, გორის ინსტიტუტები... ფაქტობრივად, პედაგოგის სპეციალობა მოსპეს. დააკვირდით, სკოლებში დირექტორებად ნიშნავენ ადამიანებს, რომლებსაც არანაირი შეხება სკოლასთან და პედაგოგიკასთან არ აქვთ.** თურმე დირექტორი პროფესიონალი, კვალიფიციური პედაგოგი კი არა, კარგი მენეჯერი უნდა იყოს. მალე, ალბათ, იმასაც იტყვიან, რომ დიპლომიც არაა აუცილებელი... სხვათა შორის, **მას შემდეგ, რაც ათასობით პედაგოგი თავის სურვილით წავიდა სამსახურიდან, სოფლებში აქტიურად დაიწყო სკოლების დახურვის პროცესი. მაგალითად, ისეთ ისტორიულ სოფლებში, როგორებიცაა ნოსტე და ერთაწმინდა, საშუალო სკოლები დაიხურა. წარმოიდგინეთ, გარემონტებული, შეღებილი, ფანჯრებჩასმული სკოლები გაუქმდა; და ეს პროცესი გრძელდება... ეს ხდება ქართლში, დედაქალაქიდან, სულ რაღაც, 60 კილომეტრის მოშორებით და თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქნება მაღალმთიან ბარისახოში, შატილში, ომალოში...**

**— გაეროს ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად განათლების ხარისხთან ერთად განათლების ხელმისაწვდომობაც გაიზარდა. ეს თუ შეესაბამება რეალობას?**

— დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში რამდენიმე ათას სტუდენტს, ციფრები ზუსტად არ მახსოვს, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს. რატომ, იცით? იმიტომ, რომ სწავლის ქირას ვერ იხდიან. 1250 ლარია სახელმწიფო სასწავლებლებში მინიმალური გადასახადი და ზოგან 4-5 ათასამდეც ადის. რა ქნას სტუდენტმა, რომელსაც საშუალება არ აქვს და ვერ შოულობს სწავლის საფასურს, რა ქნას მშობელმა, რომელიც უსახსრობის გამო შვილს ვერ ასწავლის?.. რაც შეეხება ხარისხს: განათლების ამ ე.წ. რეფორმების მესვეურები ხშირად ამბობენ, რომ ჩვენ უნდა დავნერგოთ ევროპული სტანდარტები. **ევროპული განათლება ჩვენ გვქონდა მაშინ, როცა იყო ე.წ. საბჭოური განათლება. ე.წ. იმიტომ ვამბობ, რომ რეალურად ეს იყო სტალინის მიერ დანერგილი გერმანული მოდელი, რომელსაც დღეს ყველა აღიარებს, რომ უძლიერესი მოდელია. მეტი რა გითხრათ: დღევანდელი განათლება — ეს არის პირდაპირ დროში გაწერილი გეგმა, თუ როგორ გაუზარდონ ქვეყანას ბნელი, გაუნათლებელი ახალგაზრდობა.** წარმოიდგინეთ, მშობლიური ენა არ ისწავლება სკოლებში, **შანიძის** გრამატიკაზეა საუბარი. არ ისწავლება სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია. წინადადების გარჩევა არ იციან ბავშვებმა. ლიტერატურაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. **ვაჟა-ფშაველა** და **შოთა რუსთაველი** გაკვრით ისწავლება. კიდევ ვიმეორებ: **დასავლეთს ჩვენგან სჭირდება არა განათლებული თაობა, არამედ შეშის მჭრელები, „პუტანკები“, მიმტანები, საწვავის ჩამსხმელები ბენზინგასამართ სადგურებზე და ა.შ. მათ არ სჭირდებათ ქართველი მეცნიერები, ხელოვანები, მკვლევარები; და თუ არსებობს ასეთები, ისინი, უკვე დიდი ხანია, საზღვარგარეთ არიან წასულები...**

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა თუნდაც ნაწილობრივ გამოსწორდეს?**



**«თუ ეს მავნე სისტემა ძირფესვიანად არ შეიცვლება და განათლების სამინისტროში მოკალათებულ მოღალატეებს გარეთ არ გამოყრიან, უახლოეს მომავალში საქართველოს ეყოლება სრულიად გაუნათლებელი, უწიგნური და ბნელი თაობა. ეს იქნება თაობა, რომელსაც მიმატება-გამოკლება არ ეცოდინება, არ ეცოდინება გამრავლების ტაბულა, საკუთარი ისტორია და, საერთოდ, არაფერი»**

— პირველი და უმთავრესი: ჩვენ სასწრაფოდ უნდა დავუბრუნდეთ განათლების ძველ, საბჭოურ-გერმანულ მოდელს, რომლითაც თაობები გაიზარდნენ და იმ სისტემის პირობებში საქართველოს ჰყავდა უდიდესი მეცნიერები. ესენი იყვნენ **ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ივერი ფრანგიშვილი** და სხვები. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, **თუ ეს მავნე სისტემა ძირფესვიანად არ შეიცვლება და განათლების სამინისტროში მოკალათებულ მოღალატეებს გარეთ არ გამოყრიან, უახლოეს მომავალში საქართველოს ეყოლება სრულიად გაუნათლებელი, უწიგნური და ბნელი თაობა. ეს იქნება თაობა, რომელსაც მიმატება-გამოკლება არ ეცოდინება, არ ეცოდინება გამრავლების ტაბულა, საკუთარი ისტორია და, საერთოდ, არაფერი.** თუ ვინმეს ჰგონია, რომ, ვისაც სწავლა უნდა, მაინც ისწავლის და თავს გაიტანს, ასე არ იქნება, ესენი ყველაფერს გააკეთებენ, რათა მომავალი თაობა 21-ე საუკუნის მონებად გაზარდონ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მკითხველი აგრძელებს საუბარს**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცოტა ხნის წინათ საქართველოს ცნობილი ნორვეგიელი ეკონომისტი სტუმრობდა. მან გვითხრა, რომ წარმოების განვითარების გარეშე მუდამ ღარიბები იქნებითო. უცხოელებს მოუსმინეთ, მაგრამ ისე არ გააკეთოთ, როგორც ისინი გირჩევენ; ისე გააკეთეთ, როგორც ისინი თავის ქვეყნებში აკეთებენო. საბოლოო ჯამში, მაინც ჩვენ ვართ დამნაშავე უზარმაზარი ინდუსტრიის განიავებაში. ჩვენ თავის დროზე ქვეყნის ტექნიკური ელიტა, დარგების სპეციალისტები, „ჩავრეცხეთ“ და სახლში დავსვით — აქაოდა, კომპარტიის წევრები არიანო. სლავური წარმოშობის ადამიანები, რომლებიც ქარხნებში, ძირითადად, ვიწრო სპეციალობის ტექნიკურ სამუშაოებს ასრულებდნენ, დავაშინეთ და ქვეყნიდან გავაქციეთ. ახლა ყველაფერი თავიდან არის დასაწყები“.**

# ირაკლი გოგავა: ინდუსტრიის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული სახელმწიფო. სხვაგვარად სიღარიბისთვის ვართ განწირულნი

**„საქართველო და მსოფლიოს“ წლევანდელ მეორე ნომერში გამოქვეყნდა პოლიტოლოგ ირაკლი გოგავას ინტერვიუ „ახალი, ხალხის ინტერესებისთვის მოღვაწე პოლიტიკური ჯგუფების აღმოცენება იბლოკება“, რომელსაც გაზეთის მკითხველები გამოეხმაურნენ. მათ ბატონ ირაკლის რამდენიმე კითხვა დაუსვეს:**



**პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის განვითარების დეტალური გეგმა, რომელშიც თითოეული სოფლის, დაბის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის განვითარება ზოგადი სიტყვებით კი არ იქნება წარმოდგენილი, არამედ კონკრეტულ ციფრებში: რა საწარმო შენდება, რამდენია ხარჯთაღრიცხვა, გასაღების ბაზარი, რამდენი დასაქმდება, რა იქნება ხელფასი, რას მიიღებს ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტი, რაში დაიხარჯება ამოღებული თანხა, რა საკრედიტო პორტფელია საჭირო, რა ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს, რა კლინიკა უნდა აშენდეს, ბიბლიოთეკა, სკოლა, პროფსასწავლებელი, თეატრი, გზა, ხიდი და ა.შ.**

**— ბატონმა ირაკლიმ ძალიან საინტერესო ღონისძიებების ჩამონათვალი შემოგვთავაზა ქართული ღირსეული პოლიტიკუმის ჩამოსაყალიბებლად; იმედი გამოთქვა, რომ „საზოგადოების განათლებული ნაწილი უფრო გააქტიურდება ამ მიმართულებით“. საინტერესოა, იყო თუ არა მცდელობა ქართული ინტელიგენციის მხრიდან, „უფრო გააქტიურებულიყო“? ვინ ან რამ შეუშალა ხელი?**

— იყო ფრაგმენტული მცდელობები აკადემიური წრეების, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის მხრიდან, შეექმნათ ეროვნული, რაციონალური პლატფორმა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმემ ხელი შეუშალა, თუმცა არც არავის შეუწყვია. ამაზე პასუხისმგებლობა კი ხელისუფლებას ეკისრება. დღეს, როცა მედიასაშუალებების უმრავლესობა პოლიტიკური ჯგუფების მიერ იმართება და ბიზნესმენების დიდი ნაწილი მხოლოდ გადარჩენასა და მოგებაზე ფიქრობს, ხელისუფლების „მწვანე შუქის“ გარეშე მსგავსი საზოგადოებრივი ინიციატივების განხორციელება რთულია. ნებისმიერი სისტემური ორგანიზებული მუშაობა რესურსებს მოითხოვს. ბიზნესმენები კი მსგავსი ინიციატივების დაფინანსებას რისკად მიიჩნევენ და ეშინიათ, ხელისუფლების რისხვა არ დაიმსახურონ. ეს წინა ხელისუფლებისგან გამოყოლილი შიშიცაა, როდესაც ბიზნესს მხოლოდ მმართველი პარტიისა და მათი სატელიტების დაფინანსება ევალებოდა, სხვა შემთხვევაში აუცილებლად სანქციები მოჰყვებოდა. ხელისუფლება უნდა გამოვიდეს და მოუწოდოს ბიზნესს, დაეხმაროს საზოგადოებრივ ძალებს, მკაფიოდ უნდა გაცხადდეს, რომ ამას არ მოჰყვება სანქციები. დღეს ოპოზიცია სუსტია, ძირითადად, დისკრედიტებული, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. მათი უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით უკვე იყო ხელისუფლებაში და ვნახეთ, რა შეუძლიათ და რა არა. მედიის მიერ ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური ველი აფერხებს ჯანსაღი პროცესების განვითარებას და ეს ქვეყნისთვის პრობლემაა. ხალხის უმრავლესობა ვერ ხედავს მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალას. ეს კი არასტაბილურობის საფუძველია და, ადრე თუ გვიან, სერიოზულ დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანს, რითაც ისარგებლებენ ჩვენი არაკეთილმოსურნეები ქვეყნის გარეთ.

**— ბატონო ირაკლი, ამბობთ, რომ „1990-იან წლებში ჩვენი უგუნურებით 260 მილიარდი დოლარის კაპიტალიზაციის ინდუსტრია ჯართში ჩავაბარეთ“. ჩემი აზრით, უნდა იყოს: 1990-იან წლებში ჩვენი უგუნურებით 260 მილიარდი დოლარის კაპიტალიზაციის ინდუსტრია ჯართში ჩაგვაბარებინეს ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“. მეთანხმებით?**

— ჩვენ დასავლეთზე რომანტიკული წარმოდგენა გვქონდა. წარმოსახვაში ველოდით „მარშალის გეგმას“, ბევრი დღესაც ამის იმედზეა, მაგრამ ეს ფუჭი მოლოდინია. აღმოჩნდა სულ სხვა რამ: ჩამოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ არ გვჭირდება ინდუსტრია. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში მთავარი არის ბაზარი და კონკურენცია. დღეს არსებობს ჭარბწარმოება და პოტენციურ კონკურენტებს სხვადასხვა მეთოდით იშორებენ. მაგალითად, **1990-იან წლებში შემოვიდა უცხოური ფირმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩაის მრეწველობას ააღორძინებდა. მათ კი მხოლოდ მუშაობის იმიტაცია ჰქონდათ წლების განმავლობაში. გავიდა დრო, ჩაის პლანტაციები გავერანდა, ჩაის ფაბრიკები მოძველდა, ჩაის გადამამუშავებელი ხაზები დაიჟანგა და ჯართში წავიდა. 300-მილიონიან ბაზარს ვამარაგებდით ქართული ჩაით. დღეს კი მხოლოდ პლანტაციების აღდგენას 500 მილიონი დოლარი სჭირდება.** ეს იყო კონკურენტის ჩამოშორების კარგად ორგანიზებული ოპერაცია მსოფლიო ჩაის წარმოების გიგანტების მიერ ჩატარებული. შედეგად, **დღეს მივირთმევთ აზერბაიჯანულ ჩაის, ჩვენს მედიაში კი კვლავ გრძელდება შეკვეთილი სტატიების გამოქვეყნება, რომ ქართული ჩაი უხარისხოა და ამ სექტორის განვითარებას აზრი არ აქვს.** მამაჩემი ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი იყო, ინჟინერ-გამომგონებელი. ბავშვობაში მიწევდა ქარხნის საამქროებში ყოფნა, იქ 2000 კაცზე მეტი მუშაობდა და ჩაის გადამამუშავებელ ხაზებს აწარმოებდნენ, 22 ქვეყანა ყიდულობდა მათ დანადგარებს. ეს ქარხანა დავანგრიეთ, ჯართში ჩავაბარეთ და იქ სტადიონი აშენდა. სტადიონი კარგია, მაგრამ უნიკალური ქარხნის დაკარგვა გამოუსწორებელი დანაშაულია. ასეა ბევრი მიმართულებით. **ავიღოთ „ფრონტერა“, რომელიც კახეთში ნავთობს ეძებდა 1997 წლიდან. ისინი ამბობენ, რომ 550 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს საძიებო სამუშაოებში და 120 მილიონი ამოიღეს, თუმცა, 23 წელია, არ ეშვებიან. მე ამგვარი ბიზნესი არ გამიგია. სპეციალისტები უკეთ იტყვიან, მაგრამ გარედან ისე ჩანს, რომ ეს ყველაფერი ძიების იმიტაცია უფრო იყო. ვის უნდა აძლევდეს ხელს ნავთობის ფუჭი ძიების იმიტაცია? — იმას, ვისთვისაც საქართველო ნავთობპროდუქტების გასაღების ბაზარია.** ცოტა ხნის წინათ საქართველოს ცნობილი ნორვეგიელი ეკონომისტი სტუმრობდა. მან გვითხრა, რომ წარმოების განვითარების გარეშე მუდამ ღარიბები იქნებითო. უცხოელებს მოუსმინეთ, მაგრამ ისე არ გააკეთოთ, როგორც ისინი გირჩევენ, ისე გააკეთეთ, როგორც ისინი თავის ქვეყნებში აკეთებენო. საბოლოო ჯამში, მაინც ჩვენ ვართ დამნაშავე უზარმაზარი ინდუსტრიის განიავებაში. ჩვენ თავის დროზე ქვეყნის ტექნიკური ელიტა, დარგების სპეციალისტები, „ჩავრეცხეთ“ და სახლში დავსვით — აქაოდა კომპარტიის წევრები არიანო. სლავური წარმოშობის ხალხი, რომლებიც, ქარხნებში, ძირითადად, ვიწრო სპეციალობის ტექნიკურ სამუშაოებს ასრულებდნენ, დავაშინეთ და ქვეყნიდან გავაქციეთ. ახლა ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. ჩემი გამოთვლებით, იმ 260-მილიარდიანი ინდუსტრიიდან, რომელიც გვქონდა, შეიძლებოდა სიმძლავრეების 60%-ისა და სპეციალისტების უმრავლეობის შენარჩუნება.

**— ბატონ ირაკლი გოგავას არ ვეთანხმები მხოლოდ ერთში: ერთხელ, „ობიექტივში“ სტუმრობისას, მან განაცხადა, რომ, თუ გვინდა ძლიერი სოფლის მეურნეობა გვქონდეს, სოფლების მაგივრად პატარა დაბა-ქალაქები უნდა იყოს და სოფლების მიწები უნდა გაერთიანდეს.**

**ამ მხრივ უფრო ნდობას ვუცხადებ პროფესორ პაატა კოღუაშვილს. ღმერთმა დაგვიფაროს საქართველო ქართული სოფლის გარეშე.**

— სოფლის მეურნეობა განაგრძობს დეგრადაციას. 2000 წელს იხვნებოდა 800 ათასი ჰექტარი, დღეს ამუშავებენ 207 ათასს. სოფლად თვითდასაქმებულია მოსახლეობის 43% და ის ქმნის მშპ-ს 8%-ს. ეს კატასტროფაა. მიწები პატარა ნადელებად არის დანაწილებული, მისი დამუშავება არარენტაბელურია და შრომის ნაყოფიერება მიზერულია. ისრაელში სოფლად ცხოვრობს 7%, ჰოლანდიაში — 8%. ეს ორი ქვეყანა მსოფლიო ლიდერები არიან აგრარულ სფეროში. ურბანიზაცია გარდაუვალი პროცესია, ის მაინც მიმდინარეობს ველურად, მოუწესრიგებლად, არასწორად. აქ საჭიროა სახელმწიფო პროგრამა, რათა მოსახლეობა თვითდინებით მხოლოდ თბილისსა და ბათუმში კი არ მიდიოდეს ნაქირავებ ოთახებში, არამედ გადანაწილდეს სხვა ქალაქებში ნორმალურ პირობებში. ჩვენთან კლიშეებით აზროვნებენ, არსებობს კლიშე: „სოფელი არ უნდა დაიცალოს“, „სოფელში ჯანმრთელი ხალხია“. ქალაქის მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 7-8 წლით მეტია, ვიდრე სოფლის. თანაც ამ კლიშეებს ვინც იმეორებს, უმრავლესობა ქალაქის მცხოვრებია და, ქუდი რომ შეუგდო, სოფელში არ გადავა საცხოვრებლად, ან თუ წავა, რამდენიმე თვეში უკან დაბრუნდება. **ჩვენს ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში არ ექნება იმის რესურსი, რომ ურბანიზებული სოფელი მოაწყოს, როგორც ეს იტალიაში ან საფრანგეთშია, სადაც განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, მომსახურების იმ ხარისხს მიაწვდის, როგორიც ქალაქშია. ვფიქრობ, აუცილებელია ინდუსტრიალიზაცია-ურბანიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც, თბილისისა და ბათუმის გარდა, სხვა ქალაქებში მოხდება ახალი მიკრორაიონების მშენებლობა, სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული გადმოყვანა და დასაქმება.** ბინები ახალგადმოსულ ოჯახებს უფასოდ უნდა გადაეცეთ ან შეიძლება მათ საკუთრებაში არსებულ მიწებში გაცვლა, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს საშუალება, გაამსხვილოს მიწები. ქალაქებში გადმოსული ხალხი მეტ პროდუქტს შექმნის და მეტ სარგებელს მოუტანს საკუთარ ოჯახსაც და ქვეყანასაც. ბევრიც უარს იტყვის გადმოსვლაზე. მათ კი უნდა დავეხმაროთ იქ, ადგილზე. გლეხი სოფლის მეურნეობას ვერ ააღორძინებს, სოფლის მეურნეობა მსხვილმა ფერმერმა უნდა ააღორძინოს. გლეხური მეურნეობები საჭიროა და აუცილებელიც, ალბათ, უფრო ორგანული, ეკოპროდუქტის წარმოებისთვის. ვინც ამ იდეას გააკრიტიკებს, ვურჩევ, თემა უფრო ღრმად შეისწავლოს, გააანალიზოს და, თუ მაინც არ დამეთანხმება, თვითონ გადავიდეს სოფელში და ასე გააძლიეროს. მეც მინდა სავსე და ძლიერი სოფელი, მაგრამ დღეს ეს არ არის რეალური და თავი არ უნდა მოვიტყუოთ. მომავალში შეიძლება, როცა ქვეყანა მდიდარი იქნება.

**— რა არის საჭირო სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად?**

— ამ საკითხზე რამდენიმე ათეული დისერტაციის დაწერა შეიძლება. რასაც გავიხსენებ, ინტერვიუს ფორმატში მოკლედ გეტყვით. ▶

**„1990-იან წლებში შემოვიდა უცხოური ფირმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩაის მრეწველობას აალორძინებდა. მათ კი მხოლოდ მუშაობის იმიტაცია ჰქონდათ წლების განმავლობაში. გავიდა დრო, ჩაის პლანტაციები გავერანდა, ჩაის ფაბრიკები მოძველდა, ჩაის გადამამუშავებელი ხაზები დაიჟანგა და ჯართში წავიდა. 300-მილიონიან ბაზარს ვამარაგებდით ქართული ჩაით. დღეს კი მხოლოდ პლანტაციების აღდგენას 500 მილიონი დოლარი სჭირდება. ეს იყო კონკურენტის ჩამოშორების კარგად ორგანიზებული ოპერაცია მსოფლიო ჩაის წარმოების გიგანტების მიერ ჩატარებული. შედეგად, დღეს მივირთმევთ აზერბაიჯანულ ჩაის, ჩვენს მედიაში კი კვლავ გრძელდება შეკვეთილი სტატიების გამოქვეყნება, რომ ქართული ჩაი უხარისხოა და ამ სექტორის განვითარებას აზრი არ აქვს“.**

მკითხველი ამრჩელების საუბარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აუცილებელია შემდეგი კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება: **1.** მიწების გამსხვილება 100 ჰექტარიდან ზევით; **2.** საირიგაციო, წვეთოვანი სისტემების მასობრივად მოწყობა და მათი ადგილზე წარმოება; **3.** სათბურის ბუნებრივი აირის ტარიფის დაწესება (5-10 თეთრი 1 კუბურ მეტრზე); **4.** თანამედროვე სასათბურე კონსტრუქციების, მასალების, ტექნოლოგიების ადგილზე წარმოება და მისი განვადებით გადაცემა ფერმერთათვის; **5.** დიზელზე მომუშავე მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შეზღუდვა და დიზელის ფასის დადგენა (50-70 თეთრი); **6.** სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების გათავისუფლება გადასახადებისგან და მათი ხარისხის კონტროლი; 7. აგროდაზღვევის მასშტაბური პროგრამა; **8.** სახელმწიფო აგრობანკი და 1-3%-იანი სესხები ფერმერებისთვის და სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოებისთვის; **9.** სააქციო საზოგადოება „სავაჭრო ქართული სახლის“ დაფუძნება, რომელიც სამართლიან ფასად და გარანტირებულად ჩაიბარებს მოსავალს, გადაამუშავებს და გაიტანს ექსპორტზე (ე.ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება-ვაჭრობის ცენტრალიზებული სისტემა); **10.** სამაცივრე, სასაწყობო, შესაფუთავი, ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა რეგიონების მიხედვით; **11.** ინდივიდუალური მცირე ფერმერების ორგანული პროდუქტის წარმოების წახალისება; **12.** ქარსაცავი ზოლების, ტყის ზოლების, ტბებისა და ტბორების მასიური გაკეთება; **13.** პროდუქციის ხარისხის კონტროლი; **14.** იმპორტული სურსათის ხარისხის კონტროლი, დემპინგის შეჩერება და იმპორტულ სუბსიდირებულ აგროპროდუქტზე საკომპენსაციო მოსაკრებელი; **15.** ხორბლის, სიმინდის ადგილზე წარმოება; **16.** სახელმწიფოს დონეზე მხარდაჭერა ქართული აგროპროდუქტის მეზობელ ქვეყნებსა და ევროკავშირში გატანისას.

მეცხოველეობას, მეთევზეობას ცალკე პროგრამა სჭირდება, ისევე როგორც გადამამუშავებელ კვების მრეწველობას.

**— ამ მხრივ ნდობას ვუცხადებ პროფესორ პაატა კოღუაშვილს. ღმერთმა დაგვიფაროს საქართველო ქართული სოფლის გარეშე!**

— ქართულ სოფელში მოსახლეობის 25% ოპტიმალური იქნებოდა ჩვენს სიტუაციაში. მომავალში, როცა გვექნება რესურსი, სოფელში მცხოვრებ ადამიანს მოვუაროთ ჯეროვნად, ანუ მივაწოდოთ ანალოგიური ხარისხის განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სერვისები, რასაც ქალაქელი იღებს. ბევრი შეიძლება დაბრუნდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს საზღვრისპირა სოფლები ან კიდევ სპეციფიკური სოფლები, რომელთაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ და მათ სერიოზული ყურადღება სჭირდება. ეს ქვეყნის უსაფრთხოებასთანაც არის დაკავშირებული.

**— ჩვენი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური გარანტიების მისაღებ ერთ-ერთ პროექტად საქართველოს საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად გადაქცევას მიიჩნევთ. საინტერესოა, ამ მხრივ გამოითქვა თუ არა დაინტერესება მსოფლიოს „ფინანსური მოთამაშეების“ მხრიდან?**

— ამ საკითხზე გავიარე კონსულტაცია ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის — „სიტიბანკის“ ტოპ მენეჯერთან. ჩემი იდეა მან დადებითად შეაფასა და მითხრა, რომ სავსებით რეალურია მხოლოდ რეგიონის ქვეყნებიდან 200-300 მილიარდი დოლარის მოზიდვა საქართველოს ფინანსურ ჰაბში, თუ, რა თქმა უნდა, შესაბამისი შეღავათები, რეგულაციები და გარანტიები იქნება მთავრობისგან. უმთავრესი კი ამ საქმეში სამართალია, ანუ ამ ფინანსურ ცენტრს ინგლისური, შვედური ან გერმანული სამართალი უნდა მოემსახუროს. შესაძლებელია ეკონომიკური არბიტრაჟის ორგანიზებაც — ეს ცალკე ბიზნესია და შემოსავლის მომტანი, ისევე როგორც სასამართლო.

**რედაქციისგან: — საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა — ეს არის ჩვენი საერთაშორისო სტატუსი, რომელიც გაეროს მიერაა აღიარებული. დღეს გაბატონებული კონცეფციის მიხედვით, მსოფლიოში არის განვითარებული ქვეყნები და განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც თავიანთი სტატუსის გამო არ ეკუთვნით მოწინავე მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ. ამ და სხვა სფეროშიც ისინი უნდა იყვნენ განვითარებული ქვეყნების პროდუქციის მომხმარებლები. ეს დღევანდელი მსოფლიო წესრიგი საერთაშორისო ფინანსური წრეების მიერაა დადგენილი. აძლევთ კი ხელს დღევანდელი მსოფლიო წესრიგის მესვეურთ საქართველოს რეგიონულ ფინანსურ ცენტრად გადაქცევა? ჩვენი გაგებით რეგიონული ფინანსური ცენტრი ხომ ქვეყნის განვითარებისთვის გვინდა. დაუშვებენ დღევანდელი არსთა გამრიგენი საქართველოს, როგორც ქვეყნის, განვითარებას?**

— ჰონგ კონგი ან სინგაპური რით იყვნენ ჩვენზე უკეთესები, როცა დაიწყეს ამ პროექტის განვითარება? მეთევზეების ჩამორჩენილი ქალაქები იყო. ეს უკვე ჩვენს მარიფათზე, კომპეტენციაზე, დიპლომატიურ ნიჭზეა დამოკიდებული. მე ვხედავ გზას, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. შევთავაზებთ კომპლექსურ მოდელს, უწინარესად, ჩვენი და შემდეგ ყველა დიდი მოთამაშის ინტერესის გათვალისწინებით.

**— ასეთი სტატუსის მიღება შესაძლებელია უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების გარეშე?**

— ფინანსური ცენტრის სტატუსის მიღება თავისთავად გულისხმობს უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებს, სწორედ ამიტომაცაა ის ორმაგად საინტერესო.

**— კიდევ ერთი კითხვა იმავე ჭრილში: საერთოდ, შესაძლებელია საქართველოს განვითარება იმ საერთაშორისო პარადიგმის პირობებში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. მიმაჩნია, რომ 5-6 წელიწადში შესაძლებელია ეკონომიკის გაორმაგება. ამას ჰაერიდან არ ვამბობ, დეტალურად გავაანალიზე შესაძლებლობები, სტატისტიკა, ბაზრები. **პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის განვითარების დეტალური გეგმა, რომელშიც თითოეული სოფლის, დაბის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის განვითარება ზოგადი სიტყვებით კი არ იქნება წარმოდგენილი, არამედ კონკრეტულ ციფრებში: რა საწარმო შენდება, რამდენია ხარჯთაღრიცხვა, გასაღების ბაზარი, რამდენი დასაქმდება, რა იქნება ხელფასი, რას მიიღებს ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტი, რაში დაიხარჯება ამოღებული თანხა, რა საკრედიტო პორტფელია საჭირო, რა ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს, რა კლინიკა უნდა აშენდეს, ბიბლიოთეკა, სკოლა, პროფსასწავლებელი, თეატრი, გზა, ხიდი და ა. შ.** ფაქტია: ინდუსტრიის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული სახელმწიფო. სხვაგვარად სიღარიბისთვის ვართ განწირულნი. ინდუსტრიალიზაციის წარმატება წარმოუდგენელია განათლების გარეშე. შეგიძლიათ, ნახოთ საერთაშორისო ფონდები, არც ერთი არ გვიფინანსებს ინჟინრების, მშენებლების, ექიმების, ქიმიკოსების, ფიზიკოსების, გეოლოგების სწავლას. იურისტების, პოლიტოლოგების და სხვა ჰუმანიტარულ მიმართულებებს — რამდენიც გინდა. არადა, განვითარება სწორედ ინჟინრებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს მოაქვთ. განვითარების დეტალური გეგმა, დავარქვათ „ქართული პროექტი“, დიდი სამუშაოა, რესურსიც სჭირდება. ეს მთავრობამ უნდა ითავოს, მხოლოდ ისე, რომ მუშაობის პროცესში ინტერესთა ჯგუფების, ცალკეული უცხოური კომპანიების, იმპორტიორებისა და უცხო სახელმწიფოების ინტერესების დამცველი ხალხი გავლენას ვერ ახდენდეს გეგმის შემუშავებაზე. გეგმის გარეშე მხოლოდ მეტი გაღარიბება და ვალებში ჩაფლობა გვემუქრება. თანაც საჭიროა გრძელვადიანი — 30-წლიანი გეგმა და ასევე მოკლევადიანი — 4-5-წლიანი გეგმა. სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე განვითარება გამორიცხულია. არსებობს კლიშე „სახელმწიფო ცუდი მენეჯერია“. არა, ბატონებო, „ცუდი სახელმწიფოა ცუდი მენეჯერი“! **შეხედეთ აშშ-ს, ფინეთს, სამხრეთ კორეას, ტაივანს, სინგაპურს, პოლონეთს... სახელმწიფოს უშუალო ჩარევით მოხდა ყველგან ეკონომიკური ბუმი. კერძო სექტორი ველური, დაურეგულირებელი კაპიტალიზმის პირობებში უპასუხისმგებლოა და მხოლოდ მაქსიმალური მოგებაა მისი მიზანი, რითაც აზარალებს ეკონომიკას, ხალხს, ქვეყანას და იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თვითონ ზის.** სახელმწიფომ სწორი რეგულირების მეშვეობით უნდა ჩააყენოს ბიზნესი, ბანკები ქვეყნის განვითარების სამსახურში, თანაც ისე, რომ ბიზნესს ეს უღირდეს, ანუ მოგება მიიღოს და განვითარდეს, მეტი ხალხი დაასაქმოს, მეტი გადასახადები გადაიხადოს, რომლებითაც ჩვენ სკოლებს, თეატრებს, სპორტს, გზებს და სხვა სასარგებლო სოციალურ სფეროებს დავაფინანსებთ.

**— გარდა ოქროს ხანისა, საქართველო ყოველთვის იყო ფარვატერული ქვეყანა. ისტორია ამას ადასტურებს. თქვენ, ბატონო ირაკლი, შეგვახსენებთ, რომ გაერომ გადაშენების გზაზე მდგომ ერად გამოგვაცხადა და ამბობთ, რომ ჩვენ „მოთმინებით ვუსმენთ ყალბ ლიბერალურ დოქტრინებს და ვემსახურებით ყველას ინტერესებს, გარდა საკუთარისა“. გჯერათ, რომ საქართველომ ოდესმე შეიძლება თავი დააღწიოს სხვის ფარვატერში მიდევნების რეალობას?**

— დემოგრაფია და მოსახლეობის კლება ჩვენი ყველაზე მტკივნეული საკითხია. მას მხოლოდ ეკონომიკური განვითარებით არ ეშველება. არსებობს აპრობირებული საერთაშორისო გამოცდილება და მთელი წყება ინსტრუმენტებისა, რომლებითაც ვითარების გამოსწორება შეიძლება — ამაზე რესურსი არ უნდა დავიშუროთ. **ერთი ადამიანის გამოკვებას 0,6 ჰექტარი მიწა სჭირდება, ჩვენ 3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა გვაქვს, საძოვრების ჩათვლით. გამოდის, რომ შეგვიძლია 5 მილიონი ადამიანის გამოკვება საკუთარი რესურსით. პრობლემა კი ისაა, რომ მხოლოდ 20%-ს ვიყენებთ ამ რესურსის — საკუთარი სურსათისა და აგროპროდუქტის წარმოებით ჩვენ მხოლოდ 1 მილიონ ადამიანს ვკვებავთ, ამიტომ გადაუდებლად აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, რათა უზრუნველვყოთ თუნდაც ამ 3,7 მილიონი ადამიანის გამოკვება საკუთარი ძალებით და საფუძველი ჩავუყაროთ შემდგომ ზრდას.** მსოფლიოში 1945 წლიდან მიმდინარეობს შობადობის კონტროლის მასშტაბური ღონისძიებები, 1970-იანი წლებიდან ეს კიდევ უფრო მასშტაბური გახდა, ხოლო 90-იანი წლებიდან პლანეტარულ სიდიდეს მიაღწია. ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და უფრო ინტენსიურ სოფლის მეურნეობას უნდა მივხედოთ. ისე უნდა მოვახერხოთ, რომ 4-5 მილიონი ადამიანის საკუთარი ძალებით გამოკვება შევძლოთ. დღეს სურსათის 80% უცხოეთიდან შემოგვაქვს. **ნახეთ „რომის კლუბის“ მოხსენება „ზრდის ზღვარი“, რომელიც მედოუზმა დაწერა 1970-იან წლებში და მიხვდებით, რასთან გვაქვს საქმე და რატომ ხდება ნეოლიბერალური დღის წესრიგის პროპაგანდა. სხვათა შორის, ამ მოხსენების წინამორბედი ქართველი მეცნიერების — გვიშიანისა და გელოვანის მოხსენება იყო „რომის კლუბის“ ეგიდით.** ამ თემაზე მეტს აღარ ვისაუბრებ. სჯობს, საზოგადოებამ თვითონ გააანალიზოს.

**«ერთი ადამიანის გამოკვებას 0,6 ჰექტარი მიწა სჭირდება, ჩვენ 3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა გვაქვს, საძოვრების ჩათვლით. გამოდის, რომ შეგვიძლია 5 მილიონი ადამიანის გამოკვება საკუთარი რესურსით. პრობლემა კი ისაა, რომ ამ რესურსის მხოლოდ 20%-ს ვიყენებთ — საკუთარი სურსათისა და აგროპროდუქტის წარმოებით მხოლოდ 1 მილიონ ადამიანს ვკვებავთ, ამიტომ გადაუდებლად აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, რათა უზრუნველვყოთ თუნდაც ამ 3,7 მილიონი ადამიანის გამოკვება საკუთარი ძალებით და საფუძველი ჩავუყაროთ შემდგომ ზრდას»**



**ინდუსტრიალიზაციის წარმატება წარმოუდგენელია განათლების გარეშე. შეგიძლიათ, ნახოთ საერთაშორისო ფონდები, არც ერთი არ გვიფინანსებს ინჟინრების, მშენებლების, ექიმების, ქიმიკოსების, ფიზიკოსების, გეოლოგების სწავლას**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რადგან მკვლელი ქართველი არ არის, მორჩა, აღარც რასიზმი და ქსენოფობია აღელვებს ვინმეს და აღარც მოკლული. ფაქტი საინტერესო მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მკვლელი ქართველია. აი, მკვლელის არაქართველობა ყოველგვარ ინტერსს სპობს, თორემ მკვლელის ქართველობის შემთხვევაში, გამოძიების გარეშეც, იმასაც ასკვნიან ქართველების მლანძღველი ქართველები, რომ ეს მკვლელობა აუცილებლად „რასისტულ“ ნიადაგზე მოხდა.**

# ქართული თვითგვემის მოდა და ილია ჭავჭავაძის ნეოლიბერალური გაგება

**ვინმეს შეიძლება თავისი ერი კი არა, თავისი ოჯახი — დედა, მამა, და, ძმა — არ უყვარდეს, არ მოსწონდეს, მიუღებლად და სამარცხვინოდ მიაჩნდეს და ლანძღავდეს. ზოგჯერ ასეც ხდება. ყველას აქვს ამის უფლება და იმის უფლებაც, რომ წავიდეს თავისი ოჯახიდან და ისეთებთან იცხოვროს, ვინც მოსწონს. რამდენად კარგი და ზნეობრივი საქციელია ეს, სხვა საკითხია, მაგრამ ამაში გარკვეული ლოგიკა ნამდვილად არის. სამაგიეროდ, იმაში, როგორც „ღამურას მენტალიტეტის“ მქონე ჩვენი საზოგადოების ნაწილი იქცევა, ვერც ზნეობას იპოვით სადმე, მით უფრო, ვერც ლოგიკას.**




**ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის ძალისხმევით საქართველომ შეძლო კულტურული და მეცნიერული წინსვლა, განვითარება და უკვე საბჭოთა პერიოდში მყარადაც დადგა ფეხზე ამ მიმართულებებით. დღეს კი რა ხდება? რაც უნდა ტრაგიკული, მიუღებელი, საშინელი ფაქტი მოხდეს, კონკრეტული ადამიანების გამო კი არ ვწუხვართ, არამედ იმის გამო, რომ «მსოფლიოს თვალში შევრცხვებით» თურმე, ამიტომ ვიღაც მართლა გასართობად ჩამოთრეული ვიგინდარა ევროპელ-ამერიკელების წინაშეც კი თავი უნდა დავხაროთ და საკუთარი ერი უნდა ვლანძღოთ**

ქართველების ლანძღვა, ნებისმიერი უარყოფითი ფაქტის გახმაურებისთანავე მოთქმა-გოდება, რომ ასეთი ცუდები, ბოროტები, გაუტანლები, მოძალადეები, მკვლელები და კიდევ ათასი სხვა უბედურება მხოლოდ ქართველები ვართ და სხვა ერები ჩვენზე უფრო კულტურული და კეთილი არიან, უკვე ჩვეულებრივ ტრენდად იქცა ჩვენში.

ამის ნათელი მაგალითია მკვლელობა, რომელიც თბილისში ერთი კვირის წინათ მოხდა. საუბარია საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული ინდოეთის მოქალაქის მკვლელობაზე, რომელიც საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურდა. მეზობლად მცხოვრებმა პირმა ინდოელს სამი ტყვია დაახალა და ადგილზე მოკლა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა შემზარავი და ცუდი ფაქტია, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ნორმალურ ადამიანს თუ სურს, მომხდარი ფაქტი შეაფასოს, წესით, სასამართლოს საბოლოო ვერდიქტს თუ არა, წინასწარი გამოძიების მონაცემებს მაინც უნდა დაელოდოს.

ამ შემთხვევაში კი რა მოხდა? მკვლელობის ფაქტის შესახებ მედიაში ცნობების გავრცელებიდან 15 წუთში სოციალური ქსელების ქართულენოვანი მომხმარებლების გვერდები აჭრელდა პოსტებით: **„აი, ქართული ფაშიზმის კიდევ ერთი გამოვლინება. ბოლოს და ბოლოს როდის უნდა ჩამოვყალიბდეთ კულტურულ ხალხად?“, „ფუ! მეზიზღება ჩემი თავი, დღეს მეც ქართველი რომ მქვია. რასიზმის მედროშეები და სამარცხვინოები ვართ ქართველები!“, „ყურადღება! ქართველმა ფაშისტმა რასისტულ ნიადაგზე მოკლა ინდოელი სტუმარი! ეს უკვე მერამდენედ. სამარცხვინო ერი ვართ. ევროპაში უნდა შევიდეთ კი არა, უნდა გადავშენდეთ საერთოდ!“, „სოს! ქართველმა ფაშისტებმა ამჯერად ინდოეთის მოქალაქე მოკლეს. ახლავე უნდა დავიწყოთ ფართომასშტაბიანი პროტესტი, თორემ მსოფლიოში შევრცხვებით! როდემდე?“**

ასეთი შინაარსის პოსტები და მოწოდებები მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა, სანამ არ დადგინდა, რომ ინდოელის მკვლელი ქართველი კი არა, სომეხი იყო...

რა თქმა უნდა, ისიც ნამდვილია, რომ რა ეროვნებისაც უნდა იყოს მკვლელი, ეს ფაქტის სიმძიმეს არ ცვლის. მაშ, **რატომ გავუსვი ხაზი იმას, რომ მკვლელი სომეხია და არა ქართველი? იმიტომ, რომ ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, უმალ შეწყდა საწყალი მოკლული ინდოელის „ჭირისუფალთა“ აქტივობა სოციალურ ქსელში.** რა პოსტებიც ჰქონდათ გამოქვეყნებული, ისიც წაშალეს და იმის მერე აგერ, ერთი კვირაა, აღარავინ დაინეტერსებულა, დაიჭირეს თუ არა მკვლელი ან აქვს თუ არა რაიმე პრეტენზია და სატქმელი მოკლულის ოჯახს.

ერთი სიტყვით, რადგან მკვლელი ქართველი არ არის, მორჩა, აღარც რასიზმი და ქსენოფობია აღელვებს ვინმეს და აღარც მოკლული. ფაქტი საინტერესო მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მკვლელი ქართველია. აი, მკვლელის არაქართველობა ყოველგვარ ინტერსს სპობს, თორემ მკვლელის ქართველობის შემთხვევაში, გამოძიების გარეშეც, იმასაც ასკვნიან ქართველების მლანძღველი ქართველები, რომ ეს მკვლელობა აუცილებლად „რასისტულ“ ნიადაგზე მოხდა. არც ექსპერტის დასკვნაა საჭირო საამისოდ, არც მოწმეთა, ეჭვმიტანილისა და მოკლულის ოჯახის წევრების დაკითხვა. **მკვლელი ქართველია და მოკლული არაქართველი? მორჩა! ესე იგი, მკვლელობა აუცილებლად რასისტულ ნიადაგზეა ჩადენილი, რადგან ქართველები, მსოფლიოში ცნობილი „ღრუზინები,“ ქსენოფობები, რასისტები, მოძალადეები და ნაგვები ვართ.** ამ ადამიანთა დიდი პროცენტი, რომლებიც ქართველებს ასე ლანძღავენ, ფაქტობრივად, თვითგვემით არიან დაკავებულნი, რადგან თვითონაც ქართველები არიან. საინტერესოა ისიც, რომ მათი უმრავლესობა ხშირ-ხშირად ახსენებს **ილია ჭავჭავაძეს.** ვლაპარაკობ „ლიბერალური“ მიდრეკილებების ადამიანებზე, უფრო ზუსტად, მათზე, ვინც თავის თავს ლიბერალად მიიჩნევს. სინამდვილეში კი, ასეთი ადამიანები ლიბერალები კი არა, უბრალოდ, გამოშტერებულები არიან. ვინაიდან, საზოგადოდ, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევა საქართველოში რეალურად ლიბერალური აზრების შემომტანად და გამავრცელებლად, თანამედროვე „ლიბერალი“ ბიჭუშკებისა და გოგოშკების სამჭედლოც ხომ ამ მართლაც გენიალური მოღვაწის სახელობის უნივერისტეტია. არადა, სინამდვილეში, ამ მახინჯი მსოფლმხედველობის სექტასთან, რომელსაც ჩვენ ლიბერალებად კი არა, „ლიბერასტებად“ მოვიხსენიებთ ხოლმე, ილია ჭავჭავაძესა და მის შეხედულებებს საერთო ძალიან ნაკლებად აქვს. შორს რომ არ წავიდეთ, ილიას ყველაზე ცნობილი გამონათქვამი, მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი და, თუ გნებავთ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მთავარი სლოგანი **არის „მამული, ენა, სარწმუნოება!“**

ერთი მითხარით, რა აქვს საერთო ამ ფრაზას იმ სექტასთან, რომელიც საქართველოს „მამულად“ კი არა, უბრალო „ტერიტორიად“ აღიქვამს? და სადაც, მათი აზრით, ეთნიკური ქართველები უმცირესობაშიც რომ დარჩნენ, ისინი პრობლემას ვერ ხედავენ და ამას საჯაროდ გამოხატავენ? **რა აქვთ საერთო ამ გენიალურ ეპოქალურ ფრაზასთან იმ სექტის წევრებს, რომლებიც საჯაროდ ამასხარავებენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და პირადად პატრიარქს? სად ხედავენ ილიასთან სულიერ ნათესაობას იმ სექტის წარმომადგენლები, რომლებმაც ქართული ენა უკვე დააბინძურეს უამრავი ინგლისური ბარბარიზმით და ეს პრობლემადაც არ მიაჩნიათ?**

საბჭოთა კავშირის პერიოდშიც იყო ქართულში შემოჭრილი უამრავი რუსული სიტყვა, მაგრამ ამას ლამის ოფიციალურ დონეზე ვებრძოდით და სამარცხვინო მოვლენად ვაცხადებდით, დღეს კი რაც მეტ ინგლისურ სიტყვას გაურევ საუბარში, მით უფრო „გამოსულ ტიპად“ ითვლები. ეგ კი არა, ტელევიზიების დიქტორებიც კი საუბრისას სიტყვების ლამის ნახევარს ინგლისურ ბარბარიზმებს იყენებენ და ეს არავის მიაჩნია სამარცხვინოდ და დაუშვებლად.

გეკითხებით — **რა აქვთ ამ ადამიანებს საერთო ილია ჭავჭავაძესთან, მის მოძღვრებასთან, მის შეხედულებებთან და რატომ იჩემებენ ასე უტიფრად მის სახელს?**

აკი, ილია ჭავჭავაძე თავის მოთხრობებში სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ რუსეთის კავკასიაში შემოსვლა მათი მხრიდან დაპყრობა იყო თუ დახმარება, არც ერთ შემთხვევაში უფლება არ აქვს ტერიტორიულად დიდი ქვეყნის წარმომადგენელს, ასე აბუჩად აიგდოს ქართველი ერი, როგორც ამის მცდელობა იყო ზოგიერთი რუსი გენერლისა თუ პოლიტიკური მოღვაწის მხრიდან.

**„მგზავრის წერილები“ სხვა რა არის? პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ რომელიღაც უცხო ერი, იმ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთი, ცდილობს, ქართველები ველურებად, უკულტუროებად, შეუგნებლებად გამოაცხადოს. და დღეს რა ხდება? როდესაც ვინმე უცხოელი ქართველ ერს ლანძღავს, საკადრის პასუხს კი არ ვცემთ, როგორც ამას იზამდა ილია ჭავჭავაძე, არამედ თავს ვხრით, ვეთანხმებით, „სირცხვილით ვწითლდებით“ და თვითგვემას ვიწყებთ: აბა რა, ჩვენნაირი ველურები განა არიან ღირსნი ევროპულ ოჯახში შესვლისაო?**

თუკი იმხანად, მეფის რუსეთის პერიოდში, ქართველის დაკნინება მიუღებელი იყო რუსისაგან, ეს დღესაც ხომ მიუღებელი უნდა იყოს?! მაშ, რატომ არის ეს მისაღები ამერიკელისგან, ფრანგისგან, ინგლისელისგან ან ვინმე სხვისგან?

არავინ თქვას, ევროპა ჩვენზე მართლაც მაღლა დგას განვითარებით, რუსეთი კი არ არის ეგრე განვითარებული და ამიტომ ევროპელებს უფლება აქვთ, გვლანძღონ, ხოლო რუსებს — არაო!

დავიწყოთ იმით, რომ ილია ჭავჭავაძის დროინდელი რუსეთი დიახაც რომ ჩვენზე განვითარებული იყო. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსეთში მაშინ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა, საქართველოში კი — არც ერთი. ქართველი მოღვაწეები კი უმაღლესი განათლების მისაღებად სწორედ რუსეთში მიდიოდნენ.

**მეორე** — რაც უნდა მაღლა იდგეს განვითარებით ვინმე შენს ქვეყანაზე, მას მაინც არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება, დაგაკნინოს და დაგამციროს. პირიქით, თუ ის მართლაც მეგობარია შენი ქვეყნის, კი არ უნდა გაგასწოროს მიწასთან, უნდა დაგეხმაროს განვითარებაში!

ვერც ის მიიღება არგუმენტად, რომ, როდესაც ჩვენ „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით, რუსები ხეზე დარბოდნენ თურმე! მაგ დროს, მეგობრებო, რუსებიც ხეზე დარბოდნენ, ფრანგებიც, ინგლისელებიც, გერმანელებიც და ამერიკა კი, საერთოდ რომ არსებობდა, არავინ იცოდა.

საქმე ის არის, რომ ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგ, მეთხუთმეტე საუკუნიდან, საქართველოს გამოეცალა „სამხრეთის კედელი“ და ოსმალეთის არნახულმა გაძლიერებამ ჩვენი ქვეყნის განვითარება, ფაქტობრივად, შეაჩერა. განვითარება კი არა, ქვეყანამაც „შეაჩერა“ არსებობა და მრავალ წვრილ „სამთავროდ“ დაყოფილი რაღას განვვითარდებოდით. ამის პარალელურად, განსაკუთრებით ინკვიზიციური ტალღებისა და ჯვაროსნული ომების დასრულების შემდგომ, უსწრაფესად განვითარდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები და მათთან ერთად რუსეთის იმპერია. საქართველო, შეიძლება ითქვას, მთელი 4 საუკუნე საერთოდ აღარ ვითარდებოდა, რამაც შექმნა ის სურათი, რომელზეც ზევით ვილაპარაკე და ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს „ჩაყლაპვის“ მომენტისთვის საქართველო, როგორც სამხედრო ტექნიკის, ასევე მეცნიერების კუთხით, ჩამორჩენილი იყო რუსეთთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, სწორედ **ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის ძალისხმევით საქართველომ შეძლო კულტურული და მეცნიერული წინსვლა, განვითარება და უკვე საბჭოთა პერიოდში მყარადაც დადგა ფეხზე ამ მიმართულებებით. დღეს კი რა ხდება? რაც უნდა ტრაგიკული, მიუღებელი, საშინელი ფაქტი მოხდეს, კონკრეტული ადამიანების გამო კი არ ვწუხვართ, არამედ იმის გამო, რომ „მსოფლიოს თვალში შევრცხვებით“ თურმე, ამიტომ ვიღაც მართლა გასართობად ჩამოთრეული ვიგინდარა ევროპელ-ამერიკელების წინაშეც კი თავი უნდა დავხაროთ და საკუთარი ერი უნდა ვლანძღოთ.**

არადა, არც ისაა გამორიცხული, რომ ის ევროპელი, რომლის წინაშეც ასე ძალუმად ვაწარმოებთ თვითგვემას ქართველების „რასისტობისა და ქსენოფობიის“ გამო, რეალურად ცნობილი ნორვეგიელი ქილერის, **ანდერს ბრეივიკის,** გარე ბიძაშვილი აღმოჩნდეს...

ბრეივიკმა კი რის გამო დახოცა რამდენიმე ათეული სტუდენტი, მათ შორის, ქართველი გოგონა თამთა ლიპარტელიანი, მგონი, გახსენება რთული არ არის და, თუ ვინმეს აღარ ახსოვს, შეუძლია ინტერნეტში მოიძიოს შესაბამისი მასალები.

**მივდივართ იქამდე, რომ მიწებს დაამუშავებენ უცხოელები, რომლებსაც აქ მოწეული პროდუქცია სამშობლოში მიაქვთ, რადგან ნატურალურია, და იქიდან შემოაქვთ ის, რაც საკვებად, პრაქტიკულად, უვარგისია, და ჩვენ ვჭამთ. შორს წასვლა რად გინდათ?! აგერ არის ირანი და თურქეთი — ქვეყნები, რომლებშიც საქართველოში მოწეული კარტოფილი და ხახვი გაედინება, იქიდან კი იაფი პროდუქცია შემოდის. აღარაფერს ვამბობ მსხვილფეხა პირუტყვზე, რომელიც ქარავნებად მიედინება აზიურ ქვეყნებში და იქიდან გაყინული, წლობით შენახული ხორცი შემოდის, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ ხან ნახევარფაბრიკატებში, ხანაც საშაურმეებსა და რესტორნებში.**

მიწა ჩვენი არსობისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისია ქართული მიწა? ვის მიწაზე აცხადებდა პრეტენზიას მოკლული ინდოელი?!

## უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან

**რუსეთში მილიონამდე ქართველი რომ ცხოვრობს, ახალი ამბავი არავისთვისაა. მილიონამდე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ რამდენიმე წლის წინათ რუსეთში წასული ქართველების რაოდენობა 800 ათასს აჭარბებდა და, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მას შემდეგ ამ ქვეყნისკენ გეზი კიდევ არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ აიღო. ეს მილიონამდე ადამიანი დაახლოებით ამდენივე ოჯახს არჩენს საქართველოში და, თუ ოჯახის რიცხოვნებას გავითვალისწინებთ, გამოვა, რომ მოსახლეობის, სულ ცოტა, ნახევარს საარსებო წყარო სწორედ რუსეთიდან აქვს.**

ასეთი მრავალრიცხოვანი დიასპორის არსებობა ორგანიზაციის გარეშე ვერ დარჩებოდა და, უკვე წლებია, რუსეთში არსებობს ქართველთა კავშირი, რომელსაც **მიხეილ ხუბუტია** თავმჯდომარეობს. ქართული პოლიტიკური სპექტრის ბევრი წარმომადგენლის აზრით, ხუბუტიას მთავარი მინუსი არის ის, რომ კარგი ურთიერთობა აქვს ქვეყნის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინთან** და მეგობრობს დუმის დეპუტატებთან (თვითონ ამბობდა ასე). ე.ი. ქართველ პოლიტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ხუბუტიას ცუდი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს პუტინთან და, საზოგადოდ, რუსეთი უნდა აკრიტიკოს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში, არავის აინტერესებს და მეტიც — განსაკუთრებით ოპოზიციას ძალიან აძლევს ხელს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მილიონამდე ქართველი რუსეთიდან გამოაძევონ. ამით ოპოზიცია ორ კურდღელს დაიჭერს — ჯერ ხმამაღლა იტყვის: ხომ გეუბნებოდით, რუსეთი მტერია, ნახეთ, ჩვენს მოქალაქეებს როგორ ექცევაო (პრინციპში, რატომ მარტო ოპოზიცია, ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტიც მაგ აზრზე არაა? ძვირფასი იმიტომ, რომ თავისი მარტო ერთი სულელური გამოხდომით ქვეყანა მილიარდით აზარალა. ამის მოხერხება არ გინდა? ოპოზიცია კიდევ ამაზე რატომღაც ხმას არ იღებს. — რედ.); და მეორე — მილიონამდე უმუშევარი ქართველი ნებისმიერ ხელისუფლებას წააქცევს და ეგ ოპოზიციისთვის დამატებითი შანსია. ხუბუტიასა და რუსეთში მყოფ ქართველებს ისევ დავუბრუნდებით, მანამდე კი 6 თებერვალს თბილისში მომხდარ მკვლელობაზე ვთქვათ.

შსს-ს ოფიციალური განცხადება: „შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1953 წელს დაბადებული **გ.მ.** განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ცხელ კვალზე თბილისში დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მეზობელი, 1986 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის (ეს ფრაზა ყველაზე საინტერესოა — რედ.) მოქალაქე **მ.მ.** ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა. ჭრილობების შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან მკვლელობის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო...“

ეს — ოფიციალურ განცხადებას რაც შეეხება და რაც დანაშაულის მიზეზზე აქ გარკვევით არ წერია, გეტყვით, რომ **ინდოეთის მოქალაქე დოდაშვილის ქუჩაზე მეზობელს, თბილისელ სომეხს მიწას ედავებოდა და დავა საბოლოოდ მკვლელობით დასრულდა.** დავიწყოთ იმით, რომ თავდაპირველად ყველა ტელევიზიამ თქვა, მოკლული პაკისტანის მოქალაქეაო — თავდაპირველად ვერავინ გაერკვა, რა ჯურისა და წარმომავლობის იყო ოჯახი, რომელიც დედაქალაქში მიწას იჩემებდა. **მერე გაირკვა, რომ ინდოელი ყოფილა და მეტიც, გარდაცვლილის სიმამრმა დანანებით აღნიშნა: საქართველო უსაფრთხო ქვეყანა მეგონა, აქ რომ ჩამოვედით, დიდი ფული დავხარჯეთ, სახლი და მიწები ვიყიდეთ, აქ დავმკვიდრდით და ახლა არ ვიცი, ჩემს ქალიშვილს რა ვუთხრაო. ანუ, მხოლოდ ოჯახი კი არ იყო ჩამოსული, დედაბუდიანად ჩამოსახლდნენ და ხმამაღლა ამბობენ: აქ დასახლება გვინდა, დიდი ფულიც დავხარჯეთ და ეს რა დაგვემართაო.** რა თქმა უნდა, მკვლელობის ფაქტს ვგმობთ, მაგრამ **პოლიცია ოფიციალურად რომ აცხადებს, უცხო ქვეყნის მოქალაქე მიწის გამო მოკლესო, კანონში კი გვიწერია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის მიყიდვა არ შეიძლებაო, ეგ როგორ არის?** პოლიცია, დიდი ალბათობით, არ გვატყუებს, დაღუპული მართლაც უცხო ქვეყნის მოქალაქეა და მაშინ, **სხვა სტრუქტურებმა და იმავე პოლიციამ უნდა აგვიხსნას, ეს უცხო ქვეყნის მოქალაქე რომელი მიწის გამო დავობდა თბილისში, როცა, კანონით, მიწის შეძენის უფლება არ აქვს?** გამოდის, კანონი დაარღვია ვილაცამ და ის ვილაც პასუხს არ აგებს. ჰოდა, ეთნიკურ სომეხს რომ ამოუყვანა ყელში და იქამდე მიიყვანა, რომ 60 წლის კაცმა იარაღს მოჰკიდა ხელი და გაისროლა, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ აქვთ ქართულ მიწაზე „აკრეფილი“?!

ახლა ისევ ხუბუტიას დავუბრუნდეთ. **ქართველი კაცი ამბობს: 80 ჰექტარი იმიტომ ვიყიდე, მინდა, ვაზი გავაშენო, ღვინო დავაყენო და მცირე ბიზნესი მქონდესო. მიუვარდა ოპოზიცია: როგორ გაბედე, საქართველოში მიწა როგორ იყიდეო? ანუ, ქართველს მიუვარდნენ და იმ ინდოელს — არა. თურმე, ქართველმა რომ საქართველოში მიწა იყიდოს და ბიზნესი ჰქონდეს, დანაშაულია, მაგრამ უცხოელმა რომ იყიდოს, კარგია.** ისე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რუსეთში მცხოვრებ არაერთ ქართველს აქვს ნაყიდი მიწა საქართველოში და იცით, როგორ მოვიქცეთ? შევქმნათ მოძრაობა და ჩამოვართვათ მიწა **სოსო პავლიაშვილს, ვალერი მელაძეს, ზურაბ წერეთელსა** და კიდევ ათას ცნობილსა თუ უცნობ ქართველს და დავურიგოთ პაკისტანელებს, ინდოელებს, ირანელებს, ჩინელებს. ჩინეთში ვირუსი მძვინვარებს და გავუწოდოთ დახმარების ხელი, დავასახლოთ ჩინელებით საქართველო და ქართველები გავყაროთ. ჩვენ ხომ სტუმართმოყვარე ერი ვართ, ჩვენი ქვეყანა ხომ ქვეყანა კი არა, „პრახადნოი დვორია“ და ბარემ ბოლომდე ამოვხადოთ სული.




**ხელისუფლების მოღალატეობის ბრალია ის, რომ უცხოელები ახერხებენ ჩვენთან მცირე ბიზნესის დაწყებას მხოლოდ რამდენიმე ათასი დოლარით და გამათხოვრებული ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობას მათხოვრულ ხელფასზე ამუშავებენ, ქართველი კი საქართველოდან გარბის, რომ ის ლუკმაპური, აქ რომ ვერ იშოვა, იქნებ უცხოეთში იშოვოს. უცხოელები იმასაც კარგად ხედავენ, რომ ხელისუფლება მათ მეტი პატივისცემით (უფრო კი შიშით) ეპყრობა, ვიდრე ადგილობრივებს და ამიტომ, თვითონაც უხეშად იქცევიან, თავი ქვეყნის ბატონ-პატრონები ჰგონიათ, იმ ქვეყნის, რომელსაც რეალურად პატრონი არ ჰყავს და თუ ჰყავს, მხოლოდ საკუთარ სტომაქზე მზრუნველი პოლიტიკური სპექტრი**

ახლა არც ხელისუფლების დაცვას ვაპირებ და არც ოპოზიციის. **ყოველგვარი შეფარვისა და ქვეტექსტების გარეშე ვამბობ, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც იქცევა ისე, როგორც აძლევს ხელს კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას და არა ქვეყანას. ისინი ფიქრობენ იმაზე, რა უნდა რამდენიმე ადამიანს და სულ არ აინტერესებთ, მათ სურვილებსა და ვნებებს ქვეყნის მომავალი თუ შეეწირება.** ხომ ისედაც ნათელია, რომ დედაქალაქშიც და რეგიონებშიც არა ერთი და ორი ოჯახია უცხოელების, რომლებიც მყარად დაფუძნენ და სწორედ დედა-ბუდიანად აიყარნენ საკუთარი ქვეყნიდან, რათა ჩვენთან ეპოვათ ნავსაყუდელი და მომავალსაც აქ ხედავენ. **ხელისუფლების მოღალატეობის ბრალია ის, რომ უცხოელები ახერხებენ ჩვენთან მცირე ბიზნესის დაწყებას მხოლოდ რამდენიმე ათასი დოლარით და გამათხოვრებული ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობას მათხოვრულ ხელფასზე ამუშავებენ, ქართველი კი საქართველოდან გარბის, რომ ის ლუკმაპური, აქ რომ ვერ იშოვა, იქნებ უცხოეთში იშოვოს. უცხოელები იმასაც კარგად ხედავენ, რომ ხელისუფლება მათ მეტი პატივისცემით (უფრო კი შიშით) ეპყრობა, ვიდრე ადგილობრივებს და ამიტომ, თვითონაც უხეშად იქცევიან, თავი ქვეყნის ბატონ-პატრონები ჰგონიათ, იმ ქვეყნის, რომელსაც რეალურად პატრონი არ ჰყავს და თუ ჰყავს, მხოლოდ საკუთარ სტომაქზე მზრუნველი პოლიტიკური სპექტრი.**

გაზაფხული მოდის და იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში წვიმა სანატრელი შეიქნა, ცუდ მოსავალს ახლავე წინასწარმეტყველებენ. **ხორბალი, რომელიც თოვლის საფარის ქვეშ უნდა გაღვივებულიყო, საერთოდ, არ ამოვიდა. ეს მიმართულება, პრაქტიკულად, ჩავარდა და ხორბალი ძალიან გაძვირდება.** მმართველმა გუნდმა წინასაარჩევნო დაპირება კარგა ხანია დაივიწყა და სოფლის მეურნეობაში სუბსიდიას აღარ ახორციელებს — მიწის დამუშავებისა და შხამ-ქიმიკატების ვაუჩერმა ჩაილურის წყალი დალია. შედეგად **მივდივართ იქამდე, რომ მიწებს დაამუშავებენ უცხოელები, რომლებსაც აქ მოწეული პროდუქცია სამშობლოში მიაქვთ, რადგან ნატურალურია, და იქიდან შემოაქვთ ის, რაც საკვებად, პრაქტიკულად, უვარგისია და მერე ჩვენ ვჭამთ.** შორს წასვლა რად გინდათ, აგერ არის ირანი და თურქეთი — ქვეყნები, რომლებშიც საქართველოში მოწეული კარტოფილი და ხახვი გაედინება, იქიდან კი იაფი პროდუქცია შემოდის. აღარაფერს ვამბობთ მსხვილფეხა პირუტყვზე, რომელიც ქარავნებად მიედინება აზიურ ქვეყნებში და იქიდან გაყინული, წლობით შენახული ხორცი შემოდის, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ ხან ნახევარფაბრიკატებში, ხანაც საშაურმეებსა და რესტორნებში.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგიყევით, რომ საქართველოში ქართველის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ინვესტიციას უნდა მივესალმოთ. სულ რომ არაფერი გააკეთოს ხუბუტიამ იმ 80 ჰექტარზე, ის მაინც გვეცოდინება, რომ ეს მიწა ქართველის საკუთრებაა და მერე, სახელმწიფოს რომ დასჭირდეს, ქართველთან მოლაპარაკება და პატრიოტიზმზე აქცენტირება უფრო ადვილია, ვიდრე უცხოტომელთან. არ აინტერესებს არც ინდოელს, არც პაკისტანელს, არაბსა თუ ირანელს საქართველოს მომავალი, მათ მხოლოდ აწმყო აინტერესებთ, მხოლოდ ის უნდათ, თვითონ იყვნენ კარგად ქვეყანაში, რომელსაც არც ერთი და არც ორი შეხედვით, პატრონი არ ჰყავს. და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ კითხვას: ვისია ქართული მიწა? ვის მიწაზე აცხადებდა პრეტენზიას მოკლული ინდოელი, როცა შსს გარკვევით გვეუბნება, რომ ის უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო?! უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან?

**ბესო ბარბაქაძე**

**რედაქციისგან: როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა, მაგრამ ეს მასალაში წარმოჩენილი პრობლემის სიმწვავეს არ ამცირებს.**

ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ე.წ. ცივ ომში სსრკ-ის (რუსეთის) მარცხის შემდეგ ნეოლიბერასტთა ერთ-ერთმა (აწ გარდაცვლილმა) მთავარმა იდეოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ ამის შემდეგ ნეოლიბერასტთა (წაიკითხე აშშ) მთავარი ამოცანა მართლმადიდებელი ქრისტიანობის განადგურებააო. ამ ამოცანის შესრულებას შეუდგა „დემოკრატიული" დასავლეთი და პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დროული გამოჩენა და მსოფლიოში სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველ, პატრიარქ კირილესთან ტანდემში სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეული, თითქმის უკვე დაშლილი რუსეთის მართვის სადავეების ხელში აღება რომ არა, დღეს აღარც რუსეთი იქნებოდა და აღარც მართლმადიდებელი ეკლესია.**

# ისტორიის გადაწერის მცდელობა, ანუ «დაუკარით, უპატარძლო ქორწილია»

**დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, ისეთი ვითარებაა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების აუცილებლობაზე საუბარი კი არა, რუსეთზე რაიმე პოზიტივის შემცველი სიმართლის საჯაროდ თქმაც კი სახიფათოა. ჯერჯერობით ამისთვის არ გვაპატიმრებენ, მაგრამ საქართველოს მმართველი ლიბერალური პოლიტიკური ელიტის, ასეთივე ოპოზიციისა და ე.წ. ენ-ჯი-ოების მიერ, სულ ცოტა, სამშობლოს მოღალატის იარლიყის მიწებება გარანტირებულია.**

საბედნიეროდ, ასე არ ფიქრობს ქართველი საზოგადოების უმრავლესობა, რომელსაც, საუბედუროდ, არავინ არაფერს ეკითხება, რადგან საქართველოში, ისევე, როგორც „კულტურული" დასავლეთის ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ სახელისუფლო მმართველ ელიტებში, უმრავლესობაში ნეოლიბერასტები არიან და მათი იდეოლოგიით იმართება ბევრი ქვეყანა.

ზემოთ წარმოჩენილი საფრთხის (63 წლის კაცისთვის რაღა დროს შიშებია) მიუხედავად, გავბედავ და „ოკუპანტი" ქვეყნის პრეზიდენტზე სიმართლეს ვიტყვი:

ე.წ. ცივ ომში სსრკ-ის (რუსეთის) მარცხის შემდეგ ნეოლიბერასტთა ერთ-ერთმა (აწ გარდაცვლილმა) მთავარმა იდეოლოგმა **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** განაცხადა, რომ ამის შემდეგ ნეოლიბერასტთა (წაიკითხე აშშ) მთავარი ამოცანა მართლმადიდებელი ქრისტიანობის განადგურებააო. ამ ამოცანის შესრულებას შეუდგა „დემოკრატიული" დასავლეთი და პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** დროული გამოჩენა და მსოფლიოში სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველ, პატრიარქ **კირილესთან** ტანდემში სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეული, თითქმის უკვე დაშლილი რუსეთის მართვის სადავეების ხელში აღება რომ არა, დღეს აღარც რუსეთი იქნებოდა და აღარც მართლმადიდებელი ეკლესია.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, თუ არ ვცდები, ვლადიმერ პუტინის ფინეთში ვიზიტისას, ლიბერასტი ჟურნალისტების პროვოკაციული კითხვებით (რატომ ჩაგრავთ ლგბტ-პედერასტებს რუსეთშიო, ანუ გეიაღლუმებსა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას რატომ ეწინააღმდეგებითო) შეწუხებულმა რუსეთის პრეზიდენტმა პასუხად ჯერ რუსეთში, ძირითადად, კულტურის სფეროში წარმატებული გეების არსებობას გაუსვა ხაზი და იმასაც, რომ ეს ხალხი გეიაღლუმების გამართვას არ ითხოვს, ხოლო საძინებელსა თუ გეიკლუბებში არავინ უვარდებათ — რაც უნდათ, ის ქნან, თუნდაც თავში ქვა უხლიათო. რაც შეეხება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებებს, ამ საკითხზე რუსეთის პრეზიდენტი კატეგორიული იყო: მე ახლა, ვთქვათ, ჩეჩნეთში ან ციმბირის რომელიმე ქალაქში რომ ჩავიდე და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე დავიწყო საუბარი, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?

კითხვას პასუხი გასცა თვითონ ვლადიმერ პუტინმა, რომელსაც ამჯერად, „მომიტევონ" რუსოფობებმა და, დედანში გავაცნობ „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველს — „Да они же за оружие возмутся!" — ასე პირდაპირ, „მუჟიკურად" უპასუხა ლიბერასტ ჟურნალისტებს რუსეთის „მუჟიკმა" პრეზიდენტმა.

ყოველივე ზემოთ თქმული, არახალია — **მსოფლიოს ნეოლიბერალების ბრძოლა მართლმადიდებელი ქრისტიანობის წინააღმდეგ, სარწმუნოებისა, რომელიც ჯერჯერობით დაუძლეველ ბასტიონად აღმართულა სამყაროს ტოტალური ლგბტ-ზაციის გზაზე. მართლმადიდებლობასთან ბრძოლა რუსეთთან ბრძოლაა, რადგან რუსეთი უდიდესი და უძლეველი მართლმადიდებლური იმპერიაა და, აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლობის დამცველი „მესამე რომი", ხოლო მასთან ბრძოლა მართლმადიდებლობასთან ბრძოლაც არის.**

მაგრამ მართლმადიდებლობა ხომ მხოლოდ ლგბტ-ს მიუღებლობას არ ნიშნავს? ის არის მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებისა და ფასეულობების დამცველი. აქედან გამომდინარე, რომელ კულტურულ კაცობრიობაზეა საუბარი, როცა კაცი გაიძახის, — ქალი ვარო, ქალი კი კაცობას იჩემებს?! თუ ის არის „კულტურული კაცობრიობა", რომელშიც დედასა და მამას „მშობელი 1" და „მშობელი 2" ჰქვიათ?! ან იქნებ იმ ტრადიციულ კონფესიებზეა ლაპარაკი, რომელთა მიმდევარ ზოგიერთ ქვეყნებში (შვედეთი, ნორვეგია, შოტლანდია და ა.შ.) უკვე ჯვარს სწერენ ერთი და იმავე სქესის ნეფე-პატარძლებს?!

რაც შეეხება ვატიკანს, რომლის მიერ დანთებულ კოცონზე ე.წ. ერესის, ანუ პაპიზმის უარყოფისთვის ევროპაში ასიათასობით „ცოდვილი" ცოცხლად იხრაკებოდა, ისე ჭიკჭიკებს კათოლიკეთა წინამძღოლი, რომ რომის პაპი კი არა, ჩვენი სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია** გეგონება... თურმე ეკლესიას ლგბტ პირების განკითხვის უფლება არ აქვს, რადგან ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი ვყოფილვართ.

აქ, რომ იტყვიან, კომენტარის გარეშე...

იქნებ ის არის დემოკრატიის უმაღლესი საფეხური, რომ ლუქსემბურგის პრემიერი გეია და წვერულვაშიან „კანონიერ" ცოლთან ერთად ოფიციალურად იღებს სხვა ქვეყნების პრეზიდენტებს?



**ბატონო პრეზიდენტო, მიბრძანდით ყოველ 5 მარტსა და 21 დეკემბერს სტალინის საფლავზე, თუ ვერ მიხვალთ კრემლის ფანჯრიდან გახედეთ და დაინახავთ, რომ გამარჯვების მარშლის ქანდაკება კი არა, ოფიციოზის მიერ მივიწყებული სტალინის საფლავია ყვავილებში «ჩამხრჩვალი», მაშინ მიხვდებით, ვინ ვინ არის**

ზემოთ დახატული უმძიმესი სურათის მიუხედავად, დასავლეთში, სადაც ლგბტ-სექტა იშვა და ამიტომ ჯერჯერობით იქ არის ამ სექტანტთა სამოთხე, ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) ტრადიციული ღირებულებების პარტიებმა არჩევნებში, მართალია, ჯერ ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ ისეთი შედეგები მიიღეს, რომ ევროკავშირში ძველებურად ველარ „გულაობენ" ნეოლიბერასტული ძალები.

**დონალდ ტრამპის** იმპიჩმენტის სამარცხვინო ჩავარდნამ ხომ, საერთოდ, „გველის კაჭრობა (გველის ხმიანობა) დამართა არა მხოლოდ აშშ-ის ნეოლიბერასტებს, არამედ სრულიად დასავლეთ ევროპის ნეოლიბერასტებს, რადგან დონალდ ტრამპი სწორედაც რომ ანტილგბტ-ია და პატრიოტულ ძალებთან ასოცირდება — ყველაფერ იმის საწინააღმდეგოსთან, რაც ნეოლიბერასტული იდეოლოგიის (ლგბტ, უკანონო მიგრაცია, ულმერთობა, ანტიეროვნულობა და ა.შ.) ქვაკუთხედია.

**აშშ-ევროპის საერთო სატკივარი არის ის, რომ უმრავლესობა ნორმალურ-ტრადიციული ღირებულებების მიმდევარი ეროვნულ-პატრიოტული ხალხია, მიუხედავად ამისა, ე.წ. სახელისუფლო სტრუქტურებში ნეოლიბერასტები არიან უმრავლესობაში და ისინი მართავენ ქვეყანას,** ე.ი. უმცირესობა მართავს უმრავლესობას და დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის მცდელობა **ჰილარი კლინტონის** დამარცხების გამო დემოკრატიული (წაიკითხე ლიბერასტული) სენატ-კონგრესის რევანშის მცდელობა იყო და აშშ-ის არჩევნების შედეგებზე რუსეთის ფაქტორი არ არსებობდა.

იმპიჩმენტის ჩავარდნას საკადრო ცვლილებები მოჰყვა — თეთრი სახლიდან კინწისკვრით გამოყარეს ტრამპის მოწინააღმდეგე მაღალჩინოსნები.

და აი, მივადექით წინამდებარე წერილის შექმნის მთავარ მიზეზს.

ზემოთ აღვნიშნეთ, **რატომ, რისთვის და როგორ ებრძვიან მართლმადიდებელ რუსეთს მსოფლიოს ნეოლიბერასტული ძალები, მაგრამ არაფერი გვითქვამს ამ ძალების ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღზე — ისტორიის გაყალბების არცთუ წარუმატებელ მცდელობაზე, რაც მნიშვნელოვანწილად თვითონ რუსეთის ხელისუფლების, პირადად ვლადიმერ პუტინის ბრალია.**

სწორედ ამიტომ წინამდებარე წერილის ეპილოგს რუსეთის პრეზიდენტისადმი ღია წერილის ფორმას მივცემ. მაშ, ასე:

## ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს

**ბატონო პრეზიდენტო! დიდი სამამულო ომი და ამ ომში სსრკ-ის (გნებავთ, რუსეთის) გამარჯვება — აი, თემა, რომელიც თქვენი რუდუნებით ბოლო პერიოდში ლამის რელიგიის რანგში აიყვანა რუსეთის მართლმადიდებელმა იმპერიამ. მახსოვს, როგორი გრანდიოზული იყო 2010 წელს ფაშიზმზე გამარჯვებიდან 65 წლის იუბილე, რომლის აღსანიშნავ სამხედრო აღლუმს, თუ კარგად მახსოვს, აშშ-ის პრეზიდენტის თამადობით, ევროპისა თუ აზიის წამყვანი სახელმწიფოების მრავალი ლიდერი დაესწრო.**

თუმცა მას შემდეგ არც „რიგითი" წლისთავები დაგიტოვებიათ უყურადღებოდ, მაგრამ 2015 წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავის სამხედრო აღლუმმა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის „ანექსიის" გამო დასავლეთის ლიდერები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ, სამხედრო ძლიერების დემონსტრირების თვალსაზრისით, ყველა საიუბილეო თუ „რიგითი" აღლუმები დაჩრდილა...

დასავლეთის ქვეყნების ლიდერების ამ უსაფუძვლო დემარშის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო წითელი არმიის მებრძოლების საფლავების შეურაცხყოფა ევროპის ტერიტორიაზე — ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი ქანდაკებებისა თუ მემორიალების ვანდალური ნგრევა და „ცივილიზებული" დემონტაჟი ევროპის იმ ქალაქებში, რომელთა განთავისუფლებისთვის ბრძოლებში მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა.

ეგ კიდევ არაფერი. მიმდინარეობს მიზანმიმართული კამპანია დიდი სამამულო ომის ისტორიის ფალსიფიკაცია-გადაწერისა, რომლის მიხედვითაც ჰიტლერული გერმანია აშშ-ბრიტანეთმა დაამარცხა, ხოლო სსრკ სადღაც ომობანას თამაშობდა.

რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ახლახან, **ჰიტლერი** და **სტალინი** ევროპის საბჭომ ერთნაირ ბოროტებად გამოაცხადა, რასაც რუსეთის დელეგაცია არ დაეთანხმა, მაგრამ მერე რა? რეზოლუცია მიღებულია, რაც სტალინის კი არა, პირველ რიგში, რუსი ხალხის შეურაცხყოფაა...

ამ დღეებში ისტორიული მნიშვნელობის მქონე იალტის კონფერენციის 75 წლისთავიც შესრულდა; კონფერენციისა, რომელზეც სტალინის მართლაც რკინისებური ხელით მაშინდელი ევროპის რუკა ისე მიიჭრ-მოიჭრა, რომ სსრკ გახდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერიტორიების მფლობელი იმპერია.

ბატონო პრეზიდენტო! ზემოთ თქვენ მიერ ჩატარებულ გრანდიოზულ აღლუმებზე ვისაუბრე, მაგრამ მთავარი არ მითქვამს: მოსკოვში დგას „გამარჯვების მარშლის" სახელით ცნობილი **გიორგი ჟუკოვის** ქანდაკება და, თუ ის გამარჯვების მარშალია, მაშინ მისგან რამდენიმე მეტრში საფლავში მწოლი იოსებ სტალინი ვინ არის?

ბატონო პრეზიდენტო, მიბრძანდით ყოველ 5 მარტსა და 21 დეკემბერს სტალინის საფლავზე, თუ ვერ მიხვალთ, კრემლის ფანჯრიდან გახედეთ და დაინახავთ, რომ გამარჯვების მარშლის ქანდაკება კი არა, ოფიციოზის მიერ მივიწყებული სტალინის საფლავია ყვავილებში „ჩამხრჩვალი", მაშინ მიხვდებით, ვინ ვინ არის.

9 მაისს რუსეთი ემზადება დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი სამხედრო აღლუმის ჩასატარებლად. ამ აღლუმის ფასი, ტანკებისა და რაკეტების რაოდენობის მიუხედავად, რომ იტყვიან, კაპიკი იქნება, თუ აღლუმზე გამარჯვების მთავარი შემოქმედის, იოსებ სტალინის, ერთი დიდი სურათი არ ჩაივლის.

დიდი სტალინის სახელის გარეშე დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავი ღონისძიება ხომ იგივეა, რაც უპატარძლო ქორწილი?! თუ მაინც ასე მოხდა, ბატონო პრეზიდენტო, ეს თქვენ მიერ ისტორიის გადაწერაში, ნებსით თუ უნებლიეთ, მონაწილეობა იქნება... 2010-ში და 2015-ში ვერ გაბედეთ? ახლა მაინც გაუბედეთ ნეოლიბერასტებს და ცხვირწინ აუფრიალეთ სწორედ ლიბერალების რისხვის, სტალინის, დიდი ბანერი თუ ნავალნის, ე.წ. ჭაობის ოპოზიციის გეშინიათ?..

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...

**დავით მხეიძე**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მას შემდეგ, რაც მონასტერში ასეთი ვითომ გაუგებრობა მოხდა და კოლოსალურ თანხას გვახდევინებდნენ წყალში, ბუნებრივია, მათ არ ვენდობით. ანუ, არანაირი გარანტია არ არსებობს, მრიცხველს რომ დაგვიყენებენ ერთ დღესაც, ვთქვათ, 2000 ლარი არ მოგვივიდეს გადასახადი. მერე ჩვენ უნდა ვრეკოთ და ვისმინოთ მათი ცინიკური პასუხები. მოკლედ, რამდენიმე დღის წინათ მოხდა ასეთი რამ: მოვიდა კომპანიის დაახლოებით 20-30 თანამშრომელი, რომელთა შორის ერთ-ერთი მათი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი იყო და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წყალი გადაგვიკეტა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს ადამიანები აგრესიულებიც იყვნენ და გამაღიზიანებლად იქცეოდნენ“.**



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# სოდისა და კუდის ყოფილი თანამშრომლები დღეს ეკლესიებს წყალს უკეტავენ

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოში მოქმედმა ერთ-ერთმა დიდმა კომპანიამ — „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-მა, რომელიც წყალმომარაგების ბაზარზე სრულ მონოპოლიას ფლობს, რამდენიმე დღის წინათ წყლის მიწოდება შეუწყვიტა ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძარს. მილის გადასაკეტად ადგილზე კომპანიის დაახლოებით თხუთმეტამდე თანამშრომელი მივიდა, რასაც მოგვიანებით მრევლის გაღიზიანება და მცირე ინციდენტიც მოჰყვა. როგორც ტაძრის წინამძღვარი, მამა გიორგი (რაზმაძე) გვიამბო, კომპანიის თანამშრომლებმა ის სიტყვიერად შეურაცხყვეს. თვით კომპანიას კი მომხდარზე განმარტება არ გაუკეთებია, მაგრამ ცნობილია, რომ უკმაყოფილების მიზეზი კომპანიის მიერ ეკლესიებისთვის ისეთივე მაღალი (არასაყოფაცხოვრებო) ტარიფის დაწესება შეიქნა, როგორიც რესტორნების, სასტუმროებისა და სხვა მსგავსი ობიექტებისთვისაა დადგენილი.**
**რატომ უწესებს ქვეყანაში მოქმედი მონოპოლისტური კომპანია ეკლესია-მონასტრებს ინდმეწარმის ტარიფს და რა პოზიცია უკავია ამ საკითხზე ხელისუფლებას — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე უფრო დეტალურად ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე) გვესაუბრება.**

**«ხვალ-ზეგ ეს ხალხი, თუ დასცალდათ და მიეცათ საშუალება, ეკლესიის კარსაც აგვიჭედავს»**

**— მამაო, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-მა რამდენიმე დღის წინათ ტაძარს წყლის მიწოდება შეუწყვიტა, რასაც, ბუნებრივია, თქვენსა და მათს შორის მცირე ინციდენტიც მოჰყვა. როგორც ვიცი, ადგილზე კომპანიის დაახლოებით ოცამდე თანამშრომელი იმყოფებოდა. რა მიზეზით შეუწყვიტეს წყლის მიწოდება ტაძარს?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს კომპანია თავიდანვე ნაციონალებს ეკუთვნოდა და მათი ფინანსური რესურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. წლების განმავლობაში მათ ჰქონდათ სრული მონოპოლია და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი ძლიერდებოდა, ეს მონოპოლია შეინარჩუნეს. მერე სააკაშვილმა კომპანია გაყიდა. ახალი მფლობელები რუსები იყვნენ. საუბარია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდზე, როცა ქვეყანაში გაშმაგებული ანტირუსული პროპაგანდა მძვინვარებდა, თუმცა მაშინ ამაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ და გასაგებია რატომაც...

**— რატომ?**

— „ნაცმოძრაობა“ სხვას აბრალებდა რუსების აგენტობას და ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი დიდი კომპანია რუსებს მიჰყიდეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად მომგებიანად არ მიაჩნდათ...

**— მას შემდეგ, რაც კომპანია რუსებმა შეიძინეს, რა შეიცვალა?**

— მომხმარებლებისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში ეკლესია-მონასტრები წყლის გადასახადს არ იხდიდნენ. რაც შეეხება ტარიფების დაწესებასა და დაბეგვრას, მას შემდეგ, რაც კომპანია „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და ეს არც ისე დიდი ხნის წინათ მოხდა, თარიღი ზუსტად არ ვიცი, დაიწყო ეტაპობრივი გამრიცხველიანება. ყველა მონასტერს, ყველა ტაძარს დაუყენეს ინდივიდუალური მრიცხველი, მაგრამ ეს არაფერი. აღმოჩნდა, რომ გადასახადს ვიხდიდით არა ჩვეულებრივი ტარიფით, როგორც ნებისმიერი მომხმარებელი, არამედ, როგორც ინდმეწარმე, ანუ, როგორც რესტორნები, სასტუმროები, კაფე-ბარები და ა.შ.

**— რის საფუძველზე გადაწყვიტეს, რომ ასეთი ტარიფი უნდა დაეწესებინათ? რა გითხრეს, როცა ჰკითხეთ?**

— მე, როგორც სასულიერო პირი, რა თქმა უნდა, უკიდურესად გამაღიზიანა ამ ფაქტმა, მაგრამ პასუხი და განმარტებები არაფერზე მოგვისმენია. ასე გადაწყვიტეს და მორჩა. რატომ და რის გამო, ალბათ, ყველასთვის გასაგებია — უბრალოდ, ეკლესიის მტრები არიან. უშუალოდ ინციდენტს რაც შეეხება, დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ კომპანიის თანამშრომლები ღამით მივიდნენ ზაჰესში მდებარე პანტანასას დედათა მონასტერში და მრიცხველი დააყენეს. ერთი თვის შემდეგ მოვიდა გადასახადი. იცით, რამდენი იყო?

**— რამდენი?**

— ჯერ ტარიფი იყო არანორმალურად მაღალი, როგორც რესტორნებისა და სასტუმროების, და ზედ კიდევ 680 ლარი დამატებული. ბუნებრივია, მაშინვე დავრეკეთ კომპანიაში და ვიკითხეთ, რატომ უნდა გადაგვეხადა ამხელა თანხა. პასუხი იყო კატეგორიული: ასეა და იმიტომ! ან გადაიხდით ან გაგეთიშებათო...

**— გადაიხადეთ?**

— არა, რა თქმა უნდა! 680 ლარის წყალს თვეში კი არა, ალბათ, წელიწადში ვერ დავხარჯავთ. მერე დავრეკეთ სემეკში და საქმეში გარკვევა ვთხოვეთ. რამდენიმე დღის შემდეგ მოგვიბოდიშეს, ადამიანური შეცდომა ყოფილაო. რას ნიშნავდა ეს ადამიანური შეცდომა, არ ვიცი. რომ არ დაგვერეკა და აგვეტეხა ერთი ამბავი, რისთვის გვახდევინებდნენ ამხელა თანხას?!

ახლა რა მოხდა ტაძარში და რატომ ჩაგვიჭრეს წყალი მას შემდეგ, რაც მონასტერში ასეთი ვითომ გაუგებრობა მოხდა და კოლოსალურ თანხას გვახდევინებდნენ წყალში. ბუნებრივია, მათ არ ვენდობით, რადგან არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ დაგვიყენებენ მრიცხველს და ერთ დღესაც, ვთქვათ, 2000 ლარი არ მოგვივა გადასახადი. მერე ჩვენ უნდა ვრეკოთ და ვისმინოთ მათი ცინიკური პასუხები. მოკლედ, რამდენიმე დღის წინათ მოხდა ასეთი რამ: მოვიდა კომპანიის დაახლოებით 20-30 თანამშრომელი, რომელთა შორის ერთ-ერთი მათი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი იყო და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წყალი გადაგვიკეტეს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს ადამიანები აგრესიულებიც იყვნენ და გამაღიზიანებლად იქცეოდნენ.

**— რაში გამოიხატებოდა ეს ყვლაფერი?**

— როდესაც მათ ვუთხარი, რომ სამარცხვინოდ იქცეოდნენ და ასეთი რამ არ უნდა ეკადრათ, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ. არც მინდა ახლა იმ სიტყვების გამეორება. სხვათა შორის, მერე გლდანის გამგეობიდან დამირეკეს, თუ ზუსტად მახსოვს, თვითონ გამგებელი იყო და მომიბოდიშა, იმ გადასახადსაც მე გადავიხდიო. ვუთხარი, გადახდა რად მინდა, გამაგებინეთ ეკლესიას რესტორანივით და კაფე-ბარებივით რატომ ბეგრავენ-მეთქი, მაგრამ ვინ რა პასუხს გაგცემს. პასუხი ერთია — ორგანულად ვერ იტანენ ეკლესიას. რაც შეეხება ისევ იმ კომპანიას, მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ეს არის კომპანია, რომლისგანაც ნაცები დღემდე იღებენ უზარმაზარ შემოსავალს და ამ კომპანიაში მომუშავეთა ნაწილი სოდისა და კუდის ყოფილი თანამშრომლები არიან. საუბარია ადამიანებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ხალხს აწამებდნენ, კლავდნენ, იტაცებდნენ და საშინელებებს უკეთებდნენ. ვიმეორებ, მცირე ნაწილი თანამშრომლებისა, შეიძლება, იქ ნორმალური ხალხია, მაგრამ უმრავლესობა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისდროინდელი კრიმინალები არიან. აი, ეს არის ახსნაც და მიზეზიც ამ ყველაფრის. ისინი შინაგანად ვერ იტანენ ეკლესიას, ამიტომ ცდილობენ, ყველგან და ყველანაირად, სადაც ამის საშუალება ექნებათ, მაქსიმალურად შეგვავიწროვონ.

**— ხელისუფლების პოზიციაც საინტერესოა ამ საკითხზე. რომელიმე სახელმწიფო უწყებას თუ მიმართეთ?**

— ცხადია. ამას წინათ თბილისის მერიას მივმართეთ წერილობით. გვიპასუხეს: კერძო კომპანიის საქმიანობაში სახელმწიფო ვერ ჩაერევაო. თუმცა, სიმართლე გითხრათ, სხვა პასუხს არც ველოდი. რადგან **ხელისუფლებაში სხედან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეკლესია და სამღვდელოება საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მომხრენი არიან მეჩეთების მშენებლობის, გეიაღლუმების, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების, სკოლებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების შეტანის, მიწის უცხოელებზე გასხვისების, უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის დარიგების, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და ა.შ.** საერთოდ, ვფიქრობ, რომ **მათ ხელში ყველაზე ამაზრზენი რამეც არ უნდა გაგვიკვირდეს. წარმოიდგინეთ, ეკლესია-მონასტრები ბიზნესადაა გამოცხადებული და წყალზე არანორმალურ, არაადეკვატურ ტარიფებს გვიწესებენ. ხვალ-ზეგ ალბათ, მოგვადგებიან და გვეტყვიან, რომ ტაძრებში ფინანსური სამსახურიც უნდა შემოვიდესო.**

**— დასაწყისში თქვით, რომ მას შემდეგ, რაც კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა, ეკლესია-მონასტრებში ეტაპობრივი გამრიცხველიანება დაიწყო. სხვა ეკლესიებში რა მდგომარეობაა, იქ თუ იყო ინციდენტები და საერთოდ, რა პოზიცია უკავია ამ საკითხის მიმართ სამღვდელოებას?**

— ჭეშმარიტი სამღვდელოება, რომელიც სიმართლეს არ გაურბის და ნებისმიერ ფასად ამხელს ხოლმე ეკლესიის მტრებს, ყოველთვის უკომპრომისოა. საბედნიეროდ, ჩვენი ეკლესიის წიაღში უამრავია ასეთი სასულიერო პირი. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, არ ვიცი, სხვა ტაძრებში თუ იყო „ადამიანური გაუგებრობები“ კომპანიის მხრიდან, მაგრამ ფაქტია: **მტრული და ცინიკური დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი ყოველთვის და ყველა შემთხვევაში ერთნაირად იგრძნობა. კიდევ ვიმეორებ: ეს არის კომპანია, რომელიც დაკომპლექტებულია სოდისა და კუდის ყოფილი თანამშრომლებით; და ეს ხალხი ყველაფრისთვის მზად არის. ისინი არიან ცივსისხლიანი შემსრულებლები, უბრძანებენ — არავის და არაფერს დაინდობენ.** სხვათა შორის, მათი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ადრე კუდში მუშაობდა და რაღაც დანაშაულები გამოუჩხრიკეს, დღეს ციხეში ზის. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ბევრია იქ დასაჭერი...

**— თუმცა მათ, ალბათ, არავინ დაიჭერს. ისე, როგორ ფიქრობთ, რა რესურსი აქვს დღეს ეკლესიას ასეთ მტრულ ძალებთან დასაპირისპირებლად? რის გაკეთება შეგიძლიათ თუნდაც თქვენ?**

— ვერც მე და ვერც სხვა ვინმე, ცალკე აღებული, **ვერაფერს შევცვლით, სანამ ქვეყანა თავიდან ბოლომდე მოღალატეების, გამყიდველების, უსინდისოების, უზნეოებისა და ულმერთოების ხელშია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია — პოლიტიკური სისტემა ყარს და, სანამ ამ სისტემას „ნაც-ქოცები“ აბინძურებენ, ძალიან რთულია რამის გაკეთებაზე ან შეცვლაზე საუბარი.** კიდევ ვიმეორებ და ამას ამდენჯერ იმიტომ ვიმეორებ, რომ მინდა, ყველამ იცოდეს: სოდისა და კუდის ყოფილი თანამშრომლები დღეს ეკლესიებს წყალს უკეტავენ. ხვალ-ზეგ ეს ხალხი, თუ დასცალდათ და მიეცათ საშუალება, ეკლესიის კარსაც აგვიჭედავს. ეს არის მათი შინაგანი „მრწამსი“ და მოწოდება, რომლისთვისაც საქართველოს მტრები, „დემოკრატიული დასავლეთის“ სახით, მუდმივად აქტივტივებენ პოლიტიკური პროცესების ზედაპირზე.

**«ვერავინ ვერაფერს შეცვლის, სანამ ქვეყანა თავიდან ბოლომდე მოღალატეების, გამყიდველების, უსინდისოების, უზნეოებისა და ულმერთოების ხელშია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია — პოლიტიკური სისტემა ყარს და, სანამ ამ სისტემას «ნაც-ქოცები» აბინძურებენ, ძალიან რთულია რამის გაკეთებაზე ან შეცვლაზე საუბარი»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**P.S.** საკითხზე კომენტარისთვის დავუკავშირდით „ჯორჯიან უოთერ ფაუერს“, საიდანაც გადაგვამისამართეს გლდანი-ნაძალადევის ფილიალში, ფილიალში დაგველაპარაკა მათი წარმომადგენელი ვინმე გიორგი ტაბაღუა.

ბატონმა ტაბაღუამ დაადასტურა, რომ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ეკლესიას მართლაც შეუწყვიტეს წყლის მიწოდება, ოღონდ მხოლოდ მრიცხველის დაყენების პროცესში.

რაც შეეხება მრიცხველის დაყენებისას მომხდარ ინციდენტს, ტაბაღუამ ამის შესახებ არაფერი იცის. მან ვერც წყლის ტარიფის თაობაზე გაგვცა ზუსტი პასუხი. გვითხრა, რომ, ალბათ, ეკლესიებიც ე.წ. საყოფაცხოვრებო ტარიფით იხდიან წყლის გადასახადს.

ბატონმა ტაბაღუამ ვერც სხვა კითხვებზე ვერ გაგვცა პასუხი, რადგან, მისი თქმით, ინფორმაცია არ ჰქონდა.

**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1931 წელს სტალინმა კრემლში მიიღო მსოფლიოში ცნობილი მწერალი და დრამატურგი — ჯორჯ ბერნარდ შოუ. იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მარტო არ ჩამოსულა. მას დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ორი საინტერესო პიროვნება ახლდა: ლედი ნენსი ასტორი და დიდგვაროვანი ლორდი ლოტიანი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №01-4, 2020 წელი

# სტალინი — გენიოსი?!

**სტალინმა ვერც პოლიტიკით, ვერც დიპლომატიით, ვერც ადამიანური ურთიერთობით ვერ შეაჩერა ჰიტლერის მიერ აგიზგიზებული ხანძარი ევროპაში, სანამ თვითონაც არ დარწმუნდა, რომ ცეცხლს ისევ ცეცხლი ჩააქრობდა. კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრა — 110-მა მილიონმა ადამიანმა ხელში თოფი აიღო, 80-მდე დიდი თუ პატარა სახელმწიფო ჩაება ომში.**

სტალინგრადი. 1942 წლის 27 ნოემბერი. აპარატ „ბოდოსთან“ სტალინი დგას და ესაუბრება სტალინგრადში მყოფ გენერალური შტაბის უფროს **ალექსანდრე ვასილევსკისა** და გენერალ **ნიკოლოზ ვატუტინს:**

„— არ დაგიმთავრებიათ ერთი საქმე და იწყებთ მეორეს?! მტერი ალყაშია მოქცეული, რისთვისაც დაკავებული გყავთ სამი არმია, რას უყურებთ? რატომ არ გამოათავისუფლებთ სამ არმიას, რომლებმაც უნდა იბრძოლონ და არა იყარაულონ? დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჩემი ბრძანება, საჭიროა, ლიაპიჩევოსთან შექმნათ ოპერატიული პუნქტი 10-15 კაცის შემადგენლობით, რომელიც გააკონტროლებს ბლოკირებული შენაერთების იზოლაციას. რაც შეიძლება მეტად შეავიწროვეთ რკალი. **მიხაილოვმა (ჟუკოვმა** — გრ. ო.) მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშაოს და თავი დაანებოს „სატურნის“ გეგმას; რაც შეეხება „სატურნს“, ის განახორციელოს **ვატუტინმა** და **კუზნეცოვმა.** მოსკოვი მათ აუცილებლად დაეხმარება. მეორე — გაკვირვებული ვარ, საიდან მოიტანა **ლელიუშენკომ** 8 საბრძოლო დივიზია, ან რა გამოთქმაა და მიმართვაა: „ლელიუშენკოს მარჯვენა და ლელიუშენკოს მარცხენა ფრთა“, როდესაც ლელიუშენკოს ჰყავს ერთი პირველი გვარდიული არმია?

**ვასილევსკი:** — კარგად მესმის, რომ სტალინგრადის დაჯგუფების განადგურება ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მაგრამ ამხანაგმა ბერიამ თქვენი სახელით გამოგვიცხადა, რომ „სატურნს“ განაგებს თვითონ. მე მზად ვარ, თქვენი ბრძანების შესასრულებლად.

**სტალინი:** — მექანიზებული კორპუსის გამოყენების ყოველგვარი უფლება დაუტოვეთ ვატუტინს მისი თვალსაზრისის მიხედვით.

**ვასილევსკი:** — ამხანაგო სტალინ, „ვორონოვი“ მთხოვს, წამოვიდეს 2 დღით ლელიუშენკოსთან ერთად, რათა შეთანხმებულად და უფრო სწრაფად შეადგინონ „სატურნის“ გეგმა.

**სტალინი:** — სად არის დონცოვის (როკოსოვსკის — გრ. ო.) სამეთაურო პუნქტი?

**ვასილევსკი:** — 24-ე არმიის მონაკვეთში.

**სტალინი:** — კარგი. გაიყოლოს რამდენიმე სპეციალისტი და „დონცოვსა“ და „ივანოვთან“ ერთად სასწრაფოდ გადაწყვიტონ ეს საკითხი. ლელიუშენკოს დიდხანს ნუ მოაცდენთ, მან არმია სასწრაფოდ მიაბრუნოს ჩრდილოეთისკენ. ვინ უხელმძღვანელებს პირველ გვარდიულ არმიას?

**ვასილევსკი:** — ნება დამრთეთ, ეს საკუთარ თავზე ავიღო.

**სტალინი:** — მე გეკითხებით, ვინ იქნება პირველი გვარდიული არმიის სარდალი მარჯვენა ფლანგზე — ლელიუშენკო, კუზნეცოვი თუ სხვა ვინმე?

**ვასილევსკი:** — გთხოვთ, ნება დამრთოთ, მოვალეობა დავაკისრო კუზნეცოვს ვატუტინის უშუალო პასუხისმგებლობით.

ვასილევსკის პასუხიდან სტალინმა ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ბოლოს იკითხა: — სად იქნება პირველი გვარდიული არმიის შტაბი — ლელიუშენკოსთან თუ კუზნეცოვთან?

ვასილევსკიმ კვლავ დაბნეულად აუხსნა გვარდიის განლაგებისა და შტაბის ადგილმდებარეობის კოორდინატები, შემდეგ კი დაბნეულობის გამოსწორება იმით სცადა, რომ სტალინს სთხოვა, მისთვის სასწრაფოდ გაეგზავნა 8 საუკეთესო შტაბისტი, კავშირგაბმულობისა და ზურგის მომარაგების სპეციალისტები.

ნერვებმოშლილმა სტალინმა ვეღარ შეინარჩუნა წონასწორობა და ვასილევსკის თითქმის ყვირილით ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, მითხარით, ვინ იქნება მარჯვენა დაჯგუფების სარდალი — კუზნეცოვი თუ ლელიუშენკო და სად იქნება მათი ადგილსამყოფელი?

ვასილევსკის აბდაუბდა საუბრიდან სტალინმა კვლავ რომ ვერაფერი გაარკვია, თვითონ დაიწყო ვითარების მოგვარება.

— ამხანაგო ვასილევსკი, ლელიუშენკო უკვე სარდლობს ფრონტს გერმანელების წინააღმდეგ, მას თავი დაანებე, უკეთესი იქნება, თუ დარჩება თავის ადგილზე მარცხენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი კი გადაიყვანე მარჯვენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი ამით კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება „სატურნის“ მომზადებაში.

**ვასილევსკი** და **ვატუტინი:**

— ასეც მოვიქცევით, ამხანაგო სტალინ.

— ჩაიწერეთ. **პირველი** — თქვენი დავალებაა, გააერთიანოთ „დონცოვისა“ და „ივანოვის“ ძალები და ერთად გაანადგუროთ მოწინააღმდეგე. გთხოვთ, ნუ მიედ-მოედებით სხვა საქმეებს, თქვენ მხოლოდ ეს ერთი საქმე გავალიათ.

**მეორე** — მთელი ავიაცია, ნოვიკოვის ავიაციის ჩათვლით, თქვენს განკარგულებაშია. თქვენი ამოცანაა, დაუნდობლად ურტყათ მტერს საბოლოო განადგურებამდე.

**მესამე** — თუ საჭირო შეიქნება, შეიძლება გამოგიყოთ სატანკო კორპუსი „დონცოვის“ ან „ივანოვის“ გასამაგრებლად.

**მეოთხე** — თქვენ გევალებათ, ყოველდღიურად ანგარიში ჩააბაროთ „სტავკას“ „დონცოვისა“ და „კუზნეცოვის“ მოქმედებათა შესახებ.

**მეხუთე** — ხვალ დილით უნდა მომახსენოთ, საჭიროა თუ არა 62-ე არმიის გადაცემა დონის ფრონტისთვის. ხვალვე მითხარით, სად გავგზავნოთ სატანკო კორპუსი. შეკითხვა ხომ არ გაქვთ, ყველაფერი გასაგებია?



სტალინი, მოლოტოვი, ჩერჩილი (ზურგით)

**გენიოსობა — ეს არის ხედვა, რომელიც ჰორიზონტის ყველა პუნქტს ერთი თვალის მოვლებით აღიქვამს.**

*პოლ ანრი გოლბახი*



ბერნარდ შოუ მოსკოვში

**ვასილევსკი:** — ყველაფერი გასაგებია.

**სტალინი:** — კეთილი, აპარატთან მოვიდეს ვატუტინი. ამხანაგო ვატუტინ, მიიღეთ დავალება.

**პირველი** — უნდა უხელმძღვანელოთ ლელიუშენკოსა და რომანენკოს მოქმედებებს, უნდა მოამზადოთ ოპერაცია „სატურნი“.

**მეორე** — ვორონოვი დატოვეთ **ფილდოროვის** განკარგულებაში „სატურნის“ მოსამზადებლად და, ამასთანავე, ლელიუშენკოს დასახმარებლად.

**მესამე** — პირველი შერეული ავიაკორპუსი ფილდოროვის განკარგულებაში გამოგიგზავნეთ, დღე-დღეზე კი კვლავ მიიღებთ კიდევ ერთ ავიაკორპუსს, რომელშიც იქნება გამანადგურებლების დივიზია მოიერიშეებით.

**მეოთხე** — თუ მეხუთე მექანიზებულ კორპუსს მიიღებთ, ეს რომანენკოს განკარგულებაში იქნება თუ არა?

**ვატუტინი:** — დღევანდელი მდგომარეობით, მეხუთე მექანიზებული კორპუსის გამოგზავნა რომანენკოსთვის უფრო სამართლიანი იქნება, მაგრამ, თუ მის მიღებამდე მდგომარეობა შეიცვლება და დახმარება დასჭირდება ლელიუშენკოს, ჩვენ მას დავეხმარებით.

**სტალინი:** — ვინ გაანაწილებს იმ მექანიზებულ კორპუსს, რომელსაც თქვენ მიიღებთ?

**ვატუტინი:** — გვარდიული მექანიზებული კორპუსი დარჩება ლელიუშენკოს მარცხენა ფლანგზე.

**სტალინი:** — ორივე მექანიზებული კორპუსი — მეხუთე და გვარდიულიც, შეიძლება დარჩეს მარცხენა ფლანგზე ლელიუშენკოსთან, თუ რომანენკოს საბრძოლო რაიონში არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ. „სატურნის“ წარმატებისთვის უმოკლეს დროში დამატებით მიიღებთ ერთ მექანიზებულ და ერთ სატანკო კორპუსს. ეს იქნება თქვენი რეზერვი. სასწრაფოდ დასვით კუზნეცოვი ლელიუშენკოს მარჯვენა ფრთაზე პირველ გვარდიულ არმიაში და შეუქმენით ყველა პირობა „სატურნის“ ოპერაციაზე სამუშაოდ. ყველაფერი გასაგებია თუ გაქვთ რამე გასარკვევი?

**ვატუტინი:** — ჩვენთან, დიდი ხანია, არ გამოჩენილა საარტილერიო დივიზია, არ ვიცი, რა ხდება.

**სტალინი:** — საარტილერიო და საზენიტო დივიზიები უკვე დატვირთულია და ისინი მალე იქნებიან თქვენთან.

**ვატუტინი:** — გასაგებია. გთხოვთ, მაცნობოთ მათი ნომრები. მე მხოლოდ 3 პოლკი დამრჩა, დანარჩენი გადავეცი 21-ე არმიას. გთხოვთ, თუ ამის საშუალება გექნებათ, დამატებით გამომიგზავნოთ 4 პოლკი.

**სტალინი:** — თქვენი მოთხოვნები სასწრაფოდ გამოგზავნეთ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში. გამოვნახავ დროს და, თუ ახლა მხოლოდ 2 პოლკს გიგზავნი, ხვალ თქვენს მოთხოვნას სრულად დავაკმაყოფილებ. გმადლობთ, ნახვამდის“.

ძვირფასო მკითხველო, ეს საუბარი იმიტომ მოვიყვანე დაწვრილებით, რომ იცოდეთ, რა ზუსტად ესმოდა ომის ყველა წვრილმანი და როგორი გულდასმითა და კითხვების გაუჩენლად აძლევდა დავალებას გენერლებს სტალინი.

**არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, სასაცილოა და შეურაცხმყოფელი, როცა ამბობენ, ომი პარტიამ, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგოო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელიც მსოფლიოსა და მის კულტურას გადაარჩენდა, ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.**

*** „გენიოსები ნათლად და ზედმიწევნით ხედავენ იმას, რასაც სხვები ბუნდოვნად ხედავენ“.**

**ერნესტ რენანი**

1931 წელს სტალინმა კრემლში მიიღო მსოფლიოში ცნობილი მწერალი და დრამატურგი — **ჯორჯ ბერნარდ შოუ.** იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მარტო არ ჩამოსულა. მას დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ორი საინტერესო პიროვნება ახლდა: ლედი **ნენსი ასტორი** და დიდგვაროვანი **ლორდი ლოტიანი.**

ნენსი ასტორი პირველი ქალი დეპუტატი გახლდათ ინგლისის პარლამენტში. იგი მეტად პრინციპული, თავდაჯერებული პოლემისტი იყო. სტალინთან შეხვედრას სწორედ იმიტომ ესწრაფვოდა, რომ თავისი მტკიცე ლოგიკით სტალინის ყურადღება მიეპყრო. სტალინმა საუბარი დაიწყო ბერნარდ შოუსთან, რომელზეც სტალინმა უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა. ნენსი ასტორმა ქალურ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და სტალინისა და ბერნანდ შოუს ლაპარაკში მოულოდნელად ჩაერთო: — „ჩვენ სოცი-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „როგორც კი კარი გაიღო, დავინახე იქ მდგომი დაბალი, ჩასკვნილი კაცი, რომელსაც თმა „ენ ბროსეს“ ყაიდაზე დაეყენებინა. მას ეცვა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელთა გარეშეც იშვიათად მინახავს, მაგრამ ისინი იდეალურად სუფთა და გაწკრიალ-გაპრიალებული იყო“.

**არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, სასაცილოა და შეურაცხმყოფელი, როცა ამბობენ, ომი პარტიამ, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგოო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელიც მსოფლიოსა და მის კულტურას გადაარჩენდა, ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა**

„ლიბერალიზმი თქვენზე ადრე ავაშენეთ“. ეს რეპლიკა საუბრის თემასთან ახლოსაც არ იყო.

სტალინმა ირონიული ღიმილით გახედა ნენსი ასტორს და ასევე ირონიულად ჩაეკითხა არამკითხე ნენსის:

— რომელი სოციალიზმი გაქვთ მხედველობაში?

— ლეიბორიზმი, — უპასუხა ნენსი ასტორმა.

— სოციალიზმის შესახებ ჩვენს თვალსაზრისებს შორის არსებითი განსხვავებაა, — უთხრა სტალინმა, — და გთხოვთ, ეს გაითვალისწინოთ.

ნენსი ასტორს არ ესიამოვნა თავისი წაფორხილება და სცადა მისი გამოსწორება.

— კარგი იქნებოდა, — დამრიგებლური ტონით განუცხადა მან სტალინს, — რომ მოსკოვში მოგეწვიათ **დეივიდ ლოიდ ჯორჯი.** საუბარია ინგლისის პრემიერმინისტრზე, რომელიც ხელმძღვანელობდა მთავრობას პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე და მის მომდევნო პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენციას ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

— რატომ უნდა მოვიწვიოთ იგი, როცა სწორედ ის ხელმძღვანელობდა ინტერვეციას ჩვენ წინააღმდეგ? — ჰკითხა სტალინმა.

— ეს არ არის სწორი, — თავმომწონედ თქვა ნენსი ასტორმა. — ეგ იყო ჩერჩილი და არა ლოიდ ჯორჯი. იგი შეცდომაში სწორედ ჩერჩილმა შეიყვანა.

— ვერ დაგეთანხმებით, — უპასუხა სტალინმა, — ყოველ შემთხვევაში მთავრობის ხელმძღვანელი მაშინ ლოიდ ჯორჯი გახლდათ, ჩერჩილი კი მინისტრი იყო. იმის ცოდნაც არ იქნებოდა ურიგო, რომ მთავრობის მოქმედებისთვის პასუხს აგებს არა მინისტრი, არამედ პრემიერმინისტრი. ლოიდ ჯორჯი მემარცხენე იყო, პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. ჩვენ კი მოჩვენებით მეგობრებს აშკარა მტრებს ვამჯობინებთ.

ნენსი ასტორი მეორედ ჩაიჭრა კამათში. ეს მისთვის უჩვეულო მოვლენა იყო. ის ლამის მოთმინებიდან გამოვიდა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და თითქოსდა დიალოგის დასასრულისკენ წავიდა.

— ასე იყოს, — თქვა შემრიგებლურად, — ყოველ შემთხვევაში ჩერჩილის საქმე ახლა დამთავრებულია.

— ვერც მაგ შეფასებაში დაგეთანხმებით, — უპასუხა სტალინმა. — მწამს, რომ კრიტიკულ მომენტში, ინგლისელი ხალხი შეიძლება კვლავ მიუბრუნდეს ამ გამოცდილ მეომარ ცხენს...

მართლაც, 1939 წლის 3 სექტემბერს ჩერჩილი საზღვაო მინისტრად დანიშნეს, ხოლო 1940 წლის 10 მაისს — პრემიერმინისტრად. ეს ყველაფერი სტალინმა 1931 წელს თითქოს სარკიდან არეკლილი დაინახა.

ეს საინტერესო ამბავი ჩერჩილმა შთამომავლობას მოუთხრო, ყველაფერი კი მისთვის თვით სტალინს უამბნია 1942 წლის აგვისტოში კრემლში მასთან პირველი ვიზიტისას.

*** „გენიოსების უკვდავების გარანტია მხოლოდ მათი გენიოსობა კი არ არის, არამედ ადამიანთა თაობების ერთგულებაა მათი შემოქმედებისადმი, მაშასადამე, დამფასებელთა გემოვნების სიმტკიცე“.**

**ალექსანდრე კალანდაძე**

ინგლისისა და რუსეთის სამეფო ოჯახები საკმაოდ ახლო ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და, განსაკუთრებით, იმპერატორ **ნიკოლოზ II-ისა** და მისი ოჯახის წევრების სიკვდილით დასჯის შემდეგ, რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ინგლისელ მინისტრს პროტესტის ნიშნად ფეხი აღარ დაუდგამს. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჯონ საიმონი**, რომელიც ენტონი იდენთან ერთად ბერლინში იმყოფებოდა, მოსკოვისკენ აღარ განეგრძო გზა. იდენი კი მოგვიანებით გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. იდენის პირველი შთაბეჭდილებების სრული წარმოდგენის მიზნით გავყვეთ მის მემუარებს.

„როგორც კი კარი გაიღო, დავინახე იქ მდგომი დაბალი, ჩასკვნილი კაცი, რომელსაც თმა „ენ ბროსეს“ ყაიდაზე დაეყენებინა. მას ეცვა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელთა გარეშეც იშვიათად მინახავს, მაგრამ ისინი იდეალურად სუფთა და გაწკრიალ-გაპრიალებული იყო.

— ეს შეხვედრა, — აღწერს იდენი, — პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სტალინი დასავლეთის წარმომადგენელს იღებდა, რაც ჩემი მთავარი კოზირი გახლდათ. „სტალინმა მე დამიპყრო პირველი შეხვედრისთანავე. მას კარგი ბუნებრივი მანერები აქვს, შეიძლება ქართული წარმოშობისა. თუმცა მე ვიცოდი მისი დაუნდობელი ხასიათი, მაინც ყოველთვის პატივს ვცემდი სტალინის გონების მაღალ დონეს და, მიუხედავად დიდი სიმპათიისა, ვერასოდეს შევძელი მისი სრული ანალიზი. შეიძლება, ეს ხდებოდა მისი პრაგმატიზმის გამო. სრულიად არ იყო ძნელი იმის გარკვევა, რომ თქვენ ესაუბრებოდით პარტიულ კაცს, რომელიც არასოდეს ახსენებდა **კარლ მარქსს.**

**ომის პერიოდში, ჩერჩილთან ერთად თუ მარტო, ჩვენი არაერთგზის შეხვედრისას ყოველთვის მოიძებნებოდა ხოლმე გამოსავალი, დღის წესრიგის მძიმე ხასიათის მიუხედავად. მე კონფერენციებზე არასოდეს შევხვედრივარ უკეთესად წარმოდგენილ ადამიანს. ინფორმირებული იყო ყველაფერზე, რაც საქმეს ეხებოდა. სტალინი გახლდათ წინდახედული, მაგრამ არა ზოზინა, ხმის ნაკლებად ამწევი, უცნაური, ირონიზებული იუმორის მიდრეკილების. იგი უმშვიდესი დიქტატორი იყო მათგან, ვისაც ვიცნობდი. დიახ, სტალინში იგრძნობოდა ძალა!“** — აი, ასე ახასიათებს მას იდენი.

საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტალინმა დაიწყო. მან ჰკითხა სტუმარს, რას ფიქრობდა თანამედროვე სიტუაციაზე ევროპაში, რომელიც უფრო საგანგაშო ჩანდა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის წინ იყო. იდენს უთქვამს, რომ ამ შემთხვევაში იგი უფრო გამოიყენებდა სიტყვა „სახიფათოს“, ვიდრე „საგანგაშოს“. ერთა ლიგის არსებობა რომლის წევრი, გერმანიის გარდა, ევროპის ყველა სახელმწიფოა, არის ის უპირატესობა, რომელიც აკლდაო პირველი მსოფლიო ომის წინარე ხანას.

სტალინს გაუგრძელებია ამ თემაზე საუბარი და უთქვამს, რომ ეთანხმება ერთა ლიგის შეფასებას, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა მაინც უარესიაო. საქმე ის არის, რომ 1913 წელს მხოლოდ ერთი აგრესორი იყო — გერმანია, დღეს კი ორიაო — გერმანია და იაპონია. სტალინმა ეს თქვა „ღერძის სახელმწიფოთა“ კავშირის შექმნამდე ორი-სამი წლით ადრე!..

„მომავალმა მოვლენებმა ამ სიტყვების მართებულობა დაადასტურა“, — აღნიშნავს იდენი. შემდეგ სტალინი შეხებია იაპონიის პოზიციას. უთქვამს, ვიდრე მანჯურიის სრულ დამორჩილებას მოინელებდა, იაპონია ასე თუ ისე ურიგდებოდა სიმშვიდეს, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცდება ნანკინის (ჩინეთის მთავრობის) ხელისუფლების დამხობასო.

ამის შემდეგ საუბარი გერმანიას შეეხო. გერმანელებიო, — უთქვამს სტალინს, — ორგანიზებულობის გამორჩეული უნარით, ისევე, როგორც მაღალი, ინდუსტრიული დონით, წარმოადგენენ ძლიერ ხალხს. ყველაფერთან ერთად ისინი იტანჯებიან მათთვის თავს მოხვეული ვერსალის ხელშეკრულების პირობებით. ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ ისინი გააქტიურდებიან შურისძიების მოტივით.

**სტალინი დათანხმებია იდენის თვალსაზრისს, რომ ომის შემდეგ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობდა, რაღაც დახმარება აღმოეჩინა გერმანიისთვის, მაგრამ ამჟამად იგი კარგავსო ამ თანაგრძნობას საკუთარი პოზიციის გამო. აქ სტალინს უთქვამს, რომ ეს აიხსნება გერმანიის საგარეო პოლიტიკის მოუქნელობით და რომ ეს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება (ე.ი. მშვიდობის დაცვა) შეიძლება მხოლოდ სხვადასხვა პაქტის მეშვეობით. გერმანიამ უნდა გაითავისოს, რომ, თუ იგი მახვილს აღმართავს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, მას სრულიად ევროპა შეეწინააღმდეგება.**

შემდეგ სტალინი წამომდგარა და კედელზე გაკრული რუკის წინ დაუწყია სიარული. მერე უცებ შეჩერებულა და სტუმარისთვის მეგობრული ტონით განუცხადებია: თქვენი სახელმწიფოს ძალასა და გავლენაზე ბევრი რამ უნდა იყოსო დამოკიდებული; იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა შესრულებას არსებულ ვითარებაში იკისრებს მისი აღმატებულების (ე.ი. ინგლისის) მთავრობა კოლექტიური უშიშროების სისტემაში ახლა, როდესაც ომი, ფაქტობრივად, კარზეა მომდგარიო.

შეხვედრა ამით დასრულებულა. მას მოჰყოლია იდენის საინტერესო შეფასება, რომელიც მას დეპეშით გაუგზავნია ლონდონში:

**„მოლაპარაკებების პროცესში სტალინმა გამოავლინა საერთაშორისო ურთიერთობათა შესანიშნავი ცოდნა და გააზრება. ამ თვალსაზრისით მისი გაგება გაცილებით ფართო ჩანს, ვიდრე ლიტვინოვის, თუმცა ლიტვინოვის დასკვნები არანაკლებ მტკიცე ხასიათისაა. მან ჩვენზე დატოვა შთაბეჭდილება, მკაცრად გამოხატული ძლიერი აღმოსავლური ხასიათის პიროვნებისა, რასაც ემატებოდა შეურყეველი რწმენა და კონტროლი, გამოკვეთილი თავაზიანობა კი არ მალავდა შეუბრალებელ სისასტიკეს“.**

იდენის ვიზიტს მოჰყვა მთავრობათა ორმხრივი კომუნიკე, რომელიც მშვიდობის დაცვის საქმეში მათ თანამშრომლობას ითვალისწინებდა. იგი სტუმრის შედგენილი ყოფილა, მაგრამ მეტწილად სტალინის ხელით ჩასწორებული. უნდობლობის ყინული ერთგვარად გალღვა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ანტიჰიტლერულ კოალიციაში მათ თანამშრომლობას.



სტალინი გენერალურ შტაბში



**«ომის პერიოდში, ჩერჩილთან ერთად თუ მარტო, ჩვენი არაერთგზის შეხვედრისას ყველთვის მოიძებნებოდა ხოლმე გამოსავალი, დღის წესრიგის მძიმე ხასიათის მიუხედავად. მე კონფერენციებზე არასოდეს შევხვედრივარ უკეთესად წარმოდგენილ ადამიანს. ინფორმირებული იყო ყველაფერზე, რაც საქმეს ეხებოდა. სტალინი გახლდათ წინდახედული, მაგრამ არა ზოზინა, ხმის ნაკლებად ამწევი, უცნაური, ირონიზებული იუმორის მიდრეკილების. იგი უმშვიდესი დიქტატორი იყო მათგან, ვისაც ვიცნობდი. დიახ, სტალინში იგრძნობოდა ძალა!»**

მართლმადიდებლობის წინაალმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1949 წლის იანვარში ახალდანიშნულმა პატრიარქმა აფინაგორმა პირველივე ქადაგებაში მადლობა გადაუხადა თავის კურატორებს. მან მორწმუნეებს მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. თანაც ლაპარაკი იყო არა მხოლოდ მართლმადიდებლებზე, არამედ სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებზეც.**

# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბრძოლა მართლმადიდებლებზე გავლენის მოსაპოვებლად

**მართლმადიდებელ სამყაროში გაჩაღდა ბრძოლა ტვინებზე. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი ცდილობს, თავის მხარეს გადაიბიროს ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლები, რათა მათ აღიარონ უკრაინის „რასკოლნიკური“ ეკლესია, ხოლო თვითონ კონსტანტინოპოლის პატრიარქი პრეტენზიას აცხადებს მართლმადიდებელ სამყაროში პირველკაცობაზე, თანაც სპეცსამსახურების მხარდაჭერით.**
**გთავაზობთ ria.ru-ზე გამოქვეყნებულ მასალას, როგორ შექმნა აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) ბართოლომეოსისგან „აღმოსავლეთის პაპი“.**

## თავიანთი კაცი სტამბოლში

როგორც კი გახვალთ ჟენევიდან — შვეიცარიის სიდიდით მეორე ქალაქიდან — ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ხალხმრავალი ტროტუარების ნაცვლად დაინახავთ ვიწრო ბილიკებს, რომლებიც ავტომაგისტრალის გასწვრივ გადის, ხოლო თანამედროვე მრავალსართულიანი შენობების ნაცვლად — პატარა სახლებს დახრილი სახურავებით.

სოფელი შამბეზი ოლქში ელიტურ ადგილად ითვლება. იქ, ძირითადად, დიპლომატები ცხოვრობენ — არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ — საეკლესიოც. მათ არსებობაზე მიუთითებს სოფლის შესასვლელში გაკრული აბრები ფრანგულ ენაზე: **„წმინდა პავლეს ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესია“.** მაგრამ ასე უბრალოდ ტაძარს ვერ იპოვით: ის ჩამალულია სახლებსა და მაღალ ხეებს შორის. მავთულის ბადის ღობეზე გაკრულია გამაფრთხილებელი აბრა: **„კერძო საკუთრება. დაცულია!“.** ირგვლივ მიმოფანტულია სათვალთვალო კამერები.

ღობის იქით არის უცნაური ფორმის ბეტონის შენობა. მას არ აქვს ფანჯრები, მხოლოდ რამდენიმე ღიობია, რომლებიც ძალიან ჰგავს ე.წ. სათოფეს. აქვს მხოლოდ ორი კარი, რომლებიც საგულდაგულოდ დაკეტილია. ნაგებობას ამშვენებს ჯვარი, რომელიც ანტენას უფრო ჰგავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ბუნკერია და არა ეკლესია.

სხვათა შორის, ეს შენობა სწორედ ევაკუაციის შემთხვევისთვის ააშენეს. აქ მხოლოდ ტაძარი არ არის — ეს მთელი კომპლექსია, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრი შამბეზიში. ის 1966 წელს ააგეს ბართოლომეოსის ერთ-ერთი წინამორბედის — პატრიარქ აფინაგორის სტამბოლიდან შესაძლო გაქცევის შემთხვევაში.** პატრიარქი ტყუილად არ იყო შეშინებული. საქმე ის არის, რომ მსოფლიო საპატრიარქოს (ასეც უწოდებს თავს კონსტანტინოპოლის ეკლესია) **ადმინისტრაციული ცენტრი თურქეთში, ასეთი ხმამაღალი სახელწოდების მიუხედავად, შედგება რამდენიმე მოკრძალებული შენობისგან, რომლებიც განლაგებულია სტამბოლის რაიონ ფენერში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ პატრიარქის ტახტის მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული თურქეთის ხელისუფლებაზე.** ასე იყო, მაგალითად, აფინაგორის წინამორბედ **მაქსიმე V-ის** შემთხვევაში, რომლის წინააღმდეგაც ნამდვილი საინფორმაციო ომი წამოიწყეს. ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ 1948 წელს, როდესაც ცივი ომი ძალას იკრებდა, მან ყველა მართლმადიდებლის შეკრებაზე დელეგაცია გაგზავნა მოსკოვში. ამის გამო თურქეთში, რომელიც იმხანად ნატოში შესვლას ესწრაფვოდა, მაქსიმე V ჯაშუშობაში დაადანაშაულეს.

საბოლოოდ, ხელისუფლებისთვის მიუღებელი პატრიარქი გადააყენეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით. სხვათა შორის, საქმეს ჯაშუშების გარეშე არ ჩაუვლია: პროცესს კურატორობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. **„ქმედებები ხანდაზმული მაქსიმეს შესაცვლელად საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო პატრიარქის პოსტზე, როგორც იქნა, წარმატებით დასრულდა. წმინდა სინოდის შემადგენლობაში მყოფი მიტროპოლიტები წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ მის მოკვეთას საპატრიარქოდან, რომელიც მართლმადიდებელ ბერძნებს წარმოადგენს მსოფლიოში... ახლა კი პატრიარქი ელოდება გადაწყვეტილებას მისი ახალი ადგილსამყოფელის შესახებ“,** — ნათქვამია ცსს-ის საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც 1948 წლის 11 აგვისტოთია დათარიღებული (დოკუმენტი მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ გაასაჯაროეს).

ვაკანტური ადგილი არცთუ უმიზეზოდ დაიკავა აფინაგორმა. ის თითქმის 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის ამერიკის საარქიეპისკოპოსოს და ბერძნული დიასპორის ყველაზე გავლენიანი წევრების მხარდაჭერა მოიპოვა. ერთ-ერთმა მათგანმა, კინოკომპანია **20th Century Fox**-ის ხელმძღვანელმა **სპიროს სკურასმა** მომავალი პატრიარქი გააცნო აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს. კინომაგნატი მიღებული კაცი იყო თეთრ სახლში ომის წლებში, რადგან ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საბერძნეთში პარტიზანებს ეხმარებოდა.

„1946 წლიდან ამერიკელები საბერძნეთის მთავრობის დახმარებით სხვადასხვა **გზით ამზადებდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტახტზე თავიანთი კაცის დასმას, რომელიც საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად იქნებოდა განწყობილი, მაქსიმე V-მ კი რამდენჯერმე განაცხადა რუსეთის ეკლესიასთან დაახლოების შესახებ. მის ადგილს ამზადებდნენ ნიუ-იორკის არქიეპისკოპოს აფინაგორს, ეროვნებით ბერძენს, ამერიკის ქვეშევრდომს“,** — ასე აღწერდა ვითარებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხების საბჭოს თავმჯდომარე ევგენი კარპოვი სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთვის მომზადებულ მოხსენებაში.



ბართოლომეოსი და პოროშენკო



ამერიკის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი და მომავალი პატრიარქი აფინაგორი

## ...და ვატიკანში

1949 წლის იანვარში ახალდანიშნულმა პატრიარქმა აფინაგორმა პირველივე ქადაგებაში მადლობა გადაუხადა თავის კურატორებს. მან მორწმუნეებს მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. თანაც ლაპარაკი იყო არა მხოლოდ მართლმადიდებლებზე, არამედ სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებზე.

იმხანად ქრისტიანულ სამყაროს გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ უნებლიეთ ჩაერთო ორი ზესახელმწიფოს იდეოლოგიურ ომში. 10 წლის შემდეგ გაისმა ტაძრებში ლოცვებზე მეტი საუბრები პოლიტიკაზე, როცა კათოლიკეთა — უდიდესი დენომინაციის — მეთაურად აირჩიეს **პაპი იოანე XXIII.**

იოანე XXIII-ის მმართველობის წლები დაემთხვა ცივი ომის გამწვავებას, ძირითადად, კუბის გამო. კუნძულზე ხელისუფლების სათავეში მოსულ **ფიდელ კასტროს** მთავრობას გააფთრებით გმობდნენ კათოლიკე ეპისკოპოსები, რომლებიც კუბის რევოლუციის ლიდერს ანტიქრისტეს ეძახდნენ. ყველაზე გავლენიანმა კარდინალებმა კი პაპს მოუწოდეს, კასტრო ეკლესიიდან განეკვეთა, მაგრამ მან უარი განაცხადა და ამით არა მხოლოდ სამწყსო, არამედ დასავლური სამყაროს ლიდერები გააოგნა. მეტიც, სხვა მოლოდინის მიუხედავად, ზესახელმწიფოებს მშვიდობისკენ მოუწოდა. **1962 წლის კარიბის კრიზისის დღეებში, როცა პლანეტა ატომური ომის ზღურბლზე იდგა, იოანე XXIII-მ რამდენჯერმე დაურეკა აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის და მოუწოდა, არ დაეწყო ომი საბჭოთა კავშირთან. ამერიკულმა პრესამ, როდესაც ეს ამბავი შეიტყო, პაპი კომუნისტებისადმი სიმპათიაში დაადანაშაულა და მას „წითელი პაპი“ შეარქვა.**

1963 წლის მაისში იოანე XXIII-მ საჯაროდ განაცხადა, რომ სურს დიპლომატიური კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირთან. 3 ივნისს პონტიფიკოსი მოულოდნელად გარდაიცვალა. ქრისტეს ახალი „მოადგილე“ კი კანკლავმა ვერაფრით აირჩია...

ბოლოს, კარდინალთა მხოლოდ მეხუთე კენჭისყრის შემდეგ მცირე უპირატესობით გაიმარჯვა მონსენიორმა **ჯოვანი მონტინ-** ▶

**ვაკანტური ადგილი არცთუ უმიზეზოდ დაიკავა აფინაგორმა. ის თითქმის 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის ამერიკის საარქიეპისკოპოსოს და ბერძნული დიასპორის ყველაზე გავლენიანი წევრების მხარდაჭერა მოიპოვა. ერთ-ერთმა მათგანმა, კინოკომპანია 20th Century Fox-ის ხელმძღვანელმა სპიროს სკურასმა მომავალი პატრიარქი გააცნო აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს. კინომაგნატი მიღებული კაცი იყო თეთრ სახლში ომის წლებში, რადგან ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საბერძნეთში პარტიზანებს ეხმარებოდა**

**მხოლოდ მეხუთე კენჭისყრის შემდეგ მცირე უპირატესობით გაიმარჯვა მონსენიორმა ჯოვანი მონტინომ, რომელმაც პავლე VI დაირქვა. ის საკმაოდ ცნობილი პერსონა იყო, თანაც არამხოლოდ იტალიაში. ამერიკელი ისტორიკოსის — უილიამ ბლუმის მონაცემებით, რომელიც 1960-იან წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა, მომავალი პონტიფიკოსი აქტიურად თანამშრომლობდა დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან.**

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იოანე XXIII-ის მმართველობის წლები დაემთხვა ცივი ომის გამწვავებას, ძირითადად, კუბის გამო. კუნძულზე ხელისუფლების სათავეში მოსულ ფიდელ კასტროს მთავრობას გააფთრებით გმობდნენ კათოლიკე ეპისკოპოსები, რომლებიც კუბის რევოლუციის ლიდერს ანტიქრისტეს ეძახდნენ. ყველაზე გავლენიანმა კარდინალებმა კი პაპს მოუწოდეს, კასტრო ეკლესიიდან განეკვეთა, მაგრამ მან უარი განაცხადა, რითაც პაპმა არა მხოლოდ სამწყსო, არამედ დასავლური სამყაროს ლიდერები გააოგნა. 1963 წლის მაისში იოანე XXIII-მ საჯაროდ განაცხადა, რომ სურს დიპლომატიური კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირთან. 3 ივნისს პონტიფიკოსი მოულოდნელად გარდაიცვალა. ქრისტეს ახალი «მოადგილე» კი კანკლავმა ვერაფრით აირჩია...**

**...ომ**, რომელმაც **პავლე VI** დაირქვა. ის საკმაოდ ცნობილი პერსონა იყო, თანაც არამხოლოდ იტალიაში. ამერიკელი ისტორიკოსის — **უილიამ ბლუმის** მონაცემებით, რომელიც 1960-იან წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა, მომავალი პონტიფიკოსი აქტიურად თანამშრომლობდა დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

**„ის (პავლე VI) იყო აშშ-ის ცსს-ის გულუხვი საჩუქრების კიდევ ერთი ბენეფიციარი კეთილი კარდინალი 1950-1960 წლებში ობლებს მფარველობდა იტალიაში და, როგორც ცსს-ის დირექტორის თანაშემწე ვიქტორ მარჩეტი ამბობს, „იდეა იყო ის, რომ, თუ ასეთ დაწესებულებებს სათანადო დონეზე დაუჭერდნენ მხარს, ბავშვები კომუნისტების ხელში ვერ მოხვდებოდნენ“, — წერს ბლუმი თავის წიგნში.**

**„პროსაბჭოური“ იოანე XXIII ამერიკულმა სპეცსამსახურებმა თავიანთი კაცით შეცვალეს. თავისი პონტიფიკოსობის განმავლობაში პავლე VI დაუფარავად გამოდიოდა კომუნიზმის წინააღმდეგ.**

სახელდობრ, როგორც ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პატრიარქ აფინაგორის იდეას „კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანების“ შესახებ სწრაფად გამოეხმაურნენ ვატიკანში. 1964 წლის იანვარში კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიების ხელმძღვანელები 500 წლის განმავლობაში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ორი წლით ადრე კი ფენერმა გააუქმა თავისი დელეგაციის ვიზიტი რომში „წითელი პაპის“ — იოანე XXIII-ის მიერ მოწვეულ ვატიკანის მეორე შეკრებაზე.

## „ახალი პაპი“ თუ „პირველი თანასწორთა შორის“?

სწორედ მაშინ მოიხვეჭა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საერთაშორისო დონის პოლიტიკოსის სახელი, მორწმუნეებს კი პირველად მაშინ გაუჩნდათ შიში „აღმოსავლეთის პაპის“ გამოჩენის თაობაზე.

რატომ შიში? **საქმე ის არის, რომ მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით, ეკლესიას მართავს თვითონ ღმერთი, და არც ერთ ადამიანს არ შეუძლია, ეკლესიაში მთავარი პირის სტატუსის პრეტენდენტი იყოს. ეს ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელია მართლდმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის. კათოლიციზმში რომის პაპი ოფიციალურად არის აღიარებული „ქრისტეს მოადგილედ“ დედამიწაზე, თანაც „შეუცდომელია“.**


პაპი პავლე VI



TURKEY

Protracted maneuvers to replace the aging Maximos as Oecumenical Patriarch of the Greek Orthodox Church appears finally to be succeeding. For more than a year a large number of the Metropolitans within the Holy Synod has attempted to force Maximos from the Patriarchate, which represents titular leadership over Greek Orthodox congregations throughout the world. The anti-Maximos Metropolitans have addressed frequent letters to the Greek Government on the subject and have repeatedly called for convocation of the full Synod to compel his resignation. Every time their plans were made known to Maximos, however, the old man reacted violently, and twice he had to be dissuaded from actually dissolving the Synod. In the past Maximos has been aided by the Greek Ambassador to Turkey, who on occasion berated the conspirators and advised them to request forgiveness of the Patriarch. It now appears that even the Greek Ambassador no longer hopes to delay the Patriarch's resignation, and its submission is expected to take place in the next few days.

SECRET

ცსს-ს მოხსენებითი ბარათი, 1948 წლის აგვისტო

სწორედ ეს საკითხი იყო ორი წლის წინათ უთანხმოების მიზეზი ორ ადგილობრივ ეკლესიას შორის, როდესაც დაიწყო „რასკოლნიკური“ მოვლენები უკრაინაში. პრეზიდენტმა (ახლა უკვე ყოფილმა) **პეტრე პოროშენკომ გადაწყვიტა, შეექმნა თავისი ეკლესია არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად და კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს უკრაინელი „რასკოლნიკების“ ლეგალიზაცია და ახალი სტრუქტურისთვის ავტოკეფალიის მინიჭება სთხოვა. ისიც დათანხმდა პოროშენკოს ვედრებას. ეს იმით ახსნა, რომ თითქოს „მართლმადიდებელ წინამძღოლთა შორის პირველია“ და ეს ნიშნავს, რომ შეუძლია ჩაერიოს ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის საშინაო საქმეებში, მათ შორის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საშინაო საქმეებშიც.**

მოსკოვის საპატრიარქო კი დაჟინებით მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლის წინამძღოლი „პირველია მხოლოდ თანასწორთა შორის“, ამიტომ უფლება არ აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება სხვის კანონიკურ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, უკრაინის პრობლემაში ბართოლომეოსი არ უნდა ჩარეულიყო.

**„პატრიარქ ბართოლომეოსის ქმედებებმა მართლმადიდებლობის სხეული უკვე დაანაწევრა, თანაც შეგნებულად. პატრიარქი ბართოლომეოსი გაფრთხილებული იყო, რომ იქნებოდა ასეთი შედეგები, მაგრამ ის კვლავ განაგრძობს არჩეულ გზაზე სიარულს — ასრულებს პოლიტიკურ შეკვეთას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო. ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ სწორედ ის არის მთავარი შემკვეთი. შეკვეთაში კი გადახდილია კუპიურები, რაც კარგად არის ცნობილი“,** — განუცხადა ფრანგულენოვან პორტალ Orthodozie.com-ს „მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ეკლესიური კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა **ილარიონმა.** მისი თქმით, ამერიკელთა შეკვეთის მიზანი იყო „მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის დარღვევა“. პატრიარქ ბართოლომეოსს კი, უწინარესად, „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა, მისი დასუსტება სურს“. როგორც ჩანს, ბართოლომეოსის წინამორბედების მიერ სპეცსამსახურების მხარდაჭერით დაწყებული იდეოლოგიური კამპანია ცივ ომთან ერთად ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**«პატრიარქ ბართოლომეოსის ქმედებებმა მართლმადიდებლობის სხეული უკვე დაანაწევრა, რასაც ის შეგნებულად აკეთებს. პატრიარქი ბართოლომეოსი გაფრთხილებული იყო, რომ იქნებოდა ასეთი შედეგები, მაგრამ კვლავ განაგრძობს არჩეულ გზაზე სიარულს — ასრულებს პოლიტიკურ შეკვეთას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო. ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ სწორედ ის არის მთავარი შემკვეთი. შეკვეთაში კი გადახდილია კუპიურები, რაც კარგად არის ცნობილი»**


კონსტანტინოპოლის პატრიარქის რეზიდენცია

მართალი ისტორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანგლო-ამერიკული ოპერაცია 17-დან 25 სექტემბრამდე გრძელდებოდა. გერმანელებმა მოწინააღმდეგეს ყველა ფანდი გაუგეს და სასტიკად დაამარცხეს. ოპერაცია „მარკეტ გარდენი“ სამარცხვინოდ ჩაფლავდა. მოკავშირეებმა, ჯამში, 16 800 ჯარისკაცი დაკარგეს მოკლულთა და გერმანელების მიერ დატყვევებულთა სახით, მათი უმეტესობა ინგლისელი იყო. ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ერთად, რამდენიმე ასეული პოლონელი ჯარისკაციც დაიღუპა, რომლებიც ინგლისიდან იყვნენ მოკავშირეთა რიგებში გადმოსროლილნი. გერმანელების მხრიდან დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობამ, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 3 500-დან 8 000-მდე შეადგინა.**

# ყოჩაღი «ფრიცები» და ხელით სათრევი ანგლო-ამერიკელები — ვის უნდა ვუმადლოდეთ ნაციზმზე გამარჯვებას

**ყველა დროის უდიდესი სტრატეგი და მთავარსარდალი, ქართველი ერის შვილი იოსებ სტალინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჟოუ ენლაის, 1952 წლის 20 აგვისტოს ეუბნებოდა:**

„ამერიკელები ვაჭრები არიან. თითოეული ამერიკელი ჯარისკაცი სპეკულანტია, დაკავებულია ყიდვა-გაყიდვით. გერმანელებმა 20 დღეში დაიპყრეს საფრანგეთი, შეერთებული შტატები კი, უკვე ორი წელია, ვერ უმკლავდება პატარა კორეას. რა ძალაა ეს? ამერიკელების მთავარი შეიარაღება ქალის წინდები, სიგარეტები და სავაჭროდ განკუთვნილი სხვა ნივთებია. მათ სურთ, მსოფლიოს დაპყრობა, მაგრამ ვერ ერევიან პატარა კორეას. არა, ამერიკელებს არ ეხერხებათ ომი. განსაკუთრებით, კორეის ომის შემდეგ დაკარგეს შესაძლებლობა, აწარმოონ დიდი ომი. ისინი იმედს ბირთვულ იარაღსა და საავიაციო თავდასხმებზე ამყარებენ, მაგრამ ამით ომს ვერ მოიგებენ. ომის მოსაგებად საჭიროა ქვეითი ჯარი, მაგრამ ქვეითი ჯარი ცოტა და სუსტი ჰყავთ. ებრძვიან პატარა კორეას, ამერიკაში კი უკვე ტირიან. მაშინ რა მოხდება, თუკი ისინი დიდ ომს დაიწყებენ? — მაშინ, ალბათ, ყველა ამერიკელი იტირებს“.

სტალინის ამ სიტყვებს ისტორიული კონტექსტიდან არ ვიღებთ, მაგრამ ზოგი რამ მოტანილი ციტატიდან დღესაც ნიშანდობლივია. დავუბრუნდეთ ისევ ისტორიას და კორეის ომიდან მეორე მსოფლიო ომში გადავინაცვლოთ. **დღეს ხომ ხდება კულტივირება აზრისა, რომ თითქოს მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმ-ნაციზმის დამარცხება „დასავლური დემოკრატიების“, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დამსახურებაა, საბჭოთა კავშირი კი ომის გამჩაღებლად გამოჰყავთ, რომლის წვლილიც ჰიტლერის დამარცხებაში ყურადსაღები არც არის. საბჭოთა კავშირი თურმე „ლენდ-ლიზს“ გადაურჩენია და არა უზარმაზარი ქვეყნის მობილიზებასა და ასევე უზარმაზარ გმირულ მსხვერპლს.** რეალობა სხვაა. ამისთვის არ არის საჭირო არქივებში ქექვა, ყველაფერი კარგად არის ცნობილი, ოღონდ ცნობილ ფაქტებზე ყურადღებაა გასამახვილებელი და ნებისმიერ „ლიბერასტს“, რომელიც დაგიწყებთ ამერიკის „სიდიადესა“ და საბჭოეთის „ჩამორჩენილობაზე“ ლაპარაკს, ქვემოთ წარმოდგენილი უდავო ფაქტი სახეზე უნდა ააფაროთ:

* საბჭოთა კავშირის დასავლელმა მოკავშირეებმა — აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიისთვის მეორე ფრონტის გახსნის არაერთხელ გადადების შემდეგ, 1944 წლის ივნისში, როგორც იქნა, განახორციელეს მასშტაბური ოპერაცია და გერმანიას მეორე ფრონტი გაუხსნეს საფრანგეთში. ეს საბჭოთა ხალხის სიყვარულითა და ჩვენი წინაპრების რიგებში მსხვერპლის შემცირების მიზნით არ გაუკეთებიათ ანგლო-ამერიკელებს, არამედ მათ სწადდათ, რომ წითელ არმიაზე უფრო სწრაფად აიღებდნენ გერმანული რაიხის დედაქალაქ ბერლინს. გერმანიის ძირითადი ძალები სწორედ აღმოსავლეთ ფრონტზე იყო გადასროლილი და „დემოკრატიები“ გერმანიაში, ბერლინამდე, იოლ „განავარდებას“ ვარაუდობდნენ, მაგრამ მალე გამომჟღავნდა ანგლო-ამერიკელების შედარებით სუსტი ბრძოლისუნარიანობა ხმელეთზე. წითელი არმიის მიერ უკიდურესად დასუსტებულმა გერმანელებმა, მიუხედავად ამ დასუსტებისა, ორჯერ სასტიკ დღეში ჩააგდეს ინგლის-ამერიკის ჯარები, მიუხედავად მათი რიცხობრივი და მატერიალურ-ტექნიკური უპირატესობისა.

### ანგლო-ამერიკელთა ჩავარდნა №1: 1944 წლის სექტემბერი, ჰოლანდია

1944 წლის აგვისტოს ბოლოს ინგლისურ-ამერიკული სარდლობა სრულად იყო დარწმუნებული თავიანთ გამარჯვებაში. საფრანგეთში სასტიკი ბრძოლების შემდეგ, გერმანიის არმიის ნაწილების უკანდახევამ ინგლისელები და ამერიკელები დაარწმუნა, რომ ნაცისტური ჯარების წინააღმდეგობის დასრულებამდე ძალიან ცოტა იყო დარჩენილი. ბრიტანელებისა და ამერიკელების უმეტესობას სჯეროდა, რომ ევროპაში ომი რამდენიმე თვეში დასრულდებოდა. დასავლელი მოკავშირეები 1944 წლის დეკემბრის საშობაო დღესასწაულებისთვის უკვე ბერლინის აღებას ვარაუდობდნენ.

ამერიკელმა გენერალმა **ჯორჯ სმიტ-უმცროსმა** და ბრიტანელმა ფელდმარშალმა სერ **ბერნარდ ლოუ მონტგომერიმ** დაიყოლიეს ევროპაში გაერთიანებული ამერიკულ-ბრიტანული ძალების მთავარსარდალი, ამერიკელი გენერალი **დუაიტ ეიზენჰაუერი,** მოკავშირეებს განეხორციელებინათ სადესანტო ოპერაცია ჰოლანდიაში სტრატეგიული მიზნით – შეჭრილიყვნენ გერმანიის ინდუსტრიულ რურის მხარეში და გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილიდან დაერტყათ ბერლინისთვის. ოპერაციის პირველი დასკვნითი წერტილი ჰოლანდიის ქალაქი არნემი უნდა გამხდარიყო. ფელდმარშალ მონტგომერის მიერ ოპერაციას მიენიჭა კოდური სახელწოდება Market Garden-ი **(„მარკეტ გარდენი“)** — აქედან Market მოიცავდა საპარაშუტო დესანტის გადასხმას ფრონტის ხაზს იქით 60-90 კმ-ის მანძილზე, რამდენიმე ხიდისა და საგზაო კვანძის დაკავებით; Garden კი ძირითადი, 30-ე ბრიტანული კორპუსის ძალების მიერ დესანტთან შეერთებასა და ჰოლანდიური ქალაქების — ეინდჰოვენის, ნაიმეგენისა და არნემის — გათავისუფლებას გულისხმობდა. მოკავშირეებმა 35 ათასი სამხედროს მობილიზება შეძლეს ოპერაციის ჩასატარებლად, გერმანელებს კი მხოლოდ 20 ათასი კაცი ჰყავდათ იერიშის მოსაგერიებლად. ოპერაციის შედეგები ცნობილია:

ანგლო-ამერიკული ოპერაცია 17-დან 25 სექტემბრამდე გრძელდებოდა. გერმანელებმა მოწინააღმდეგეს ყველა ფანდი გაუგეს და სასტიკად დაამარცხეს. ოპერაცია „მარკეტ გარდენი“ სამარცხვინოდ ჩაფლავდა. მოკავშირეებმა 16 800 ჯარისკაცი დაკარგეს მოკლულთა და გერმანელების მიერ დატყვევებულთა სახით, მათი უმეტესობა ინგლისელი იყო. ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ერთად, რამდენიმე ასეული პოლონელი ჯარისკაციც დაიღუპა, რომლებიც ინგლისიდან იყვნენ მოკავშირეთა რიგებში გადმოსროლილნი. გერმანელების მხრიდან დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობამ, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 3 500-იდან 8 000-მდე შეადგინა.

მოკავშირეებმა ვერ მიაღწიეს ვერც ერთ მიზანს, რომლებსაც მათი გეგმა ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, მკვეხარა ანგლო-საქსი გენერლები თავიანთ მოსახლეობას მაშინაც „აბოლებდნენ“. ეიზენჰაუერი მიიჩნევდა, რომ ოპერაცია „მარკეტ გარდენი“ წარმატებული იყო 50 პროცენტით, ხოლო იდეის მთავარმა ავტორმა მონტგომერიმ გამოაცხადა, რომ ოპერაცია 90 პროცენტით აღმოჩნდა „წარმატებული“. მიუხედავად ამ ბაქიბუქისა, მონტგომერი ძალიან განიცდიდა, რომ ბერლინის აღება დასავლელმა მოკავშირეებმა ვერ შეძლეს, რასაც იგი „კარგი ოპერატიული გეგმის“ უქონლობას აბრალებდა, რითაც ირიბად მაინც აღიარა „მარკეტ გარდენის“ უვარგისობა. აქვე აღსანიშნავია, რომ „მარკეტ გარდენის“ წარუმატებლობა, რიგი წყაროების თანახმად, მოკავშირეთა კონტრდაზვერვის წარუმატებლობადაც უნდა იქნას მიჩნეული, რადგან, ამ წყაროების მიხედვით, ოპერაციის დეტალები გერმანულმა დაზვერვამ იცოდა თავისი ჰოლანდიელი ჯაშუშის — **კრისტიან ლინდერმანსის,** მეტსახელად „კინგ კონგის“, მეშვეობით.

### ანგლო-ამერიკელთა ჩავარდნა №2: 1944 წლის დეკემბერი-1945 წლის იანვარი, ბელგია

1944 წლის დეკემბერსა და 1945 წლის იანვარში, როდესაც ფაშისტური გერმანია საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად უკვე სულს ღაფავდა, გერმანელებმა მაინც შეძლეს ანგლო-ამერიკელების დიდად დაზარალება და მათი შეტევის შეფერხება.



გერმანელების მიერ 1944 წლის დეკემბერში დატყვევებული ამერიკელი სამხედროები

**დღეს ხდება კულტივირება აზრისა, რომ თითქოს მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმ-ნაციზმის დამარცხება «დასავლური დემოკრატიების», აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დამსახურებაა; საბჭოთა კავშირი კი ომის გამჩაღებლად გამოჰყავთ, რომლის წვლილიც ჰიტლერის დამარცხებაში ყურადსაღები არც არის. საბჭოთა კავშირი თურმე «ლენდ-ლიზს» გადაურჩენია და არა უზარმაზარი ქვეყნის მობილიზებასა და ასევე უზარმაზარ გმირულ მსხვერპლს**

**16 დეკემბერს გერმანელებმა მასშტაბური კონტრშეტევა წამოიწყეს დასავლეთის ფრონტზე ბელგიის მიმართულებით. ეს ოპერაცია „არდენების“ ოპერაციის სახელით შევიდა ისტორიაში. გერმანელები 10 დღის განმავლობაში სდევდნენ ფრონტის ხაზიდან გაქცეულ ამერიკელებსა და ბრიტანელებს. გერმანელთა შეტევეა მხოლოდ აღმოსავლეთიით, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტთან წითელი არმიის გააქტიურებამ შეაფერხა — ჰიტლერი იძულებული შეიქნა, დასავლეთის ფრონტი ნაწილობრივ შეესუსტებინა და ძალები ბუდაპეშტისკენ გადაესროლა. ჰიტლერი ამბობდა, რომ ერჩივნა ბერლინის დათმობა, ვიდრე ბუდაპეშტისა, რადგან უნგრეთში ნავთობით მდიდარი ბოლო ტერიტორიები იყო დარჩენილი, რომლებსაც ჯერ კიდევ გერმანია აკონტროლებდა.** მხოლოდ ამის შემდეგ მოითქვეს სული დასავლელმა მოკავშირეებმა და ისინი გერმანელებს წინ აღუდგნენ. მათ თანდათან აიძულეს გერმანელები, უკან დაეხიათ, მაგრამ იანვრის პირველ ნახევარში ფრონტზე მათთვის ჯერ კიდევ უმძიმესი მდგომარეობა იყო შენარჩუნებული. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ სტალინს ევედრებოდა დახმარებას: **„დასავლეთით ძალზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს და ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, უმაღლესი მთავარსარდლობის მხრიდან, საჭირო აღმოჩნდეს დიდი გადაწყვეტილებების მიღება. თქვენ იცით, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა სახიფათოა მდგომარეობა, როდესაც იძულებული ხარ, დაიცვა ძალზე ფართო ფრონტი ინიციატივის დროებითი დაკარგვის შედეგად. გენერალ ეიზენჰაუერს ზოგადი მონახაზით მაინც სჭირდება, იცოდეს, როგორია თქვენი გეგმები, რადგან ეს მის ყველა შემდგომ გადაწყვეტილებაზე იქონიებს გავლენას. მადლიერი ვიქნები, თუკი მაცნობებთ, შეგვიძლია თუ არა, იმედი ვიქონიოთ რუსული ჯარების დიდ შეტევაზე ვისლას ფრონტზე ან სხვა რომელიმე ადგილზე, იანვარში ამ ცნობებს არავის გადავცემ ფელდმარშალ ბრუკისა და გენერალ აიზენჰაუერის გარდა, თანაც მათი მხრიდან ამ ინფორმაციის სრულიად საიდუმლოდ შენახვის პირობით. დრო არ ითმენს“** (ჩერჩილი — სტალინს, 1945 წლის 6 იანვარი).

სტალინის 7 იანვრის პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ ვემზადებით შეტევისთვის, თუმცა საამისოდ ამინდი ხელს არ გვიწყობს. მიუხედავად ამისა, ვითვალისწინებთ დასავლეთის ფრონტზე ჩვენი მოკავშირეების მდგომარეობას. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, სწრაფი ტემპით დაასრულოს მოსამზადებელი სამუშაოები და, ამინდის მიუხედავად, დაიწყოს ფართო შეტევითი მოქმედებები გერმანელების წინააღმდეგ ცენტრალურ ფრონტზე არაუგვიანეს იანვრის მეორე ნახევრისა. შეგიძლიათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რაც კი შესაძლებელია, რათა დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან მოკავშირე ჯარებს“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. **საბჭოთა ჯარების შეტევა ვისლა-ოდერზე მართლაც ძალიან მალე დაიწყო — 12 იანვარს. ანგლო-ამერიკელებს მხოლოდ ამის შემდეგ გაეხსნათ ხელფეხი და დაიწყეს გერმანელების შევიწროება დასავლეთის ფრონტზე. 16 დეკემბერს დაწყებული გერმანელთა კონტრშეტევის ლიკვიდაცია მხოლოდ 29 იანვარს მოხერხდა.** ამერიკელებმა ყვე- ▶




**„ამერიკელებს არ ეხერხებათ ომი. განსაკუთრებით, კორეის ომის შემდეგ დაკარგეს შესაძლებლობა, აწარმოონ დიდი ომი. ისინი იმედს ბირთვულ იარაღსა და საავიაციო თავდასხმებზე ამყარებენ, მაგრამ ამით ომს ვერ მოიგებენ. ომის მოსაგებად საჭიროა ქვეითი ჯარი, მაგრამ ქვეითი ჯარი ცოტა და სუსტი ჰყავთ. ებრძვიან პატარა კორეას, ამერიკაში კი უკვე ტირიან. მაშინ რა მოხდება, თუკი ისინი დიდ ომს დაიწყებენ? — მაშინ, ალბათ, ყველა ამერიკელი იტირებს“.**

მართალი ისტორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 16 დეკემბერს გერმანელებმა მასშტაბური კონტრშეტევა წამოიწყეს დასავლეთის ფრონტზე, ბელგიის მიმართულებით. ეს ოპერაცია არდენების ოპერაციის სახელით შევიდა ისტორიაში. გერმანელები 10 დღის განმავლობაში სდევდნენ ფრონტის ხაზიდან გაქცეულ ამერიკელებსა და ბრიტანელებს. გერმანელთა შეტევა მხოლოდ აღმოსავლეთით, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტთან წითელი არმიის გააქტიურებამ შეაფერხა — ჰიტლერი იძულებული შეიქნა, დასავლეთის ფრონტი ნაწილობრივ შეესუსტებინა და ძალები ბუდაპეშტისკენ გადაესროლა. ჰიტლერი ამბობდა, რომ ერჩივნა ბერლინის დათმობა, ვიდრე ბუდაპეშტისა, რადგან უნგრეთში ნავთობით მდიდარი ბოლო ტერიტორიები იყო დარჩენილი, რომლებსაც ჯერ კიდევ გერმანია აკონტროლებდა

ლაზე დიდი ზარალი იწვნიეს გერმანელებისგან მეორე მსოფლიო ომში და თავიანთ სამხედრო ისტორიაში მთლიანად. სამაგიეროდ, ბრიტანელები „გამოძვრნენ“ შედარებით იოლად, რამაც ზოგიერთი ამერიკელი გენერალი მონტგომერის წინააღმდეგ განაწყო. მსხვერპლი კი ასეთია, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით:

16 დეკემბრიდან 29 იანვრამდე 19 ათასი დახოცილი და 23 ათასი ტყვედ ჩავარდნილი ან უკვალოდ დაკარგული ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე (ბრიტანელებში მხოლოდ 200 დახოცილი და 239 ტყვედ ჩავარდნილი). ეს უზარმაზარი მსხვერპლია ერთი სამხედრო ოპერაციის ფარგლებში, რადგან ამერიკელებს, მაგალითად, კორეის სამწლიან ომში სულ 37 904 დაღუპული და დაკარგული ჯარისკაცი ერიცხებათ, არდენებში (მთათა სისტემა ბელგიაში) კი ერთი თვის განმავლობაში გერმანელებმა 19 ათასი კაცი დაუხოცეს და 23 ათასი დაუტყვევეს.

ასეთია რეალური სახე ანგლო-ამერიკელი მკვეხარებისა და მატყუარებისა, რომლებიც დღეს ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირი და მსოფლიო გადაარჩინეს ფაშიზმისგან.

* * *

**აქვე გთავაზობთ ჟურნალისტ ბექა კვიციანის უფრო დეტალურ მიმოხილვას არდენების ოპერაციაზე:**

მოკავშირეთა ამერიკელი გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი დეკემბრის დასაწყისში აუწყებდა თეთრ სახლს, რომ 18 დეკემბერს მის განკარგულებაში მყოფი დივიზიები მესამე რაიხის ტერიტორიაზე შევიდოდნენ. უფრო თამამ განცხადებას აკეთებდა მისი ბრიტანელი კოლეგა მონტგომერი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბერლინს წითელ არმიაზე ადრე აიღებდა. თუ იმ პერიოდში სსრკ-ის დაზვერვა ათი თავით უგებდა გერმანულ SD-ს, მოკავშირეთა უწყება მხოლოდ ბაქიბუქზე იყო გადასული და ჰიტლერმაც არ დააყოვნა.

რამდენიმე თვით ადრე ჰიტლერმა რასტენბურგში სპეციალური თათბირიც კი მიუძღვნა დასავლეთ ფრონტს და თავის გენერალიტეტს უბრძანა, შეემუშავებინა გეგმა, რომლის მიხედვითაც, მტერს ფეხს ამოაკვეთინებდნენ ევროპიდან. გერმანიის ელიტას რატომღაც მიაჩნდა, რომ, თუ ბრიტანელებსა და ამერიკელებს კონტინენტიდან მოიშორებდნენ, წითელ არმიასაც გაანადგურებდნენ. ფრონტი 70 წელს მიტანებულ ფელდმარშალ **გერდ ფონ რუნდშტედს** ჩააბარა და თანაშემწედ **ვალტერ მოდელი** დაუნიშნა, რომელსაც გერმანელი სამხედრო საზოგადოება ფიურერის პირად მეხანძრედაც კი ნათლავდა; „ეს-ეს“-ის გენერლის, **ზეპ-დიტრიხის,** სატანკო შენაერთებიც დაახმარა და ტრიუმვირატს 3 000 თვითმფრინავს დაჰპირდა, რაც ზღაპარი გამოდგა. სენ-ჟერმენში მოკალათებულ მოკავშირეთა შტაბში სრული იდილია იყო, ემზადებოდნენ 18 დეკემბრის შეტევისთვის. დაზვერვამ ამცნო ეიზენჰაუერს, რომ ფრონტზე გერმანელები თავდაცვით სამუშაოებს ატარებდნენ და მეტიც, რამდენიმე სატანკო დივიზია აღმოსავლეთისკენ გადაისროლეს. მონტგომერიმ ტელეგრამაც გაგზავნა ლონდონში და ჩერჩილს ამცნო, რომ მტერს არ შესწევდა უნარი, განეხორციელებინა ბელგიის მიმართულებით აქტიური მოქმედება, რაც სრული დეზინფორმაცია აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში ფიურერის სპეციალური მანდატით აღჭურვილი **ოტო სკორცენი** „ეს-ეს“-ელებში პოულობდა იმ პირებს, რომლებმაც ინგლისური ენა კარგად იცოდნენ ამერიკული დიალექტით. ასეთი კი 3 000 ადამიანი აღმოჩნდა. მათთვის სპეციალური შეკვეთით დაამზადეს ამერიკული არმიის უნიფორმები და შვეიცარიიდან სპეციალურად დიდი მარაგი ამერიკული სიგარეტებისა შეიტანეს რაიხში თვითმარქვია მებრძოლებისთვის. 16 დეკემბერს, დილით, სენ-ჟერმენში განგაში ატყდა. ეიზენჰაუერი ლოგინიდან წამოაგდეს და აცნობეს, რომ ვერმახტმა არდენების მასივში ფრონტი გაარღვია. მე-5 სატანკო არმია ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ პროპაგანდის სამინისტროს ჟურნალისტები ვერ ასწრებდნენ ახალი ამბების გადაცემას დოქტორ **გებელსის** უწყებაში. ამასობაში საგანგაშო ცნობა მოვიდა ლუქსემბურგიდან. ფელდმარშალ მოდელს გზა ხსნილი ჰქონდა ციცქნა სახელმწიფოს სტრატეგიულ წერტილამდე. ფონ რუნდშტედის გაანგარიშება, რომ მოკავშირეთა რიგებში გაუგებრობა გამეფდებოდა, ზუსტი აღმოჩნდა. ტეხასელი გენერალი **პატონი** გერმანელთა თავხედობას ხან ეიზენჰაუერს აბრალებდა, ხან — ბრიტანელ მონტგომერის. თვითმხილველთა თქმით, ის უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა მათ. ორი ამერიკული დივიზია განადგურების პირას


იოახიმ პაიპერის შენაერთი ბელგიაში, 21 დეკემბერი, 1944 წ.



იდგა არდენებთან. ამასობაში, **მონტგომერის ბრძანებით, ამერიკელთა დასახმარებლად ბრიტანული დივიზია დაიძრა. მათ გზაზე ხვდებოდნენ ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი სკორცენის „ეს-ეს“-ელები და არასწორი გზით უშვებდნენ ფრონტის ხაზიდან საკმაოდ შორს. სწორედ ამ ეშმაკური ტრიუკის შედეგად დაეპატრონა მოდელი ლუქსემბურგს უპრობლემოდ და იქიდან დეპეშაც გაგზავნა ბერლინში.** სენ-ჟერმენში ძალიან გვიან შეიტყვეს სკორცენის ჯგუფის შესახებ. ამერიკულმა დაზვერვამ ბრიტანელი კოლეგების ინფორმაციის საფუძველზე დაადასტურა, რომ გერმანელებს ეიზენჰაუერის მოტაცება ჰქონდათ განზრახული და მიიღეს გადაწყვეტილება, მთავარსარდალი სენ-ჟერმენის იქით არ გაეშვათ. რეალურად ბერლინამდე უფრო შორი მანძილი იყო, ვიდრე ლონდონამდე. ჰიტლერიც კმაყოფილი ჩანდა. მან აღმოსავლეთ ფრონტზე ცუდი ამინდითაც ისარგებლა და რეზერვი მიაშველა ზეპ-დიტრიხს, რომლის სატანკო შენაერთები სწრაფად გადააადგილდებოდნენ ბელგიის ტერიტორიაზე. ამერიკული არმიის დემორალიზაციას ხელს უწყობდა პირველივე დღეს გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილი 30 000 თანამემამულის ფაქტორი. ზეპ-დიტრიხის პირველი სატანკო დივიზია გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდა და არიერგარდში მყოფმა შტანდარტენფიურერმა **იოახიმ პაიპერმა** პანიკა დათესა ამერიკელთა რიგებში. სხვათა შორის, იმ დღეებში ვაშინგტონში გაჩნდა მოსაზრება, რომ ბრიტანელები შექმნილ მდგომარეობაში დიუნკერკის ევაკუაციას გაიმეორებდნენ. ჩერჩილი ამოქმედდა და სტალინთან რამდენიმე ტელეგრამა გაგზავნა, რომლებშიც გენერალისიმუსს სთხოვდა, დაეწყო შეტევა აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანელი ჯარისკაცები ხმამაღლა ამბობდნენ კიდეც: ფიურერი საშობაო საჩუქარს გვიმზადებსო, მაგრამ მოულოდნელად 26 დეკემბერს გერდ ფონ რუნდშტედმა შეტევის შეჩერების ბრძანება მიიღო **ვილჰელმ კაიტელისგან.** ოფიციალური ბრძანების საფუძველზე ირკვევა, რომ გერმანულმა მანქანამ დიდი დანაკლისი განიცადა და კიდევ მეტს განიცდიდა რომ არ შეჩერებულიყო შეტევა, რადგან მოკავშირეებმა საკმაოდ დიდი ძალები გადაისროლეს არდენების მიმართულებით. ამერიკელებმა ბრძანება მიიღეს, ადგილზე დაეხვრიტათ სკორცენის „ამერიკელები“. 27 დეკემბერს „ეს-ეს“-ელთა „ამერიკული“ ასეული თვითმარქვია გენერლის მუნდირის წყალობით პაიპერის სატანკო არმიას შეუერთდა. მიღებულ იქნა უპრეცედენტო გადაწყვეტილება, ყველა გენერლის ჯიპის გაჩერებისა და მათი ვინაობის გარკვევის შესახებ. პირველი გენერალი, რომელიც ქეჩოთი ჩამოათრიეს, ჯიპიდან ცნობილი ამერიკელი **ომარ ბრედლი** აღმოჩნდა. მოგვიანებით ეიზენჰაუერმა, უკვე როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა, აღნიშნა, რომ გერმანელებმა მცირე შენაერთებითა და საიდუმლოს დაცვით შეძლეს წარმატების მიღწევა არდენებში, თუმცა, მისი აზრით, შეცდომა იყო შეტევის განხორციელება, რაც განწირულის ბოლო გაბრძოლებას წააგავდა. 8 იანვარს კი, ფიურერის უშუალო ბრძანებით, მე-6 სატანკო არმიამ რაიხის საზღვრისკენ დაიხია და ყრუ თავდაცვაში დადგა. ფრონტზე გააქტიურდა მოკავშირეთა ავიაცია. ბერლინმა ყურადღება ბუდაპეშტის დაცვაზე გადაიტანა და არდენების მასივი მივიწყებულ იქნა. **ასე უშველა სტალინმა მოკავშირეებს!** გერმანული რეზერვის უდიდესი ნაწილი დასავლეთიდან უნგრეთის მიმართულებით გადაისრლეს.

დავესესხოთ დუაიტ ეიზენჰაუერის მემუარებს:

„მე ველოდი დეკემბრის დასაწყისში გერმანელთა აქტივობას არდენების მხრიდან და ომარ ბრედლიც დამიდასტურებს, რომ გაგვაჩნდა კონტრგეგმაც, როგორ უნდა შეგვეჩერებინა მტერი“. ეს არასერიოზული ფრაზაა, რადგან, **თუ გენერლები ელოდნენ ვერმახტის შეტევას, გამოდის, რომ მიზანმიმართულად გაუწირავთ ორი დივიზია — 28-ე და 106-ე.** რეალურად, გერმანელების რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე საწვავის, აღმოჩნდა მწირი, მაგრამ **ნუ დავივიწყებთ წითელი არმიის როლს, რადგან, რომ არა იანვარში საბჭოთა ჯარების შეტევა ვისლა-ოდერზე, მოკავშირეები ბელგიაში დატკეპნიდნენ მიწას. გერდ ფონ რუნდშტედისა და მოდელის ისედაც მცირე არმიას, ჰიტლერმა რეზერვები წაართვა და აღმოსავლეთში გადაისროლა.**

არდენების ოპერაციამ ნათლად დაანახვა მსოფლიოს:

**ა)** მოკავშირეთა დაზვერვას ბოლო ადგილი ეკავა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების დაზვერვებს შორის;

**ბ)** მიუხედავად რესურსში უპირატესობისა, მოკავშირეთა არმია საკმაოდ სუსტი იყო. გავითვალისწინოთ, რომ არდენების ოპერაცია დაიწყო 1944 წლის 16 დეკემბერს და 1945 წლის თებერვლამდე გერმანელთა მცირერიცხოვანი შენაერთები წარმატებით იგერიებდნენ გაცილებით მრავალრიცხოვან მეტოქეს.

ამერიკელებმა ძალიან იზარალეს არდენების ოპერაციისას — 110 000 მებრძოლი და 800 ტანკი დაკარგეს, ხოლო ბრიტანეთმა მხოლოდ 1 500 მეომარი დაკარგა. ეს ყოველივე კი ნაქები ბრიტანულ-ამერიკული დაზვერვის ბრალი რომ იყო, დღემდე არ აღიარებენ დასავლელი სპეციალისტები.

**გულბაათ რცხილაძე**
http://ge.news-front.info

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმა-ამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაითუ გვიანღა იყოს...“**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

1879 წლის აპრილში ილია წერდა, რომ ჩვენმა თაობამ გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, თუმცა გრძნობით კი კარგად გრძნობდაო „თავის ვაი-ვაგლახს და ყოველის მხრით გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად“.

ნაცნობი სიტუაციაა, არა, მკითხველო?!

ყურმოჭრილი მონობა გარემოებისა — ეს ის ფათერაკია, რომელსაც დღესაც „ფართო გზა და მსვლელობა უპყრია“ და კარგს არაფერს გვიქადის. მწარედ ცდება საზოგადოება, თუ ფიქრობს, რომ, როგორც ეს ფათერაკი მოულოდნელად დამატყდა თავს, „იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო“.

მოვუსმინოთ ერის მამას. დღევანდელობასთან პარალელების გავლებით ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ უნდა ავაშენოთ „ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი“ ცხოვრება. რა თქმა უნდა, მისახვედრად ძნელი არ არის, მაგრამ, ახალმა ნიავმა რომ დაჰბეროს ჩვენს ცხოვრებას, კეთილი ნებაც და შრომაც სჭირდება...

# როგორ ავაშენოთ «ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი» ცხოვრება?






## «ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა»




## «ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვას და ლალვას ისეც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხდენია. გვეყო, ბატონებო, გვეყო! იქ «მე» უღონოა, სადა «ჩვენ» გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც»

### ნუთუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?

ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედობისა და სხვა. გრძნობით კი კარგადა გრძნობდა თავის ვაი-ვაგლახს და ყოველის მხრით გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად. იყო ისე, **ყურმოჭრილი მონა გარემოებისა, და თითქო ფიქრობდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო.** ამისდა გვარად, ჩვენი საზოგადოება, იქნება, არც კი იყოს გასამტყუნარი ამაში: თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედობა, — ყველა ამგვარი თავის აღმოსაცენად და განსავითარებლად მოითხოვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსვლელობა უპყრია ფათერაკობას... იქნება არ იყოს-მეთქი მტყუანი, და არც იმიტომ მოვყევით ამაზედ ლაპარაკს, რომ გამოვძებნოთ **ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი**. ეს კი უეჭველია: **გადიოდა ხანი და თითქმის არავითარი შვება არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა — „როდემდე და სადამდეო“, ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავისთავისათვის შველა.**

**ჯერ-ჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისთვის დააარსა ჯერ ერთი საზოგადოება, რომელმაც გახსნა ესრეთწოდებული „მოსამზადებელი შკოლა“, მერე კიდევ სხვა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში.** პირველ საზოგადოებაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „ივერიაში“ და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ახალს საზოგადოებაზედ, რომლის პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება, რომ ფრიად დიდს ღვაწლს გვიქადის მომავალში და იმიტომაც ღირსია ყურადღებისა. ეს საზოგადოება თავის დანიშნულების აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს საქმე საუცხოო საქმეა და თუ ამ საზოგადოების წევრთ ქართველურად მალე გული არ აუცრუვდათ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ. არა ხალხში, რომელიც განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამრიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ.

**ეხლანდელს დროში დედაკაცები ისერიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი.** მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის. ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არა აქვს რა: საზოგადოების შემდგენელთ წევრთ, რიცხვით ჯერ ას-ოცდა-ექვსია, შეაქვთ ყოველ წელიწადს არა ნაკლებ ოცის მანეთისა; ამას გარდა საზოგადოება მოელის სხვადასხვა შემოწირულს ფულს პატივსაცემთ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილთ წევრთაგან, რომელთაც ყოველწლივ უნდა შემოიტანონ არა ნაკლებ ექვსის მანეთისა.ყველა ეს შემოსავალი დიდს ფულს არ შეადგენს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე ჯერ ახლად ფეხადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლად ფეხადგმულს ვინ მოსთხოვს ვაჟიკაცისავით სწორე სიარულს! წრეულობით ამ საზოგადოებამ ხუთი შკოლაც რომ გახსნას ისიც დიდი საქმე იქნება.

**რასაკვირველია, ეს დიდ საქმედ კი არა, მცირე საქმედაც არ ეჩვენებათ იმ პირთ, რომელნიც ყოველ საზოგადო საქმეს თვალებახვეულსავით უცქერიან და იძახიან, რომ წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობას არას მოუტანსო, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო**, ჩვენ გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც უცოდინარებზედ უფრო უსინიდისო და გაფლიდებულნი არიანო.

**ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა.** იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ისე არავინ აპარპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის, ხალხს ჯერ კუჭი გავუძღოთ და მერე ვისწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებულა, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაიგო-რა, ისევ ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხკაცი, რომელსაც ათას თუმნამდინ შეიძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე დგას, ისევ ისე გვერდით უბია თავის საქონელი და იმისგან გამოსუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი გლეხი.

ერთის სიტყვით, **თუ ჩვენის ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს.** ვიმეორებთ: ჩვენ სწავლა გვეჭირვება, და რადგან სახალხო შკოლები სწავლის პირველს საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლების გამრავლება განუზრახავს. წინდაწინვე ვთქვით, რომ ამ უკანასკნელს ხანს შკოლები ჩვენს სოფელში კანტი-კუნტად იხსნებიანო. ეს უფრო იმისთანა სოფლებში ხდება, რომლებშიაც სამასოთხას მცხოვრებზედ მეტია. ამოდენა სოფლებში გლეხკაცებს არ უჭირდებათ წელიწადში სამი-ოთხი მანეთის გამოღება მასწავლებლისა და შკოლის შესანახავად. მაგრამ საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში დიდი სოფლები ძალიან ძვირად შეხვდება კაცსა. ზოგან ხალხი ხეობებში სცხოვრობს და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებნი ერთად სულ ასს კომლს ვერ შეადგენენ. ცხადია, რომ თუ ამ სოფლებში მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამმაოთხმა სოფელმაც რომ ერთად მოიყაროს თავი — მაინც შკოლის გაკეთება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებათ. აი ამგვარს ხეობებში და სხვა პატარ-პატარა სოფლებში შკოლების გამართვას უნდა მიაქციოს ხსენებულმა საზოგადოებამ ყურადღება. არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც, თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს, როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ, მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა. აქამდისინ ჩვენ უფრო იმათს ჩვენგან განშორებაზედ ვზრუნავდით. რაღაც საცოდავი ორასი თუმანი თუ შევკრიბეთ და დამშეულს ქობულეთლებს დავურიგეთ, თორემ სხვაფრივ ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა. აი ეხლა დაგვეტყობა, მართლა ვიცით საქმითაც შეწევნა, თუ მხოლოდ მოძმეს ხსენება გვესიამოვნება და ღვინით შეხურებულის ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა. ეხლა დავამტკიცებთ, მართლა გვინდა თუ არა, ქობულეთლები ნამდვილად ჩვენი ▶

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თუ ჩვენის ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ, ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს“.

◀ მოძმენი გახდნენ და როგორც ლაპარაკით, ისე წერა-კითხვით სრულიად შემოგვიერთდნენ. თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება-მეთქი. თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, **იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა.** მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეივსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, — შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე.ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა. ამ ქართულ საშუალო სასწავლებელზედ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვით აგრეთვე შემდეგ მაზედაც, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ სასწავლებელს ჩვენის ლიტერატურისათვის. ეხლა კი აღვიარებთ, რომ ორივე საზოგადოებანი დასდგომიან ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ ორის მხრიდამ, ორნივე ერთი-ერთმანეთს ეხმარებიან, ავსებენ ერთი-ერთმანეთის ნაკლს. ახლა საქმე ჩვენზედ, ე. ი. ქართველ საზოგადოებაზედ, არის დამოკიდებული; **უნდა აღმოვუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება, ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის! ვინ იცის, ჩვენი ბედი რა-რიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე სხვანაირად წავიყვანეთ!..**

საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილკაცებზედ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ წინ უდევს დიდძალი, აუარებელი შრომა: **ჩვენ ხომ ჯერ სულ ხელცარიელნი ვართ, — არც სახელმძღვანელო გვაქვს, არც საკითხავი წიგნები, არც არა სხვა სახსარი სწავლისა, — აი ამას უნდა შეუდგნენ ეხლავე ჩვენი განათლებულნი, რათა სიტყვა მაინც არ მოგვიბრუნონ: „მაშ რაღასა თხოულობთ, თუკი გამოყენებაც არ იცით და არ შეგიძლიანთო?“**




უმთავრესი შემწე ყველა ამგვარ საქმეთა არის, ჯერ-ჯერობით, საადგილმამულო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შემოსწირა კიდეც ათას ასი თუმანი ამ საზოგადოებას. იმერთ-ამერთა, ესე იგი, მთელმა საქართველომ ამ სამოცდათვრამეტს გავლილს წელიწადში მარტო ერთი საქმე დააწყო საკუთარის თაოსნობით, საკუთარის შეწირულობით და თავის საკუთარის ღონით, მხნეობით და ზედამხედველობით წარმართა კიდეც. ეგ საქმეა ჩვენის ბანკების დადგინება და მართვა. ამ სამოც-და-თვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, თითქოს ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. **ამ ყოფამ ყოველმხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილიევენით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩაგვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს. რაზედ უნდა მიგვემართა ის ყოვლად მხსნელი თვითმოქმედება?** მეტყვით, მაგას ბევრი გზა აქვსო. ჩვენც ვიტყვით, მაგრამ იმ „ბევრამდინ“... ღმერთო, ხომ შენ იცი, რა ტყრუშული ღობეებია, თვალთუწვდენი, შეუვალი. საიდამ რა მოევლოდა? ერთი პატარა ბილიკილა იყო თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ, ისიც ვაილაჩრობით, წეწვითა და გლეჯითა. მოედნად დაგვრჩა ჩვენი ქონების წრე და ბილიკად — გზა ქონების შეძენისა, ანუ გაფლანგვისა. აქ შეგვეძლო გვევარჯიშნა რამოდენიც ჩვენს სულსა და გულს ესურვებოდა, არავინ და არაფერი არ გვაბრკოლებდა. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია. სხვა ღონე რომ არ იყო შველისა, ერთმა ჩვენმა კეთილისმყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და სთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხასო. სთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც. ამაზედ აშენდა ბანკების საქმე. ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც. თუნდ თავი დავანებოთ იმას, რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ, ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თევზისა არ იყოს, პირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვით, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა, ის, რასაკვირველია, დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეგ საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის. დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ **ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერსად ვერა ვხედავთ, ვერც სხვა საზოგადო საქმეში საერთოდ და ვერც ბანკისაში საკუთრივ.** ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის რომ სიტყვა და აზრი წინ გაიგდო და ვათამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა.

ამაზედ უფრო **სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმა-ამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს...** აი, თუნდ ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საქმე. თავდაპირველადვე ამ ბანკს ერთი შფოთი და არეულობა შეუდგა. დაეწყო დასები.

**ერთი იკითხეთ: ან ერთმა დასმა რა წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარჰყო? რისთვის იბრძვიან? რათ აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? სწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც, და აბა, თუ კაცები ხართ, გარკვევით მეტყვით — რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა. ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვას და ლალვას ისეც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხდენია. გვეყო, ბატონებო, გვეყო! იქ „მე“ უღონოა, საცა „ჩვენ“ გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც.**

1879 წელი, აპრილი.

**«რისთვის იბრძვიან? რათ აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? სწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც, და აბა, თუ კაცები ხართ, გარკვევით მეტყვით — რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა»**




**ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, თითქოს ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. ამ ყოფამ ყოველმხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილიევენით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩაგვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## სექსუალური მხეცი: გამჟღავნდა ვაინშტაინის მოძალადეობის დეტალები

**გრძელდება სასამართლო პროცესი ფილმების — „კრიმინალური საკითხავი“, „შეყვარებული შექსპირი“ და სხვა სურათების პროდიუსერ ჰარვი ვაინშტაინის საქმეზე. მას ბრალდებად მსახიობი ქალების გაუპატიურება აქვს წაყენებული. იგი ჰოლივუდში დიდი გავლენის მქონე ბოსი იყო, რაც თავისი სექსუალური აღგზნების დასაკმაყოფილებლად გამოიყენა.**

22 იანვარს ახალი დეტალები გამჟღავნდა. მორიგ სასამართლო პროცესზე საოლქო პროკურორის თანაშემწე **მეგან ჰასტმა** ვაინშტაინს უწოდა „სექსუალური მხეცი, რომელიც ქალებს უყურებდა, როგორც პაიკებს, საკუთარი ვნების დასაკმაყოფილებლად“.

„ეს ადამიანი არა მხოლოდ ჰოლივუდის ტიტანი იყო, არამედ მოძალადეც, რომელმაც ეს ქალები იხმარა, ხოლო შემდეგ, როცა მათ უარი თქვეს მისი სურვილების დაკმაყოფილებაზე, გართობის ინდუსტრიაში თავისი გავლენა და პრესტიჟი გამოიყენა და ხმა ჩააკმენდინა“, — ციტირებს The Sun პროკურორის შეფასებას.

იუწყებიან, რომ ერთ-ერთი შემთხვევისას ვაინშტაინი ისე უხეშად მოიქცა, რომ მსხვერპლს ტანზე ჯინსი შემოახია. ქალიშვილის ბარძაყებზე სისხლიანი ნაკაწრების კვალი დარჩა. თავის გასამართლებლად მოძალადემ დაზარალებულს განუცხადა: „შენ მე ისე აღმაგზნე, რომ თავი ვეღარ შევიკავე“.

სასამართლო პროცესზე გაიხსენეს სერიალ „სოპრანოს კლანის“ ვარსკვლავ **ანაბელა შიორის** გაუპატიურების ფაქტიც. ჰარვი მას თავს დაესხა 1990-იანი წლების შუაში მანჰეტენში ერთად ვახშმობის შემდეგ. ქალიშვილი ეწინააღმდეგებოდა და სთხოვდა, თავი დაენებებინა. რომელიღაც მომენტში, როგორც იგი ამბობს, შეწყვიტა წინააღმდეგობა იმ იმედით, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა“. პროდიუსერმა, როგორც პრესა ირწმუნება, მასთან ორალური სექსის იძულებითი აქტი განახორციელა, რომლის შემდეგ ქალიშვილმა „გონება დაკარგა“.

ვაინშტაინის კიდევ ერთი მსხვერპლია პროდიუსერის თანაშემწე **მირიამ ჰეილი**. 2006 წელს ჰოლივუდელმა ბოსმა იგი ორჯერ გააუპატიურა: ერთხელ ნიუ-იორკში, თავის ბინაში, მეორედ — სასტუმროს ნომერში. ქალმა აღიარა, რომ პროდიუსერმა იგი მორალურად გააუბედურა. „იგი სირცხვილის, მარტოობისა და უსუსურობის განცდამ დათრგუნა. ჰარვი ვაინშტაინი ყველაფერია, მირიამ ჰეილი — ნული“, — ხაზგასმით განაცხადა პროკურორმა.

დასასრულ, 67 წლის ვაინშტაინს ჩვენების მიცემა არ შეუძლია — ცუდად არის და ძლივძლივობით გადაადგილდება. თუ პროდიუსერი საქმეს წააგებს, მას სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან.

**ვაინშტაინის კიდევ ერთი მსხვერპლია პროდიუსერის თანაშემწე მირიამ ჰეილი. 2006 წელს ჰოლივუდელმა ბოსმა იგი ორჯერ გააუპატიურა: ერთხელ ნიუ-იორკში, თავის ბინაში, მეორედ — სასტუმროს ნომერში. ქალმა აღიარა, რომ პროდიუსერმა იგი მორალურად გააუბედურა. „იგი სირცხვილის, მარტოობისა და უსუსურობის განცდამ დათრგუნა. ჰარვი ვაინშტაინი ყველაფერია, მირიამ ჰეილი — ნული“, — ხაზგასმით განაცხადა პროკურორმა.**

# ნეოლიბერალური ზნეობა

## საყოველთაო ჰომოსექსუალიზმი უკრაინის შეიარაღებული ძალების რიგებში

### «გმირის» აღიარება

**წელიწადია, რაც ინტერნეტპორტალი „უკრაინის გეიალიანსი“ საზოგადოების მიერ ორიენტაციააღრეულთა მიმართ შეზღუდვა-დამცირების თემატიკიდან საგმირო-პატრიოტული ამბების პუბლიკაციაზე გადაერთო.**



გმირები, რა თქმა უნდა, პედერასტები არიან: საქვეყნოდ ცნობილია, რომ უკრაინა ევროპული ქვეყანაა და გარეგნული ატრიბუტებიც სტატუსთან შესაბამისი აქვს. ამაში სანიმუშო გზები და მაღალი სოციალური უზრუნველყოფა კი არ იგულისხმება, არამედ (ესეც, რა თქმა უნდა) პედერასტები, ანუ ლგბტ-თემი, პროგრესის ენაზე თუ ვიტყვით.

ამ საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც გვარწმუნებენ, უკვე დიდი ხანია, ინტეგრირებულნი არიან „ევროპაში უძლიერესი არმიის“ რიგებში? არა მხოლოდ ინტეგრირებულნი, არამედ „გმირულად“ იხდიან სამოქალაქო მოვალეობის ფრონტზე.

**ოლეგმა, რომელსაც ეძღვნება „უკრაინის გეიალიანსის“ წერილი, უნიკალური საბრძოლო გზა განვლო. ილოვაისკი, დებალცევო, დონეცკის აეროპორტი, — აი უკრაინელი „გმირი მებრძოლის“ გამარჯვებების ყველა მნიშვნელოვანი ადგილი.**

არმიაში, მისი თქმით, იგი გაწვევით მოხვდა.

„ვმსახურობდი 93-ე მექანიზებულ ბრიგადაში, რეაქტიული არტილერიის დივიზიონში, ოპერატორ-გეოდეზისტის თანამდებობაზე. პირველად ჩვენი დიდი ჯგუფი (500 კაცი) ლუგანსკთან დავბანაკდით. ჩვენთან იყვნენ არტილერისტებიც, მედესანტეებიც, ქვეითი ჯარისკაცებიც, მზვერავები და კიდევ ბევრი სხვა. შემდეგ გადაგვიყვანეს არტემოვსკის მახლობლად, სადაც რეალური საბრძოლო მოქმედება მიმდინარეობდა. ყოველდღიურად 300-400 ჭურვს ვისროდით“, — ყვება ოლეგი.

„ყოველდღიურად ვიცვლიდით პოზიციას, მოწინააღმდეგეს რომ არ აღმოეჩინა ჩვენი ადგილსამყოფელი. სად უნდა გადავსულიყავით, იცოდა მხოლოდ ორმა კაცმა — ჩვენი ასეულისა და მეზობელი ასეულის მეთაურებმა. გავდიოდით პოზიციაზე, საქმეს ვაკეთებდით და ბანაკში ვბრუნდებოდით, რომელიც უკანა ხაზზე იმყოფებოდა“, — ილოვაისკთან გატარებულ ყოველდღიურობაზე ყვება ოლეგი.

„ილოვაისკის შემდეგ შვებულებაში გაგვიშვეს, რადგან ჩვენი ტექნიკა უკვე აღარ იყო ბრძოლისუნარიანი. შვებულების შემდეგ კვლავ პოზიციებზე დაგვაბრუნეს. სექტემბრის ბოლოს დებალცევოს მახლობლად განვლაგდით. სამი თვე დავყავით იქ. ვისროდით საკმაოდ ხშირად. ვცხოვრობდით ერთ შენობაში, რომელიც გამოგვიყვეს. მთელი ზამთარი იქ გავატარეთ. ეს იყო დიდი ხნის წინათ მიტოვებული ფერმა, უკარფანჯრო ნაგებობა. ფანჯრები და კარები ჩვენ გავჭერით, დავათბუნეთ, ნორმალური გავხადეთ. შემდეგ დებალცევო ალყაში მოექცა, ძლივს გამოვაღწიეთ“, — განაგრძობს ოლეგი.

ეტყობა, ალყად დელიკატურად მოიხსენიებს „დებალცევოს ქვაბს“. შემდეგ ოლეგი კვლავ ცხელ წერტილში აღმოჩნდება. „დებალცევოდან უდანაკარგოდ გამოვედით, თუმცა გაჭირვებით. გვიბრძანეს ადგილზე დარჩენა, მაგრამ ასეულის მეთაური იმ შობელძაღლებს არ დაემორჩილა და გვიბრძანა მოვმზადებულიყავით სასწრაფო დისლოკაციისთვის. გარისკა და ჩვენც გავეცალეთ იქაურობას. დებალცევოს შემდეგ დონეცკის აეროპორტიდან 6-7 კილომეტრში ვიდექით. აეროპორტში მყოფი ჩვენი ბიჭების, „კიბორგების“, საარტილერო დახმარებას განვახორციელებდით“.

ომშიც შეიძლება გამოინახოს „პირადი დრო“, როცა თავისუფალი ხარ და შეგიძლია, გააკეთო ის, რაც გსურს. ოლეგმა ფარდა აჰხადა პედერასტების ყოფას „ევროპაში უძლიერესი არმიის“ რიგებში.

**„ჯერ კიდევ ნაწილში ვიყავით, როცა დიდი სკანდალი მოხდა: დაზვერვა თავზე წაადგა ტანკისტებს, რომლებიც სექსით ერთობოდნენ. დიდი აურზაური ატყდა, ჩამოიარეს ასეულები, აცნობეს, რომ ფაქტზე დააკავეს ტანკისტები. მართალია, გვარები არ დაუსახელებიათ, მაგრამ მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ, ასეთი რამ თუ გამეორდებოდა, გაგვაგდებდნენ. ერთ კვირაში სხვები გამოიჭირეს. დილით ისეთი ქიპიში ატეხეს, რომ დივიზიონების ყველა უფროსი ფეხზე დააყენეს, რაღაც პოლიტინფორმაცია შეტენეს. რატომ მოიქცნენ ასე, გაუგებარია!“**

„ზამთარში, როცა შენობაში ვცხოვრობდით, დროებითი დაზავება რომ იყო, ჩვენს ფერმაში სხვა ნაწილებიც შემოასახლეს. მაშინ იქ ერთი კაცი გავიცანი, სიმპათიური მედესანტე. მაშინ იქ ბევრი ცარიელი სათავსო იყო, სადაც არავინ შედიოდა“.

„სპერმოტოქსიკოზი და ალკოჰოლი თავიანთ საქმეს აკეთებს. ბევრი „ნატურალიც“ კი ავლენდა მათთვის არადამახასიათებელ მიდრეკილებას. ასეთი რამ ყველგან იყო, არა მხოლოდ ჩვენს დანაყოფში. სხვა ქვედანაყოფებში დავდიოდი სტუმრად და ვხედავდი, რომ იქაც იგივე ხდებოდა — კოცნაობა, ფერება სიმთვრალეში“, — განაგრძობს ოლეგი ჯარისკაცულ ყოველდღიურობაზე თხრობას.

„ანტიტერორისტულ ოპერაციაში ბევრი გეი მონაწილეობს, მოხალისეებად არიან წასული. ბევრი გაწვევით არის მისული. ისინი არ იმალებიან, არ გარბიან, გამოსასყიდით არ თავისუფლდებიან. მე გეი ვარ, წელიწადი ვმონაწილეობდი ანტიტერორისტულ ოპერაციაში. ვნახე სიკვდილი, დავკარგე მეგობრები, მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ. მე უფრო ნაღდი უკრაინელი ვარ, ვიდრე ის გოიმები, რომლებიც ლგბტ-ზე საზიზღრობებს გაჰყვირიან. ღმერთმა განსაჯოს ისინი. რადგან ბიბლიაშია ნათქვამი, რომ ღმერთმა შეგვქმნა ისეთებად, როგორიც თავად არის“, — უცნაური არგუმენტით ამთავრებს ოლეგი თხრობას ჯარში მის თავზე გადამხდარი ამბების შესახებ.

დიდი ხანია, რაც საყოველთაო სიმთვრალე, მაროდიორობა და თვითმკვლელობა უკრაინის შეიარაღებული ძალების სავიზიტო ბარათი გახდა. ორი „ქვაბის“ „გმირმა“ ოლეგმა უკრაინის არმიის პორტრეტს მნიშვნელოვანი შტრიხი შეჰმატა.

**აქ საერთო ტექნოლოგიებშია, რომლებიც 20 წლის წინათ შეუცვლელად და უკვდავად მიიჩნეოდა, ბევრ (ნებისმიერში თუ არა) ქვეყანაში უნდა იყვნენ უფლებადამცველობისთვის ჯილდოებით მკერდდამშვენებული ადამიანები, რომლებითაც დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებნი აღფრთოვანებული იქნებიან. ამ ადამიანებისთვის ხელის ხლების უფლება ხელისუფლებას არ აქვს, იმის მიუხედავადაც კი, რომ ისინი ქვეყნის წინააღმდეგ პერმანენტულად ადგენენ საბრალდებო აქტებს ამა თუ იმ მიზეზის გამო; მაგრამ, თუ მათ ვინმე თითს დააკარებს, დგება მათი სასანქციო სია, ვინც ეს გაბედა.**

ჰეგემონიის დასასრული
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზესახელმწიფოსი უკვე აღარ ეშინიათ

## აშშ-ს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც ეურჩებიან

**როგორ ცდილობს ზესახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები — გუშინდელი მეთოდებით (მაგალითად, სხვა ქვეყანას უკარნახოს, როგორ წარმართოს საშინაო პოლიტიკა თავისი გავლენის აგენტების მეშვეობით) მუშაობას და ზესახელმწიფოს არაფერი გამოსდის.**

**პირველი ისტორია** — ფილიპინური, და უმაღლეს დონეზე. აშშ-ის მოქალაქეებს ემუქრებათ ფილიპინებზე შესვლის პროცედურის, საერთოდ, სავიზო რეჟიმის გამკაცრება (ამიერიდან აღარ იქნება აეროპორტში უბრალო შტამპის ჩარტყმით 30-დღიანი ყოფნის უფლება) და სხვ.

ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად მოხდება, თუ ვაშინგტონი აამოქმედებს სენატორ **ლეილა დე ლიმას** დაპატიმრებაში მონაწილე ფილიპინელი თანამდებობის პირების სიას. ეს ისტორია დაკავშირებულია ფილიპინების პრეზიდენტ **როდრიგო დუტერტეს** ბრძოლასთან ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ. დუტერტეს ბრძანებით, ნარკომოვაჭრეებს ზოგჯერ ადგილზე ხვრეტდნენ.

ლეილა დე ლიმა (იუსტიციის მინისტრი დუტერტეს წინა ადმინისტრაციის პერიოდში) ცნობილია, როგორც უფლებადამცველი, რომელიც მწვავედ დაუპირისპირდა დუტერტეს ანტინარკოტიკულ პოლიტიკას და შეეცადა, გაერკვია, რამდენი უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა ხელისუფლებამ.

ამის შემდეგ ის თვითონ ჩასვეს ციხეში ნარკოტიკების ვაჭრობაში მონაწილეობის ბრალდებით (საქმეზე, რომელიც 2 წლის წინათ აღიძრა, სასამართლო პროცესი ჯერ არ გამართულა).

**მეორე სიუჟეტი** — არამხოლოდ მაღალი დონის — განვითარდა ინდონეზიაში. დააპატიმრეს ამერიკელი ვითომ ჟურნალისტი, უფრო ზუსტად, ეკოლოგების დამცველი აქტივისტი **ფილიპ ჯეიკობსონი.** რამდენიმე დღის წინათ კი გაათავისუფლეს მუქარით, რომ ქვეყანაში აღარ შეუშვებენ. აქ, ფილიპინური ისტორისგან განსხვავებით, მაღალი თანამდებობის პირებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა. ეს სიუჟეტი ტენდენციის ნაწილია. აშშ-ის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს თანამემამულის დაპატიმრება, მაგრამ ისეთივე შედეგი მიიღეს, როგორიც ფილიპინების ისტორიის შემთხვევაში — ნულოვანი.

**აქ საერთო ტექნოლოგიებშია, რომლებიც 20 წლის წინათ შეუცვლელად და უკვდავად მიიჩნეოდა, ბევრ (ნებისმიერში თუ არა) ქვეყანაში უნდა იყვნენ უფლებადამცველობისთვის ჯილდოებით მკერდდამშვენებული ადამიანები, რომლებითაც დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებნი აღფრთოვანებული იქნებიან. ამ ადამიანებისთვის ხელის ხლების უფლება ხელისუფლებას არ აქვს, იმის მიუხედავადაც კი, რომ ისინი ქვეყნის წინააღმდეგ პერმანენტულად ადგენენ საბრალდებო აქტებს ამა თუ იმ მიზეზის გამო; და, თუ მათ ვინმე თითს დააკარებს, დგება მათი სასანქციო სია, ვინც ეს გაბედა.**

ქვეყანა (სრულად ან მისი ცალკეული წარმომადგენლები) ხვდება აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ე.წ. შავ სიაში და ძალიან უნდა შეეცადოს, რომ ეს აპატიონ. საერთოდ, ასეთია საგარეო პოლიტიკის ბერკეტი, რომელიც აქამდე ძალიან საშინელი და ეფექტიანი ჩანდა.

**ალსანიშნავია, რომ „ეკოლოგიის დამცველი ჟურნალისტი“ არაფრით ნაკლები არ არის „ადამიანის უფლებათა დამცველზე“, იმიტომ, რომ დღეს პლანეტის გადასარჩენად ბრძოლა ვიღაცისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, საერთოდ, „უფლებებისთვის ბრძოლა“. და, თუ ასეთი პერსონაჟი აკეთებს რეპორტაჟს ტყეების გაჩეხვაზე ან ორანგუტანგების დაჭერაზე სადღაც ბორნეოზე, შეგიძლია, რაც გინდა, ის თქვა — რომ ტყეები ადგილზეა, მაიმუნებიც — აგრეთვე, მაგრამ ეკოლოგიის დამცველი აქტივისტისგან ხსნა არ არის. ასე გვეჩვენებოდა ადრე.**



მაგალითად, თუ ასეთი აქტივისტი დაწერს, რომ ტყეებს წვავენ ზეთოვანი პალმის პლანტაციებისთვის, მაშინ ზოგიერთ ქვეყანაში სასანქციო გადასახადი შეიძლება დააწესონ პალმის ზეთზე. ამჟამად ეს უფრო ეფექტიანია, ვიდრე ადრინდელი ტაქტიკა — ყალბი ცნობის გავრცელება, რომ ეს პროდუქტი მავნეა ჯანმრთელობისთვის. რომელიღაც სხვა ზეთის მწარმოებლები ყოველთვის დაუჭერენ მხარს ასეთ მიდგომას.

ფილიპინური და ინდონეზიური სკანდალები საინტერესოა, უწინარესად, იმით, რომ „მაგნიტსკის სიის“ ტექნოლოგია აღარ მუშაობს ისეთი ქვეყნებში, რომლებშიც, წესით, უნდა ემუშავა.

ზემოაღნიშნული ორი ქვეყანა არცთუ დიდი ხნის წინათ აშშ-ის სამხედრო პარტნიორად ითვლებოდა. ორივეს განიხილავდნენ დასავლური გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებად. ისინი მძლავრი სახელმწიფოების რიგებში არ არიან, თუმცა **რა ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზესახელმწიფო ნორმალურ ქმედებად მიიჩნევს ირანელი გენერლის მკვლელობას ერაყის ტერიტორიაზე და უკმაყოფილოდ მიანიშნებს, რომ დაბომბავს კიდევ 50 ობიექტს, მათ შორის, კულტურის ძეგლებს?**

ამ ქვეყნებს არანაირი ფორმალური კავშირი არ აქვთ ჩინეთთან, მხოლოდ შეთანხმება, რომ, რაღაც თუ მოხდება, პეკინი არ გაწყვეტს კავშირებს, უფრო პირიქით.

პირველი წელი არ არის, რაც როდრიგო დუტერტე აშშ-სა და დასავლეთს აგინებს, ქვეყნის ეკონომიკა კი 6%-იანი ტემპით იმატებს. ინდონეზიასაც აქვს ეკონომიკური წარმატებები და უკვე იცის, რომ ამერიკასთან შეკამათება შეიძლება.

და აი მსოფლიოს ეს არცთუ ძლიერი ქვეყნები საკმაოდ მკაცრად და, რაც მთავარია, ეფექტიანად რეაგირებენ ზემოქმედების სტანდარტულ ტექნოლოგიაზე — გავლენის აგენტების ჩანერგვაზე, რომლებისთვისაც ხელის ხლება არ შეიძლება, მაგრამ, თუ ახლებ, ელოდე „ვიღაცის სიასა“ და სანქციებს.

აშშ-ს ანგარიშს აღარ უწევენ და ეს მსოფლიო ტენდენციაა.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ექსპორტის ხელშეწყობა სიტყვით და ექსპორტის ხელშეწყობა საქმით



**როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ იუწყება, 8 თებერვალს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა — II ფაზა“ ორგანიზებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) იმპლემენტაციის საკითხებზე.**

ამ შეხვედრის ფარგლებში მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ მედიის წარმომადგენლებს გააცნო ექსპორტის ხელშეწყობის ინსტრუმენტები, რომლებსაც სამინისტრო, მის სისტემაში შემავალი უწყებები და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები წარმატებით იყენებენ ადგილობრივი მწარმოებლების — პოტენციური და მოქმედი ექსპორტიორების მხარდასაჭერად.

მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა DCFTA-ის ცნობიერების ამაღლების ისეთ ინსტრუმენტებზე, როგორიცაა DCFTA — საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მსხვილი ბიზნესასოციაციების, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლები და სავაჭრო პალატები, აგრეთვე, ვებგვერდი www.dcfta.gov.ge და სხვ.

გენადი არველაძის განცხადებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ წარმატებით ახორციელებს ექსპორტის მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმს, როგორიცაა პოტენციური ექსპორტიორების საერთაშორისო გამოფენებსა და მისიებში მონაწილეობის ხელშეწყობა, სავაჭრო პლატფორმებზე რეგისტრაცია, როგორიცაა tradewithgeorgia.com, რომლის განახლებაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტ USAID REAP-ის მხარდაჭერით განხორციელდა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, აღნიშნული სავაჭრო პორტალი არის ონლაინპლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ქართველი მეწარმეები და სერვისის მიმწოდებელი კომპანიები დარეგისტრირდებიან და შესაძლებლობა მიეცემათ, თავიანთი პროდუქცია და სერვისები გააცნონ უცხოელ პოტენციურ პარტნიორებს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საქმეში ჩახედული მკითხველი და უშუალოდ ექსპორტზე მომუშავე კომპანიები დაგვეთანხმებიან, რომ ჩამოთვლილი ზომები მეორეხარისხოვანია. **როცა ექსპორტზე ვლაპარაკობთ, კონკრეტულად — ევროკავშირის ბაზარზე, საინტერესოა, რა მდგომარეობა გვაქვს „სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასების შეთანხმების“ (დასახელება შეიძლება ზუსტი არ იყოს, მაგრამ არსს სწორად ასახავს) გაფორმების მხრივ. მკითხველს შევახსენებთ, რომ ასეთი შეთანხმება გულისხმობს, რომ საქართველოში სამრეწველო თუ სხვა პროდუქციის წარმოების ტექნიკური რეგულირება ევროკავშირის ნორმების შესაბამისია, ე.ი. ქართული პროდუქცია ხარისხის ევროპული სტანდარტებისაა და ასეთი შეთანხმების გაფორმების შემდეგ ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ზედმეტი ბარიერების გარეშე დაუშვას თავის ბაზარზე.**

პრაქტიკაში კი ასე არ არის, მუდმივად გვესმის სხვადასხვა ევროჩინოსნის ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, რომ გასატარებელი გვაქვს „რეფორმების მორიგი ტალღა“ და ასე დაუსრულებლად. ევროპაში ჩვენი რეფორმები არ აინტერესებთ, არ სჭირდებათ, რომ ჩვენთან მათი სტანდარტის შესაბამისი პროდუქცია იწარმოებოდეს და მათთან გაიყიდოს. იქ ჩვენი პროდუქციის გაყიდვა ნიშნავს, რომ ავტომატურად აღარ გაიყიდება მათი პროდუქცია.

**ვინმეს გჯერათ, რომ ევროპელები ან ამერიკელები თვითონ იზარალებენ, ჩვენ რომ გვახეირონ? თუ ეს ასე არ არის, რატომ არ გვეხმარებიან „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები“ მოწინავე წარმოების განვითარებაში? მოწინავე წარმოებას ფული და მოწინავე ტექნოლოგიები სჭირდება. მოგვცეს ან ერთი, ან მეორე? ისინი მხოლოდ „რეფორმებისკენ“ მოგვიწოდებენ სიტყვიერად, სად არის მათი რეალური მხარდაჭერა რეალური რეფორმების გასატარებლად რეალურად მოწოდებული მოწინავე ტექნოლოგიებისა და საამისოდ საჭირო ფინანსების სახით?**

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია

კვლევის შედეგები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არასამთავრობო ორგანიზაცია TRANSPARENCY INTERNATIONAL-ი 1993 წელს დააარსა მსოფლიო ბანკის ყოფილმა რეგიონულმა დირექტორმა პეტერ ეიგენმა. მსოფლიოში სულ მუშაობს ამ ორგანიზაციის 100-მდე ფილიალი. TRANSPARENCY INTERNATIONAL-ი, ძირითადად, ფინანსდება აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის დოტაციებით, აგრეთვე, სოროსის ფონდიდან გამოყოფილი თანხით. ეჭვობენ, რომ TRANSPARENCY INTERNATIONAL-ის მთავარ ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი აქვთ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანულ „მი-6“-თან.**

# აშშ-ში კორუფციის სარეკორდოდ მაღალი დონეა

**საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-მა გამოაქვეყნა მოხსენება კორუფციის აღქმის 2019 წლის ინდექსის შესახებ, რომლის თანახმადაც აშშ-ში კორუფციის სარეკორდოდ მაღალი დონეა. ამ ინდექსს 1995 წლიდან ადგენენ ექსპერტებისა და მეწარმეების გამოკითხვის შედეგების მიხედვით სახელმწიფო სექტორში კორუფციის შესახებ.**

2011 წლამდე ქვეყნებს ალაგებდნენ სკალის მიხედვით 0-დან (კორუფციის მაქსიმალურად მაღალი დონე) 10-მდე (კორუფციის არარსებობა). 2012 წლიდან სკალა შეიცვალა და ქვეყნების შეფასება დაიწყეს იმავე პრინციპით, ოღონდ 100-ქულიანი (კორუფციის არარსებობა) სისტემით.

ბოლო მონაცემების მიხედვით, **აშშ-მა 69 ქულა** მოაგროვა და გადააჭარბა თავის ყველაზე ცუდ შედეგს სარეიტინგო სიის არსებობის ისტორიაში — 71 ქულას, რომელიც აღირიცხა 2018, 2011 და 2010 წლებში (7,1 ქულა ძველი სისტემით).

ახალ სარეიტინგო სიაში **აშშ 23-ე ადგილზეა.** სარეიტინგო ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა — 78, ე.ი. კორუფციის ყველაზე დაბალი დონე აშშ-ს ჰქონდა 1995 და 2000 წლებში.

ახალ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებში კორუფციის საერთო დონემ გასულ წელთან შედარებით მოიმატა. მაგალითად, 2019 წელს **კანადამ** 4 ქულით ნაკლები მოაგროვა, ვიდრე 2018 წელს (ეს ქვეყანა სარეიტინგო სიაში მე-12 ადგილზეა 77 ქულით), **საფრანგეთმა** 3 ქულა დაკარგა (ამჟამად ის 23 ადგილზეა 69 ქულით), **დიდმა ბრიტანეთმაც** 3 ქულა დაკარგა (77 ქულით მე-12 ადგილი კანადასთან ერთად). **გერმანიასა** და **იაპონიაში** კორუფციის ინდექსი არ შეცვლილა, **იტალიაში** შემცირდა. ქვეყნების ორ მესამედზე მეტი, მათ შორის არის განვითარებული ქვეყნები, ამ მხრივ სტაგნაციას განიცდის ან სათანადოდ ვერ ებრძვის კორუფციას. კორუფციის აღქმის 2019 წლის ინდექსის სიაში **საქართველო** 58 ქულით **ლატვიასთან** ერთად 41-ე ადგილზეა.

**„მთავრობები სასწრაფოდ უნდა გაერკვნენ დიდძალი ფულის კორუფციულ როლში პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში და გააცნობიერონ, რომ ეს ფული ძალიან დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ სისტემებზე“,** — განაცხადა Transparency International-ის ხელმძღვანელმა **დელია ფერეირა რუბიომ.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია TRANSPARENCY INTERNATIONAL-ი 1993 წელს დააარსა მსოფლიო ბანკის ყოფილმა რეგიონულმა დირექტორმა პეტერ ეიგენმა. მსოფლიოში ამ ორგანიზაციის 100-მდე ფილიალი მუშაობს. TRANSPARENCY INTERNATIONAL-ი, ძირითადად, ფინანსდება აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის დოტაციებით, აგრეთვე, სოროსის ფონდიდან გამოყოფილი თანხით. ეჭვობენ, რომ TRANSPARENCY INTERNATIONAL-ის მთავარ ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი აქვთ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანულ „მი-6“-თან.**



Transparency International-ის კვლევების შედეგები და მეთოდები ხშირად ყოფილა კრიტიკის ობიექტი. კორუფციის აღქმის ინდექსს ორგანიზაცია, ძირითადად, ადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის ინფორმაციის საფუძველზე. ამას გარდა, ექსპერტთა აზრით, ერთიან ინდექსში მონაცემების შეჯამების ტექნოლოგია ნებისმიერი შედეგის მიღების საშუალებას იძლევა.

**Ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ახალ სარეიტინგო სიაში აშშ 23-ე ადგილზეა. სარეიტინგო ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა — 78, ე.ი. კორუფციის ყველაზე დაბალი დონე აშშ-ს ჰქონდა 1995 და 2000 წლებში. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებში კორუფციის საერთო დონემ გასულ წელთან შედარებით მოიმატა. მაგალითად, 2019 წელს კანადამ 4 ქულით ნაკლები მოაგროვა, ვიდრე 2018 წელს (ეს ქვეყანა სარეიტინგო სიაში მე-12 ადგილზეა 77 ქულით), საფრანგეთმა 3 ქულა დაკარგა (ამჟამად ის 23-ე ადგილზეა 69 ქულით), დიდმა ბრიტანეთმაც 3 ქულა დაკარგა (77 ქულით მე-12 ადგილი კანადასთან ერთად). გერმანიასა და იაპონიაში კორუფციის ინდექსი არ შეცვლილა, იტალიაში შემცირდა**



ზამირა გაჯიევა

# ინგლისელები მდიდარი უცხოელებისგან შემოსავლების წყაროების დასახელებას მოითხოვენ

## ლონდონიდან შემოთვალეს: აზერბაიჯანელებს რაც ვუთხარით, ქართველებმაც გაიგონეთო

**ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მოსთხოვოს ზამირა გაჯიევას, ერთი კვირის განმავლობაში წარადგინოს ახსნა-განმარტება თავისი ქონების წარმომავლობის შესახებ.**

ზამირა გაჯიევა აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის, თანხების მიტაცებისთვის მსჯავრდადებული **ჯაჰანგირ გაჯიევის** მეუღლეა.

როგორც „ბი-ბი-სი“ აღნიშნავს, **„სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, გადაილახოს ბოლო წინაღობა მასშტაბური ნადირობის დასაწყებად დიდ ბრიტანეთში გადაბარგებული კორუფციონერებისა და დამნაშავეების ფულსა და სახლებზე“.**

კერძოდ, **ლაპარაკია ისეთ ინსტრუმენტზე, რომელიც იქნება ორდერივით და დაავალდებულებს 50 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი აქტივების მქონე ადამიანს, დაამტკიცოს, რომ ის აქტივები პატიოსანი გზით გამომუშავებული ფულით არის შეძენილი.**

ამიერიდან, ლონდონის სასამართლოს ვერნდიქტის შემდეგ, თუკი სახსრების წარმომავლობის ახსნა-განმარტება არ მოხდება, NCA (დანაშაულთან ბრძოლის დიდი ბრიტანეთის ეროვნული სააგენტო) სთხოვს სასამართლოს, გაჯიევას ჩამოართვას ქონება, რომელსაც შემდეგ გაყიდის, მიღებულ თანხას კი გადასცემს ბრიტანეთის ხაზინას. თუკი გაჯიევა მიუთითებს აქტივების წყაროს, NCA-ს 60 დღე ექნება მისი ანგარიშების შესასწავლად, შემდეგ კი გამომძიებლები გადაწყვეტენ, მიიღონ ეს ანგარიშები და დახურონ საქმე თუ უარყონ და დაიწყონ ქონების კონფისკაციის პროცესი.

ბრიტანული მედია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაჯიევას აქტივებზე გაცემული ორდერი პირველია. სასამართლომდე კი 3 ახალი საქმე მივა, რომელთა ფიგურანტები ჯერ დასახელებულნი არ არიან.

**მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, გადაილახოს ბოლო წინაღობა მასშტაბური ნადირობის დასაწყებად დიდ ბრიტანეთში გადაბარგებული კორუფციონერებისა და დამნაშავეების ფულსა და სახლებზე». კერძოდ, ლაპარაკია ისეთ ინსტრუმენტზე, რომელიც იქნება ორდერივით და დაავალდებულებს 50 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი აქტივების მქონე ადამიანს, დაამტკიცოს, რომ ის აქტივები პატიოსანი გზით გამომუშავებული ფულით არის შეძენილი**

**2016 წლის ნოემბერში თვითმფრინავი, რომელშიც ბრაზილიის ერთ-ერთი გამორჩეული საფეხბურთო კლუბის წევრები იმყოფებოდნენ, კოლუმბიის ქალაქ მედელინთან ჩამოვარდა. ბორტზე 81 მგზავრი იმყოფებოდა. გადარჩა მხოლოდ 5. „შაპეკოენსე“ კოლუმბიაში სამხრეთ ამერიკის თასის საფინალო მატჩის გასამართავად მიემგზავრებოდა.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უდიდესი კატასტროფები სპორტის ისტორიაში

**26 იანვარს კალიფორნიაში მომხდარმა ავიაკატასტროფამ, რომელშიც სახელგანთქმული კალათბურთელი კობი ბრაიანტი, მისი 13 წლის ქალიშვილი და კიდევ 7 ადამიანი დაიხოცა, მსოფლიო შეძრა. მანამდე კი იყო კიდევ რამდენიმე ავიაკატასტროფა, რომლებმაც უამრავი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა.**



## 1949 წელი, „ტორინო“

1949 წლის მაისში იტალიურ საფეხბურთო კლუბ „ტორინოს“ თვითმფრინავი ქალაქ ტურინთან ახლოს კლდეს შეასკდა. დაიღუპა გუნდის ყველა წევრი, მწვრთნელები და ეკიპაჟი, სულ 31 ადამიანი. იმ პერიოდში „ტორინო“ იტალიაში საუკეთესო გუნდი იყო — ქვეყნის 5-გზის ჩემპიონი.



## 1958 წელი. ავიაკატასტროფა მიუნხენში

თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობდნენ ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ გუნდის წევრები და მწვრთნელები, ბელგრადში „ცრვენა ზვეზდას“ წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონთა თასზე გამართული მატჩის შემდეგ მანჩესტერში ბრუნდებოდა მიუნხენის გავლით. 1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე აფრენისას პილოტმა დაკარგა მართვა და თვითმფრინავმა გაარღვია ღობე, ჯერ ერთ სახლს შეასკდა, შემდეგ — მეორეს, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა. კატასტროფაში დაიღუპა „მანჩესტერ იუნაიტედის“ 8 ფეხბურთელი და კიდევ 15 მგზავრი. გადარჩა გუნდის რამდენიმე წევრი — **ბობი ჩარლტონი, დენის ვაიოლეტი, ჰარი გრეგი** და სხვ. აგრეთვე, მწვრთნელი მატ ბასბი სტიუარდესები და ჟურნალისტები.

აღსანიშნავია, რომ კატასტროფაში გადარჩენილმა ბობი ჩარლტონმა და მატ ბასბიმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალ გუნდთან ერთად 1968 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.



## 1961 წელი. აშშ-ის ნაკრები ფიგურულ სრიალში

ფიგურულ სრიალში აშშ-ის ნაკრების ყველა, 18-ვე წევრი დაიღუპა, როდესაც ავიაკომპანია Sabena-ს „ბოინგი 707“ მიფრინავდა ნიუ-იორკიდან ბრიუსელში. თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა ბრიუსელის აეროპორტში დაჯდომისას. ფიგურისტების გარდა, რომლებიც იმხანად მოწინავე პოზიციებზე იყვნენ, მსოფლიოში კიდევ 55 ადამიანი დაიღუპა.



## 1972 წელი. „ცოცხლები“

1971 წლის 13 ოქტომბერს ურუგვაის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი Fairchild FH 227D, რომელიც ჩარტერულ რეისს ასრულებდა მონტევიდეოდან სანტიაგოში, ჩილეს დედაქალაქთან კლდეს დაეჯახა და თოვლიან ფერდობზე დაეცა. თვითმფრინავში იმყოფებოდა ეკიპაჟის 5 წევრი და 40 მგზავრი, მათ შორის, მორაგბეთა გუნდ „ოლდ კრისჩენსის“ წევრები, მათი ნათესავები და სპონსორები.

იმის შესახებ, რომ კატასტროფის შედეგად ყველა მგზავრი არ დაღუპულა, მაშველებმა შეიტყვეს მას შემდეგ, რაც ორმა გადარჩენილმა ანდებში (მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკაში) რამდენიმე დღის განმავლობაში იხეტიალა და მწყემსებს გადააწყდა. 2 თვის შემდეგ ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა იპოვეს 14 ადამიანი, რომლებიც კატასტროფას გადაურჩნენ.

ამ შემთხვევაზე დაიწერა წიგნი და გადაიღეს ფილმი სახელწოდებით „ცოცხლები“. მასში მოთხრობილია, სიკვდილს გადარჩენილი ადამიანები როგორ ჭამდნენ დაღუპულთა სხეულებს, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ.




## 1979 წელი. ტაშკენტის «ფახთაქორი»

1979 წლის აგვისტოში საფეხბურთო კლუბ „ფახთაქორის“ 17 წევრი დაიღუპა „ტუ-134“-ის შეჯახების შედეგად მეორე ანალოგიურ თვითმფრინვთან უკრაინის საჰაერო სივრცეში. ორივე თვითმფრინავის ბორტზე 178 ადამიანი იმყოფებოდა. ყველა დაიღუპა. დამნაშავეებად მიიჩნიეს დისპეტჩერები, რომელთა შეცდომის გამო ორი თვითმფრინავის მარშრუტებმა ერთმანეთი გადაკვეთა.

სსრკ-ის სხვა კლუბებმა „ფახთაქორში“ მიავლინეს თავიანთი ფეხბურთელები, რათა გუნდს შეძლებოდა სეზონის დამთავრება. ქართველი ფეხბურთელებიდან ტაშკენტში ყოფილი თბილისის დინამოელი **ზურაბ წერთელი** გადავიდა, შემდეგ კი — ძმები **მანუჩარ** და **გოჩა მაჩაიძეები.**



## 1987 წელი. „ალიანსა ლიმა“

პერუს საფეხბურთო კლუბი „ალიანსა ლიმა“ (ქვეყნის ისტორიაში ყველაზე წარმატებული გუნდი) შინ, ლიმაში, ბრუნდებოდა, როდესაც თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. ეს მოხდა თვითმფრინავის დაჯდომამდე რამდენიმე წუთით ადრე. დაიხოცა მთელი გუნდი და ეკიპაჟის წევრები, სულ 43 ადამიანი, გადარჩა მხოლოდ პილოტი.



## 1993 წელი. ზამბიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები

ზამბიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 1998 წლის 28 აპრილს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ გაბონში მიფრინავდა. თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა გაბონის საჰაერო სივრცეში. დაიღუპა ზამბიის ნაკრების 18 ფეხბურთელი. კატასტროფის მიზეზი იყო თვითმფრინავის მარცხენა ძრავის გაუმართაობა.



## 2011 წელი. იაროსლავლის ჰოკეის კლუბი „ლოკომოტივი“

2011 წლის სექტემბერში რუსეთის 3-გზის ჩემპიონი გუნდის ყველა წევრი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ისინი ბელარუსში მიფრინავდნენ სეზონის პირველი მატჩის ჩასატარებლად, როდესაც თვითმფრინავი მიწაზე დაენარცხა და აალდა. ავარიაში დაიღუპნენ 36 ჰოკეისტი და მწვრთნელები, აგრეთვე, ეკიპაჟის 7 წევრი.






## 2016 წელი. „შაპეკოენსე“

2016 წლის ნოემბერში თვითმფრინავი, რომელშიც ბრაზილიის ერთ-ერთი გამორჩეული საფეხბურთო კლუბის წევრები იმყოფებოდნენ, კოლუმბიის ქალაქ მედელინთან ჩამოვარდა. ბორტზე 81 მგზავრი იმყოფებოდა. გადარჩა მხოლოდ 5.

„შაპეკოენსე“ კოლუმბიაში სამხრეთ ამერიკის თასის საფინალო მატჩის გასამართავად მიემგზავრებოდა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ევროპელი «სტრატეგიული მოკავშირეები» გვაშანტაჟებენ და სასჯელებით გვემუქრებიან, თუ ხელისუფლებას ოპოზიციას არ გადავაბარებთ



## ევროპარლამენტარი მარკეტა გრეგოროვა: თუ საქართველოში რეფორმები არ განხორციელდება, გარკვეულ საპასუხო რეაქციას უნდა ველოდოთ

**„ვფიქრობ, აშშ-ის კონგრესმენები და სენატორები ითვალისწინებენ, რომ, თუ რეფორმები არ განხორციელდება, გარკვეულ საპასუხო რეაქციას უნდა ველოდოთ“, — განუცხადა ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ „ინტერპრესნიუსს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.**

გრეგოროვამ ისაუბრა იმის შესახებ, რას უნდა ელოდოს საქართველო იმ შემთხვევაში, თუ წინასაარჩევნო პერიოდი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არ წარიმართება და დასავლელ პარტნიორებს გარკვეული კითხვები ექნებათ.

„ვფიქრობ, აშშ-ის კონგრესმენებისა და სენატორების წერილებშიც იყო ხაზგასმული, რომ, თუ რეფორმები არ განხორციელდება, გარკვეულ საპასუხო რეაქცია უნდა ველოდოთ, რადგან ისინი არჩევნებს ლეგიტიმურად არ ჩათვლიან. რაც შეეხება ევროკავშირს, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ რეფორმებს, მაგრამ ასევე არ გვინდა, რომ სიტუაცია რიგითი მოქალაქეებისთვის უფრო გავართულოთ. მაგალითად, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეეხება საქართველოს ჩვეულებრივ მოქალაქეებს და არა — პოლიტიკოსებსა და პასუხისმგებლობის მქონე პირებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვსურს, სიტუაცია, ასე ვთქვათ, უფრო „ძალადობრივი“ ან დრამატული გავხადოთ, შესაბამისად, გარკვეული ზომები და პასუხი მას მოჰყვება და, რასაკვირველია, არჩევნები დაკვირვების ქვეშ იქნება, თუმცა ასეთ მწვავე პასუხს, როგორიც უვიზო მიმოსვლის შეჩერებაა, არ ველოდები“, — განაცხადა გრეგოროვამ.

# დიმიტრი (დიტო) შარაშენიძე
## 15 აპრილი 1937 — 5 თებერვალი 2020



**ქართულ მწარე რეალობას, სამწუხაროდ, კიდევ ერთი, არანაკლებ მწარე დაემატა. ამ ტანჯულ ქვეყანას გამოაკლდა კიდევ ერთი კაი ყმა, ცნობილი ალპინისტი და შესანიშნავი მოქალაქე, რაც მთავარია, ბრწყინვალე მეგობარი დიმიტრი (დიტო) შარაშენიძე.**

ჩვენ, დიტო შარაშენიძის კლასელებს, გვქონდა პატივი, 1955 წელს მასთან ერთად დაგვემთავრებინა თბილისის ყოფილი 29-ე ვაჟთა, ხოლო შემდეგ — თბილისის 65-ე საშუალო სკოლა, რომელიც მდებარეობს გორგასლის ქუჩის შესახვევში. იქ ადრე მოქმედებდა თბილისის განათლების სისტემას დაქვემდებარებული აგრო-ბიოლოგიური სადგური. სკოლა დავამთავრეთ 37 ბიჭმა (ვაჟთა სკოლის ბოლო გამოშვება იყო ჩვენი კლასი). დიტოს გარდაცვალებამდე დარჩენილი ვიყავით რვა. მათგან ოთხი — ქვრივი (დიტო, მე, ვაჟა ძაგანია და ჰამლეტ მორგოშია). რვავემ გადავაბიჯეთ 80 წლის ზღვარს! სკოლის დამთავრებიდან მალევე, სამწუხაროდ, ბევრმა თანაკლასელმა დატოვა ეს წუთისოფელი სხვადასხვა მიზეზის გამო! ამჟამად ამ ქვეყანას შემოვრჩით შვიდნი. ამა წლის 20 მაისს შევიკრიბებით (ალბათ) დარჩენილები და, ჩვენი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვინაიდან დიტო შარაშენიძე ბოლოა, მის საფლავზე მივალთ და აღვნიშნავთ სკოლის დამთავრების 65-ე წლისთავს! მომავალში, კლასელების ყოველწლიური შეხვედრების ტრადიციას, სამწუხაროდ, დიტო დაარღვევს. ხშირად ამბობდა, წელიწადში ერთხელ შეხვედრა ცოტაა, ხომ ხედავთ, რაღა დავრჩით და იქნებ მოვუხშიროთ შეხვედრებსო.

ეტყობა, გული უგრძნობდა.

ძალიან გაგვიჭირდება უშენობა, ისევე როგორც სხვების გარეშე გვიჭირს!

ჩვენო დიტო, მსუბუქი იყოს შენს ვაჟკაცურ მკერდზე დაყრილი ტანჯული საქართველოს მიწა!

**თბილისის 65-ე საშუალო სკოლის 1955 წლის კურსდამთავრებულთაგან დარჩენილი შვიდი ბიჭი:**
**გოგი ავსაჯანიშვილი, ვაჟა ძაგანია, როლანდ კიკაჩეიშვილი, შოთა მელქაძე, ჯამლეტ მორგოშია, ჯუდიკო ხაბეიშვილი, ანზორ დანელია**

# ტრამპი დაინტერესებულია ევროკავშირის დაშლით და იზამს კიდეც ამას



**პოლიტიკის ანალიტიკოსმა იაკობ კედმიმ საინფორმაციო სააგენტო „ავრორას“ მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ტრამპმა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოყვანით ცხადყო, რომ იგი დაარტყამს გერმანიის ეკონომიკას.**

**კედმიმ** განმარტა, რომ ევროკავშირის უძლიერესი მწარმოებლური ეკონომიკა არის გერმანიის ეკონომიკა. ამას ეფუძნება ევროკავშირის ძლიერება. გერმანიის დასუსტების შემდეგ აშშ-ს საფრანგეთის საკმაოდ სუსტ ეკონომიკასთან ანგარიშის გასწორებაღა დარჩება. საფრანგეთი კი დღეს ევროზონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობს.

**„განმტკიცდება აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა, შემდეგ კი ორივე ევროპის დანაწევრებას შეუდგება. ერთიანი ევროპა მათი კონკურენტია. მათთვის მომგებიანია, იმუშაონ უშუალოდ საფრანგეთთან, იტალიასთან, პოლონეთთან, ბალტიის ქვეყნებთან. ბრიუსელი რისთვის სჭირდებათ?“**

იაკობ კედმიმ აღნიშნა, რომ ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიკა თავისთავად არის ძლიერი და ევროზონის მიღმა შეუძლიათ არსებობა, მაგრამ არ ძალუძთ ევროკავშირის საბაზო ეკონომიკის შექმნა. დიდი ბრიტანეთის ჩამოცილების შემდეგ ტრამპი გაუსწორდება გერმანიას, შემდეგ — საფრანგეთს.

ეს არის პრინციპ „გათიშე და იბატონეს“ აშკარა გამოვლინება. ტრამპს არ სჭირდება ძლიერი ევროპა, არც ნატო სჭირდება. ევროკავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს შეეძლება, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე უფრო ეფექტიანად მოახდინოს გავლენა ცალკეულ ქვეყნებზე, ვიდრე ერთიან ევროკავშირზე, მათ შორის, სანქციების გამოყენებითაც.

**„რისთვის იბრძოლებენ ახლა დიდი ბრიტანეთი და აშშ? დიდი ბრიტანეთი იბრძოლებს, ლონდონში დაიტოვოს საფინანსო ცენტრი, ხელი შეუშალოს მის გადატანას ფრანკფურტსა თუ პარიზში. აშშ იბრძოლებს იმისთვის, რომ საფინანსო ცენტრის უმეტესი ნაწილი ლონდონიდან ნიუ იორკში გადავიდეს და არა ევროპაში“**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# ძველი ცივილიზაცია დასასრულს უახლოვდება, გამოჩნდებიან ახალი ლიდერები და იდეები



**„კაცობრიობა ახალი ცივილიზაციის ზღურბლზე დგას და არ იცის, რა ელის მომავალში, მაგრამ გაურკვევლობა დიდხანს არ გაგრძელდება“, — განუცხადა ჟურნალისტებს ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა შამილ სულთანოვმა.**

მისი აზრით, წარსულში გავიჭედეთ და არ ვფიქრობთ მომავალზე, რომელზეც **„აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ ახლავე, სხვაგვარად ის რაღაც დროის შემდეგ აუცილებლად კვანტს დაგვიდებს...** როდესაც არაბ ისლამისტ კოლეგებს ვხვდებით პეკინში, კუალა-ლუმპურში, თეირანში, თურქეთში, ჩვენ აუცილებლად ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ მომავალზე“.

სულთანოვის თქმით, ამჟამინდელი პროექტების ჩარჩოებში ბრძოლა რაღაც „განვითარებისთვის“, ყოველდღე სულ უფრო სასაცილო ხდება და საზოგადოების მშენებლობის დღეს არსებული არც ერთი მოდელი, რომლებიც ჯერ კიდევ გვეჩვენება პროგრესულად, გლობალურ ამოცანებს ვერ უპასუხებს.

„ამერიკული იდეალი დეგრადაციას განიცდის. ის ისე მოიმჩვარა, რომ აშშ მალე შეიძლება სამოქალაქო ომამდე მივიდეს; ჩინური — ჯერ რეალიზებული არ არის, მაგრამ უკვე დაძველდა; ევროპული — კრახის პირასაა. ზოგიერთი მონაცემით,



მისგან შეიძლება არაფერი დარჩეს. ჩემი აზრით, უახლოეს 12 წელიწადში მსოფლიოში გაჩნდება ახალი ცივილიზაციის პროექტები, ხოლო ძველ, დაბერებულ ელიტებს შეცვლიან ახალი პასიონარიები და ქარიზმული ლიდერები“.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894